

პროტოკოლები და გაიდლაინები

- 3 დიაბეტური ტერფის პრევენცია, შეფასება, დიაგნოზი და მართვა კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებზე დაყრდნობით**
ალბერტო ჯ. პერეს-პანერო, მარია რუის-მუნოსი, ანტონიო ი. კესტა-ვარგასი, მანუელ გონსალეს-სანჩესი,
Alberto J. Pérez-Panero, María Ruiz-Muñoz, Antonio I. Cuesta-Vargas, Manuel González-Sánchez

მტკიცებითი მედიცინა

- 11 GRADE სისტემა, სისტემური და გამჭვირვალე შეფასება**
კლაუდია მენდოზა პინტო, მარიო გარსია კარასკოა,
Mario García Carrasco, Claudia Mendoza Pinto
- 14 განახლებული GRAPPA და EULAR რეკომენდაციები ფსორიაზული ართრიტის მართვისთვის: მსგავსებები და განსხვავებები**
ლაურა კოატესი, ლაურე გოსეკი,
Laura Coates, Laure Gossec

დიაგნოსტიკური პრაქტიკა

- 19 EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმები მოზრდილთა და იუვენილური იდიოპათიური ანთებითი მიოპათიებისა და მათი ძირითადი ქვეჯგუფებისთვის**
ინგრიდ ე. ლუნდბერგი, ანნა ტიარნლუნდი, მათეო ბოტაი, ვიქტორია პ. ვერტი, კლარისა პილკინგტონი, მარიან დე ვისერი,
Ingrid E Lundberg, Anna Tjärnlund, Matteo Bottai, Victoria P Werth, Marianne de Visser

თვალსაზრისი

- 26 კლასიფიკაციის ახალი კრიტერიუმები SLE-სთვის**
მარტინ არინგერა, მიშელ პეტრიბი,
Martin Aringer, Michelle Petri

კლინიკური შემთხვევა

- 32 მონონუკლეოზი - კლინიკური შემთხვევის მოხსენება: პედიატრიულ პრაქტიკაში მონონუკლეოზის მართვა**
მაცაცო კუბლაშვილი,
Matsatso Kublashvili
- 37 Bordetella bronchiseptica-ით გამონეული პნევმონია ფილტვის კიბოს მქონე პაციენტში: იშვიათი ინფექციის შემთხვევის შესახებ მოხსენება**
მანლიო მონტი, დანილა დიანო, ფრანჩესკო ალეგრინი, ანგელო დელმონტე, ვალენტინა ფაუსტი,
Manlio Monti, Danila Diano, Francesco Allegrini, Angelo Delmonte, Valentina Fausti

მიმოხილვა

- 42 COVID-19 და კიბო: ძირითადი მექანიზმებიდან ნანოტექნოლოგიის გამოყენებით ვაქცინის შემუშავებამდე**
ჰიუნ ჯან, ჩინეკუ ნვაგუ, ობუმნე ანიმ, ჩინედუ ეკვერემადუ, სან კიმ,
Hyun Jee Han, Chinekwu Nwagwu, Obumneme Anyim, Chinedu Ekwere-madu, San Kim
- 56 ვიტამინი D და ვიტამინი D-შემაკავშირებელი ცილა ჯანმრთელობასა და დაავადებაში**
პ.მ. ჰენსონი, რ.მ. ტუდერი,
P. M. Henson, R. M. Tudor

სადისკუსიო კლუბი

- 60 დემენციის იდენტიფიცირებასთან, შეფასებასთან და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული გამოწვევების ხარისხობრივი კვლევა**
მეთე საგბაკენი, რაგნჰილდ სტორშტეინ სპილკერი, ტ. რუნე ნილსენი,
Mette Sagbakken, Ragnhild Storstein Spilker, T. Rune Nielsen

დამფუძნებელი
ბესიკ შამუგია

პასუხისმგებელი
რედაქტორი
შოთა ტაბატაძე

დიზაინერი
ბექა არაბული

მთარგმნელი
ანა ჟულინა

სტამბა
„პრინტ ჰაბი“

გამოცემა განკუთვნილია სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო სფეროს მუშაკებისათვის. ვრცელდება უფასოდ, სამედიცინო ღონისძიებებზე (სემინარი, სიმპოზიუმი და ა.შ). რედაქცია ყოველთვის არ ეთანხმება პუბლიკაციის ავტორის აზრს და უფლებას ითვებს, დაარედაქტიროს წარმოდგენილი მასალა. პუბლიკაციების გამოყენება, ნაწილობრივ ან მთლიანად, შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციის თანხმობით. სარეკლამო პუბლიკაციებზე პასუხისმგებლობას იღებს რეკლამის მომწოდებელი.

სარედაქციო კოლეგია

ალადაშვილი ალექსანდრე
(თბილისი, საქართველო)

ბეზარაშვილი ბაია
(თბილისი, საქართველო)

ბოხუა ზაზა
(თბილისი, საქართველო)

განკოვა-დუგანი ირინა
(მინსკი, ბელორუსია)

გორგილაძე ლევან
(ბათუმი, საქართველო)

გუბსკა ელენა
(კიევი, უკრაინა)

დოლჟენკო მარინა
(კიევი, უკრაინა)

ვაშაკიძე ელზა
(თბილისი, საქართველო)

ვაჭარაძე კახა
(თბილისი, საქართველო)

ზუპანეცი იგორი
(ხარკოვი, უკრაინა)

თავართქილაძე ალექსანდრე
(თბილისი, საქართველო)

იანუშევიჩი ანდრეი
(ვარშავა, პოლონეთი)

იარემენკო ოლეგი
(კიევი, უკრაინა)

ივერიელი მანანა
(თბილისი, საქართველო)

იმედაძე ავთანდილ
(თბილისი, საქართველო)

კარანაძე ნინო
(თბილისი, საქართველო)

კასრაძე სოფიო
(თბილისი, საქართველო)

კაციტაძე ალექსანდრე
(თბილისი, საქართველო)

კვიტაშვილი მარინა
(თბილისი, საქართველო)

კუშნეროვი ალექსანდრე
(მინსკი, ბელორუსია)

ლობჯანიძე გიია
(თბილისი, საქართველო)

ლომინაძე ზაზა
(ქუთაისი, საქართველო)

ლოშიძე ლიკა
(თბილისი, საქართველო)

მაისაია კონსტანტინე
(თბილისი, საქართველო)

მალდერი კრისტიან
(ამსტერდამი, ნიდერლანდები)

შურღაია იოსები
(თბილისი, საქართველო)

მელია ანზორ
(თბილისი, საქართველო)

მიქელაძე თემურ
(თბილისი, საქართველო)

მოროზი გალინა
(კიევი, უკრაინა)

ოკუჯავა ნათელა
(თბილისი, საქართველო)

ჟორჟოლიანი ლია
(თბილისი, საქართველო)

რიკოვი სერგეი
(კიევი, უკრაინა)

რუმინცევა გალინა
(მოსკოვი, რუსეთი)

სიდოროვა ლუდმილა
(კიევი, უკრაინა)

საგანელიძე ხათუნა
(თბილისი, საქართველო)

სიდოროვა ნატალია
(კიევი, უკრაინა)

სმიტი ალტა
(ბადენ-ბადენი, გერმანია)

ტვილდიანი ლევან
(თბილისი, საქართველო)

ქიტუაშვილი თინა
(თბილისი, საქართველო)

ყიფიანი კონსტანტინე
(თბილისი, საქართველო)

შალამბერიძე ლევან
(თბილისი, საქართველო)

შამუგია ბესიკ
(კიევი, უკრაინა)

შაქარიშვილი რომან
(თბილისი, საქართველო)

ცინცაძე ნერიმან
(ბათუმი, საქართველო)

ძიძიგური ნანა
(ქუთაისი, საქართველო)

ჭელიძე კახაბერ
(თბილისი, საქართველო)

ხელაია ალექსანდრე
(თბილისი, საქართველო)

ხერხეულიძე მაია
(თბილისი, საქართველო)

ხოჭავა მანანა
(თბილისი, საქართველო)

ჯავახიძე მალვინა
(თბილისი, საქართველო)

ჯანაშია ჯონი
(თბილისი, საქართველო)

ჯაფარიძე შოთა
(თბილისი, საქართველო)

ჯაში რუსუდან
(ბათუმი, საქართველო)

დიაბეტური ტერფის პრევენცია, შეფასება, დიაგნოზი და მართვა კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებზე დაყრდნობით

ალბერტო ჯ. პერეს-პანერო,

მაღაგას უნივერსიტეტი, პედიატრიის დეპარტამენტი, მაღაგა, ესპანეთი;

მარია რუის-მუნოსი,

მაღაგას უნივერსიტეტი, პედიატრიის დეპარტამენტი, მაღაგა, ესპანეთი;

ანტონიო ი. კესტა-ვარგასი,

მაღაგას უნივერსიტეტი, ფიზიოთერაპიის დეპარტამენტი, მაღაგა, ესპანეთი;

მანუელ გონსალეს-სანჩესი,

მაღაგას უნივერსიტეტი, ფიზიოთერაპიის დეპარტამენტი, მაღაგა, ესპანეთი;

Alberto J. Pérez-Panero, María Ruiz-Muñoz, Antonio I. Cuesta-Vargas, Manuel González-Sánchez

აბსტრაქტი

მიზანი: დიაბეტური ტერფის გართულებები დიაბეტის მქონე ადამიანებში პოსპიტალიზაციისა და ამპუტაციის ძირითადი მიზეზია და მათი პრევალენტობა 25%-მდეა. კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინები რეკომენდაციებია, რომლებიც ეფუძნება მტკიცებულებებს, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით. ამ კვლევის მთავარი მიზანი შეფასების და მკურნალობის სტრატეგიების დონეების სისტემური მიმოხილვა იყო, რომლებიც კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებშია ნაჩვენები, რომლებიც დიაბეტურ ტერფზე ან დიაბეტური ტერფის განყოფილებაზეა ფოკუსირებული. ამ კვლევის კიდევ ერთი მიზანი მტკიცებულებების დონის ანალიზი იყო, შერჩეული კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებით გაცემული რეკომენდაციების მხარდასაჭერად. მეთოდები: განხორციელდა სისტემური მიმოხილვა, სისტემური მიმოხილვისა და მეტა-ანალიზისთვის სასურველი საანგარიშო პუნქტების (PRISMA) მიხედვით, ხოლო ხარისხის შეფასება - კვლევისა და შეფასების სახელმძღვანელოს შეფასებით (AGREE II). შემონმდა შემდეგი მონაცემთა ბაზები: NICE, Cinahl, Health Guide, RAO, Sign, PubMed, Scopus და NCG. გამოყენებული საძიებო ტერმინები: „დიაბეტური ტერფი“, „გაიდლაინ(ებ)ი“, „პრაქტიკული გაიდლაინ(ებ)ი“ და „დიაბეტი“.

შედეგები: ჩართვის კრიტერიუმების შემონმებისა და ხარისხის შეფასების შემდეგ, შეირჩა თორმეტი სტატია. შესრულდა რეკომენდაციების შეჯამება და კლასიფიკაცია.

დასკვნები: CPG-ების მტკიცებულებებისა და რეკომენდაციების დონეების არაერთგვაროვნება, რომელიც DF-ის მენეჯმენტთან, მიდგომასთან და მკურნალობასთან მიმართებაში შედის, ართულებს მათ ინტერპრეტაციას და დაშვებას, კლინიკურ პრაქტიკაში ყველაზე სწორი პროცედურების შერჩევის მიზნით. ამის მიუხედავად და ამ ნაშრომში შეტანილი გაიდლაინების დეტალური შესწავლით, შეიძლება დავასკვნათ, რომ DF-ის მართვისთვის ძლიერ რეკომენდებული ინტერვენციებია დებრიდინგი (მტკიცებულების ძალიან მაღალი დონე და ძლიერ რეკომენდებული), ტერფის შეფასება (მტკიცებულების ზომიერი დონე და საკმაოდ რეკომენდირებული) და თერაპიული ფეხსაცმელი (მტკიცებულების ზომიერი დონე და საკმაოდ რეკომენდირებული).

აბრევიატურები: AGREE II = კვლევისა და შეფასების გაიდლაინები, Cinahl = საექთნო და მოკავშირე ჯანდაცვის ლიტერატურის კუმულაციური ინდექსი, CPGs = კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინები, DF = დიაბეტური ტერფი, NCG = გაიდლაინების ეროვნული ცენტრი, NICE = ჯანდაცვისა და ზრუნვის ბრწყინვალეების ეროვნული ინსტიტუტი, PRISMA = სისტემური მიმოხილვისა და მეტა-ანალიზის სასურველი საანგარიშო ელემენტები, RAO = ონტარიოს რეგისტრირებულ ექთანთა ასოციაცია.

საკვანძო სიტყვები: დიაბეტი, დიაბეტის გართულებები, მტკიცებულება, გაიდლაინი, მიმოხილვა

შესავალი

შაქრიანი დიაბეტი პათოლოგიაა, რომელიც მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანზე ახდენს გავლენას და მისი გლობალური პრევალენტობა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში სწრაფად

გაიზარდა, ^[1] და მოსალოდნელია, რომ ტენდენცია მომაგვალშიც გაგრძელდება, და 5.1%-დან 7.7%-მდე გაიზარდება 2030 წლისთვის. ^[2] დიაბეტური ნეიროპათია რთული პათოფიზიოლოგიური

დარღვევების პეტეროგენული ჯგუფია, რომელიც ნერვული სისტემის როგორც სომატურ, ისე ავტონომურ კომპონენტებზე ახდენს გავლენას.^[1] დიაბეტური ტერფი (DF), დიაბეტური ნეიროპათიის ერთ-ერთი კლინიკური გამოვლინებაა, რომელიც განისაზღვრება, როგორც ტერფის სტრუქტურული ან ფუნქციური ცვლილებები, როგორებიცაა წყლული, ინფექცია და/ან განგრენა, რომელიც დიაბეტურ ნეიროპათიასთან და პერიფერიულ სისხლძარღვთა სხვადასხვა ხარისხის დაავადებასთანაა ასოცირებული, რომელიც ინდუცირებულია შენარჩუნებული ჰიპერგლიკემიითა და წარსულში არსებული ტრავმული მიზეზებით გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ტერფზე დაზიანებები გამოვლენილი არ არის.^[3] DF აღწერილია ტკივილისა და მგრძნობელობის ტემპერატურის შემცირებით ჯერ, შემდეგ კი ვიბრაციული მგრძნობელობისა და ზედაპირული შეხების შემცირებით.^[3] შედეგად, DF-ის მქონე პაციენტებმა ნორმალურ სიტუაციებში შეიძლება მტკივნეული მექანიკური, ქიმიური ან თერმული სტიმული ვერ იგრძნონ.^[3,4] ეს პათოლოგიური პროცესები ისეთი გართულებების განვითარებას იწვევს, როგორებიცაა DF წყლული, შარკოს ოსტეოართროპათია, ხოლო შემდგომში წყლულები და ამპუტაცია, როგორც მდგომარეობის ყველაზე რთული განვითარება.^[5] DF-ის გართულებებს 25%-მდე პრევალენტობა ახასიათებს და დიაბეტის მქონე ადამიანებში ჰოსპიტალიზაციისა და ამპუტაციის ძირითად მიზეზს წარმოადგენენ.^[6] ტერფის პრობლემებისთვის დიაბეტის პათოლოგიაზე გამოყოფილი რესურსების 20%-დან 40%-მდე გამოიყენება.^[6]

კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინები (CPGs) რეკომენდაციებია, რომლებიც სისტემური მიმოხილვებიდან მტკიცებულებებს და სხვადასხვა ალტერნატივების რისკებისა და სარგებლის შეფასებას ეფუძნება, ჯანდაცვის ოპტიმიზაციის მიზნით.^[7]

ჩვენი ინფორმაციით, CPG-ებთან დაკავშირებით არ არის გამოქვეყნებული სისტემური მიმოხილვა, რომლებიც დიაბეტურ ტერფზე ან დიაბეტური ტერფის განყოფილებაზე ფოკუსირებული, რომელიც მათი ვალიდურობის შეფასებასა და რეკომენდაციების ხარისხებისა და მტკიცებულებების დონეების ანალიზს გვიწვევს.

ამ კვლევის მთავარი მიზანი შეფასების და მკურნალობის სტრატეგიების დონეების სისტემური მიმოხილვა იყო, რომლებიც კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებშია ნაჩვენები, რომლებიც დიაბეტურ ტერფზე ან დიაბეტური ტერფის განყოფილებაზე ფოკუსირებული. ამ კვლევის კიდევ ერთი მიზანი მტკიცებულებების დონის ანალიზი იყო, შერჩეული კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებით გაცემული რეკომენდაციების მხარდასაჭერად.

მეთოდები

ეს სისტემატური მიმოხილვა ორგანიზებული იყო PROSPERO-ში რეგისტრირებული პროტოკოლის მიხედვით, საცნობარო ნომრით CRD42018095922 და

სისტემური მიმოხილვისა და მეტაანალიზის უპირატესი ანგარიშგების პუნქტების (PRISMA) განცხადების თანახმად იყო წარმოდგენილი.

ძიების სტრატეგია

ძიებისა და შერჩევის სტრატეგია ორი დაფარული მკვლევარის მიერ შემუშავდა. შემოწმდა შემდეგი მონაცემთა ბაზები: NICE, Cinahl, Health Guide, RAO, Sign, PubMed, Scopus და NCG. გამოყენებული საძიებო ტერმინები: „დიაბეტური ტერფი“, „გაიდლაინ(ებ)ი“, „პრაქტიკული გაიდლაინ(ებ)ი“ და „დიაბეტი“. დოკუმენტების ძიებასა და შერჩევაში ნებისმიერი სხვაობა მესამე გარე და დაფარული რეცენზენტის მიერ განისაზღვრა.

დასაშვებობის კრიტერიუმები

მოსახლეობა: დიაბეტური ტერფის დიაგნოზის მქონე პაციენტები. ინტერვენცია: დიაბეტური ტერფის პრევენცია, შეფასება, დიაგნოსტიკა და მართვა.

შედარება: კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინები, მაღალი შიდა ვალიდობით.

გამოსავალი: მტკიცებულების დონე და რეკომენდაციის ხარისხი.

2.3 გამორიცხვის კრიტერიუმები

განხილულ იქნა 2018 წლის დეკემბრამდე გამოქვეყნებული CPG-ები. მასში ინგლისური დოკუმენტები შედიოდა.

გამორიცხა CPG-ები, რომელთა სათაური ან რეზიუმე მიმდინარე მიმოხილვას არ ემთხვეოდა, ასევე ისინი, ვინც არ ახდენდა მტკიცებულებების დონეებისა და რეკომენდაციების ხარისხების კლასიფიცირებას.

CPG-ის ყველა წინა ვერსია გამოირიცხა.

2.4. ხარისხის შეფასება

შერჩეული CPG-ების ხარისხი ორმა დაფარულმა მკვლევარმა შეაფასა, კვლევისა და შეფასების სახელმძღვანელოს შეფასების მიხედვით (AGREE II)^[8], რომელიც 23 ელემენტის მქონე შკალაა, რომელიც 6 დომენადაა დაყოფილი, რასაც გლობალური ქულის 2 ერთეული მოჰყვება („საერთო შეფასება“), რომელთაგანაც თითოეული დომენი გაიდლაინის ხარისხის ერთ განზომილებას შეესაბამება, ხოლო საერთო შეფასება გაიდლაინის საერთო ხარისხის ქულას მოიცავს, ასევე იმას, რეკომენდირებულია თუ არა გაიდლაინი.

AGREE II-ის 6 დომენიდან თითოეულისთვის ხარისხის ქულა დამოუკიდებლად გამოითვლება. თითოეული დომენის ქულა თითოეულ დომენში შემავალი ერთეულების ყველა ქულის შეჯამებით გამოითვლება, ხოლო ამ დომენის მაქსიმალური ქულა პროცენტის სახითაა წარმოდგენილი. მას შემდეგ, რაც გამოითვლება 23 ელემენტი, იგი გვანჯდის სახელმძღვანელოს მაჩვენებლის საერთო შეფასებებს 1-დან (ყველაზე დაბალი შესაძლო ხარისხი) და 7-დე (ყველაზე მაღალი ხარისხის). „ხარისხის CPG“ ის იყო, ვინც 4-ზე მეტი საერთო ქულა დააგროვა. მას შემდეგ, რაც დოკუმენტები AGREE II ინსტრუმენტის გამოყენებით შეფასდა და საბოლოოდ შეირჩა, მოხდა

მიღებული შედეგების სინთეზირება.

2.5. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები ყველა შესაბამისი რეკომენდაციის თითოეული სტანდარტიზებული ხარისხის გათვალისწინებით შეჯამდა. უფრო დიდი აქცენტი უმაღლესი საერთო ხარისხის ქულის (AGREE II) მქონე სახელმძღვანელო რეკომენდაციებზე გაკეთდა.

შერჩეულ CPG-ებში ნაჩვენები სხვადასხვა დონის მტკიცებულებების გაერთიანების მიზნით, ლიტერატურის მიხედვით შედგენილია მარტივი, თუმცა სრული შკალა. ^[9] ეს შკალა, რომელიც ცხრილი 1-შია ნაჩვენები, საშუალებას გვაძლევს თითოეული CPG-დან ამოღებული სხვადასხვა შედეგები შევადაროთ ერთმანეთს და გარკვეული მნიშვნელობები მივანიჭოთ, მტკიცებულების დონის მიხედვით.

ამასთან, ცხრილი 1 რეკომენდაციების კლასიფიკაციის ხარისხებს აჩვენებს.

3. შედეგები

3.1. ხარისხის შეფასება

შეფასებული 22 გაიდლაინიდან 10 გამოირიცხა, AGREE II ინსტრუმენტის გამოყენებით მინიმალური ქულის მიღების გამო. RAO სახელმძღვანელომ ^[10], დანარჩენ CPG-ებთან შედარებით, უმაღლესი ხარისხი აჩვენა. ამ კუთხით, Kennon ^[11] და NICE

^[12] სახელმძღვანელოებმა მაღალი ქულა მიიღეს. შედეგები დეტალურად ნაჩვენებია ცხრილში 2

3.2. რეკომენდაციების შეჯამება

ბლოკ-სქემაში ნაჩვენებია საწყისი საძიებო დოკუმენტები და საბოლოო დოკუმენტებს, რომლებიც გამოირიცხვის კრიტერიუმების შემდეგ შევიდა. შეირჩა თორმეტი სტატია. შეტანილი რეკომენდაციების დეტალური შეჯამება და კლასიფიკაცია დეტალურად ნაჩვენებია ცხრილი 1-ში.

4. დისკუსია

ამ კვლევის მიზანი მიმდინარე გაიდლაინების საფუძველზე მიმოხილვა იყო, რომლებიც CPG-ებში DF-ის სამართავად შედის. CPG-ების ხარისხი AGREE II ინსტრუმენტის გამოყენებით შეფასდა. მან მტკიცებულებების დონეებისა და რეკომენდაციების ხარისხების შეჯამება წარმოადგინა, რომლებიც, შერჩეული CPG-ების მიერ მოწოდებული შედეგების მიხედვით, DF-ის დიაგნოზის, მდგომარეობისა და მკურნალობისთვისაა გამოსადეგი. შედეგების გაანალიზების შემდეგ მტკიცებულებათა დონეებთან და რეკომენდაციების ხარისხებთან დაკავშირებით შეტანილი გაიდლაინების უმეტესობაში თანმიმდევრულობა შეიმჩნევა.

ცხრილი 1. შერჩეული CPG-ების მტკიცებულებების დონეები და რეკომენდაციების ხარისხები.

	Barry, P. et al [30]	Teage, L.M. et al [42]	Kennon B. et al [12]	Antón, M. et al [31]	Daza, P. et al [15]	NICE 2015 [13]	RAO 2015 [16]	Jones N.J. et al [29]	Hingorani MD et al. [19]	Astbury, J. et al [38]	CJD Canada [43]	NHM Indian [39]
შეფასება												
ფეხის შეფასება	Co		B	A	B	D	B	A	B	D	A	B
სკრინინგი	Co		B	D	B	C	B	B		D	C	B
შარკოს ფეხი	Co		Co			D	C			D		C
მკურნალობა												
თერაპიული ფეხსაცმელი			B		B		A	A	B	B		D
გადატვირთვა	Co		B		B	D	B	A	B	B	Co	
დებრისი	Co				D	A	A	A	A	B	A	C
სპეციალური ტანსაცმელი	Co				B			A		B	C	
ანტიბიოთერაპია	Co		Co		D	D	B	B	B	B		D
ადიუვანტური მკურნალობა	Co		B		B	D		B		B		C
ნეიროპათიური ტიპიური მულტი-დისციპლინური ჯგუფი	Co		A			C	C	B				
განათლება	Co		C	Co		D		A		B	C	D
			B		B	Co	D	A	A	D	Co	C
რეკომენდაციების ხარისხი												
მტკიცებულების დონე												
					A	B	C	D	Co			
ძლიერ რეკომენდებული	საკმარისად რეკომენდებული	მცირედით რეკომენდებული	რეკომენდაციის გარეშე	ძალიან მაღალი/ მაღალი	საშუალო/ ნახევარი	დაბალი	ძალიან დაბალი	საჭევო				

ცხრილი 2. AGREE II-ს შედეგები პროცენტებში

დადასტურების II შედეგები გამოხატული პროცენტულად

CPGs Domain/CPGs	RNAO 2015 ^[16]	Astbury J et al ^[38]	Kennon B et al ^[12]	NICE 2015 ^[13]	Barry P et al ^[30]	NHM Indian ^[39]	Antón, MA et al ^[31]	Jones NJ et al ^[29]	Teage LM et al ^[42]	Daza P et al ^[15]	CJD Canada ^[43]	Hingorani MD et al ^[19]
Domain 1 (მიზანი)	77.77%	77.77%	72.22%	55.55%	77.77%	55.55%	72.22%	66.66%	72.22%	72.22%	50%	33.33%
Domain 2 (დინამიკის/გეგმვის ჩართ.)	33.33%	61.11%	77.77%	33.33%	61.11%	33.33%	55.55%	27.77%	66.66%	55.55%	50%	22.22%
Domain 3 (განვითარების ხარისხი)	61.22%	57.17%	51.02%	63.26%	59.18%	51.02%	34.69%	59.18%	48.97%	32.65%	65.30%	46.93%
Domain 4 (პრევენციის სიხადე)	77.77%	72.22%	72.22%	55.55%	72.22%	55.55%	72.22%	50%	55.55%	72.22%	44.44%	44.44%
Domain 5 (ჩართულობა)	45.83%	50%	50%	45.83%	29.16%	45.83%	33.33%	42.85%	20.83%	20.83%	20.83%	20.83%
Domain 6 (სარედაქციო დამოუკ.)	83.33%	16.66%	8.33%	83.33%	25%	83.33%	41.66%	75%	8.33%	41.66%	33.33%	66.66%
საერთო (%)	66.45%	63.32%	62.11%	62.11%	61.49%	59%	58.38%	57.14%	54.65%	53.41%	51.55%	49.68%
Global (1-7)	5	5	5	5	5	5	5	5	4	4	4	4

არსებობს პრობლემა, რომელიც წინა კვლევაში იყო იდენტიფიცირებული, რომელიც რეკომენდაციების ცვალებადობას უსვამს ხაზს, რომლებიც სხვადასხვა კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინითაა შემოთავაზებული. ^[13] კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინები, როგორც კლინიკური პროფესიონალის საცნობარო დოკუმენტი, აუცილებელია მათთვის, ვინც ამ ტიპის დოკუმენტებს ამზადებს, რათა უმაღლესი მეთოდოლოგიური ხარისხი მოიძიოს, ისე, რომ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც გაკეთდა, მტკიცებულების ყველაზე გონივრული დონე ჰქონდეთ და წარმოდგენილი იყოს ისე, რომ სხვა CPG-ებს მარტივი გზით შედარდეს. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დიაბეტური ტერფის მქონე პაციენტებში იმ შეფასებისა და შემდგომი სტრატეგიების იდენტიფიცირების პროცესს, რომლებსაც რეკომენდაციის უმაღლესი ხარისხი და მტკიცებულების ყველაზე ძლიერი დონე აქვთ.

4.1. ტერფის შეფასება

ყველა გაიდლაინი თანხმდება ტერფისა და ფეხსაცმლის დეფორმაციების არსებობის, სიარულის, ვარჯიშის შესრულების უნარისა და პაციენტის რისკის განსაზღვრის შეფასების მნიშვნელობაზე. ტერფის შეფასებასთან დაკავშირებით, ნაპოვნია მტკიცებულების B დონე, ხოლო რეკომენდაციის ხარისხი ძლიერაა რეკომენდირებულია. ამის შესაბამისად, არსებობს ლიტერატურა, რომელიც ტერფის შეფასების მნიშვნელობას უჭერს მხარს, ვარაუდობს რა, რომ ტერფის რუტინული შეფასება უკიდურესად მნიშვნელოვანია და დიდი როლი აქვს წყლულების და დიაბეტით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილობის პრევენციაში. ^[14]

ტერფის შეფასების მნიშვნელობის შესახებ კონსენსუსის მიუხედავად, კონსულტირებული CPG-ები არ მოიცავენ Semmes-Weinstein-ის მონოფილამენტს, კამერტონს ან ტემპერატურის მონიტორინგს. ეს DF-ის შეფასების სისტემებია, რომლებსაც კლინიკური გამოყენების მაღალი სიხშირე აქვთ. ^[15,16] 10-გრამიანი წნევა ის წნევაა, რომელსაც შეუძლია ბრილი ქსოვილები დაიცვას, როგორც მტკივნეული აგრესიებისგან დამცავმა ბარიერმა. ^[17,18] იგი მტკიცებულების A დონეს და რეკომენდაციის მაღალ ხარისხს აჩვენებს. ^[16,19] იგი ღრმა მგრძნობელობას (მგრძნობელობა წნევის მიმართ) და ზედაპირულ მგრძნობელობას (მგრძნობელობა ტკივილის მიმართ) ზომავს. ამ მონოფილამენტის სპეციფიკურობა 80%-ზე მაღალია, ხოლო მგრძნობელობა - 95%-ზე მაღალი.

^[17,18]

არსებობს კვლევა, რომელიც აჩვენებს ეჭვებს ნეიროპათიის ადრეულ გამოვლენაში მონოფილამენტის მგრძნობელობის შესახებ, და შემუშავებულია პროტოკოლი შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში მონოფილამენტური ტესტების ჩასატარებლად. ^[20] ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მონოფილამენტი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მონოფილამენტსა და ქვედა კიდურების ამპუტაციებს შორის კავშირის დასადგენად მეთი კვლევა უნდა ჩატარდეს. ^[20-22]

კამერტონს (რაიდერ-სიფერი)მტკიცებულების B დონე აქვს. ^[15] კამერტონი ღრმა (ვიბრაციული) მგრძნობელობას აფასებს და წარმოადგენს 0-დან 8-მდე გრადუირებულ აღმავალ ნიშნულებს, რომლებიც ფუძიდან იწყება. ^[23,24]

არსებობს კვლევა, რომელიც ვარაუდობს, რომ კამერტონი DN-ის რაოდენობრივ შეფასებას უზრუნველყოფს და შეუძლია მძიმე ნეიროპათიის დიაგნოსტიკა, მაშინაც კი, როდესაც 10 გ Semmes-Weinstein-ის მონოფილამენტური ტესტის საშუალებით ნორმალური შედეგია მიღებული. ^[25] ტერფის წყლულების რისკი ვიბრაციული მგრძნობელობის დაქვეითებასთან ასოცირდება; ამიტომ, მისი უფრო ადრე და უფრო ზუსტად დადგენა სწორედ კამერტონით შეიძლება.

მეტა-ანალიზი და მიმოხილვა ასკვნის, რომ ტემპერატურის მონიტორინგის საშუალებით შეფასება შესაძლებელი და შესაბამისი მეთოდია, გამოყენების შესაძლო ფართო სპექტრით, და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს DF-ის მოვლისას, სუბიექტური შეფასებიდან, მაღალი რისკის მქონე პაციენტების ობიექტურ შეფასებამდე. ^[26,27]

4.2. სკრინინგი

სკრინინგი ეფუძნება წინდების შემოწმებას, ტერფებისა და ფეხების ინსპექტირებას, ჰიგიენის, ფეხის ფრჩხილების, პულსების, ტერფის სიძლიერის, მოძრაობისა და მგრძნობელობის შემოწმებას, რის საფუძველზეც შეიძლება რისკის დონე განისაზღვროს, რაც ტერფების ცვლილების რისკის ქვეშ მყოფი პაციენტების იდენტიფიცირებას და დამცავი ზომების დაწყებას უწყობს ხელს, ქვედა უკიდურესი ამპუტაციის თავიდან ასაცილებლად. ^[28]

CPG-ებიდან ამოღებული შედეგები სკრინინგის რეკომენდაციებთან დაკავშირებით განსხვავებას აჩვენებს. ძირითადად, CPG-ები სკრინინგს რეკომენდაციას უწევენ, მტკიცებულების B-C დონისა და რეკომენდაციის საკმაოდ მაღალი ხარისხის საფუძველზე. ^[11,12,15,16,29] თუმცა, Barry et al ^[30]

და Antón et al ^[31] არ წარმოადგინეს საკმარისი მტკიცებულება, მათი რეკომენდაციის გასამყარებლად.

ტერფის სკრინინგის ერთ-ერთი მთავარი მიზნის პაციენტების უგულებელყოფა/დავინწყებაა. შაქრიანი დიაბეტის მქონეთათვის ტერფის ყოველწლიური შემოწმების გამოტოვება დიაბეტთან დაკავშირებული ტერფის პრობლემების ბუნებას, დიაბეტის მქონე პაციენტებს, ჯანდაცვის სპეციალისტებსა და ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურას უკავშირდება. ^[32] არსებული ლიტერატურა ხელს არ უწყობს არც მტკიცებულებებისა და არც რეკომენდაციების ხარისხების კონსოლიდაციას. ^[13]

4.3. შარკოს ტერფი

შარკოს ტერფი ცხოვრების ხარისხის დაქვეითებასთან და სიკვდილიანობასთანაც კი ასოცირდება. ^[33] გარდა ამისა, შარკოს ტერფთან დაკავშირებული თანმხლები დაავადებების მკურნალობის ხარჯები მხოლოდ პერიფერიული DN-ის მკურნალობის ხარჯებთან შედარებით 17.2%-ით მაღალია. იგი ხშირად გაფრთხილების გარეშე ჩნდება და სწრაფად პროგრესირებს, ხდება ტერფის სერიოზული და შეუქცევადი დეფორმაცია, რომელიც იწვევს წყლულს ან თუნდაც ამპუტაციას. ^[33]

DF წყლულის სიხშირე წელიწადში 17%-ია, ხოლო ქვედა კიდურების ამპუტაციის რისკი 12-ჯერ მეტია პაციენტებში, რომლებსაც შარკოს ტერფის დეფორმაცია და წყლული აქვთ, მათთან შედარებით, ვისაც მხოლოდ შარკოს ტერფი აქვს. ^[33]

გაანალიზებული CPG-ების უმრავლესობა ამ პათოლოგიის შესახებ მონაცემებს არ აჩვენებს; CPG-ებს, რომლებიც მათი მენეჯმენტის შესახებ ინფორმაციას აჩვენებენ, მტკიცებულების C-D დონე და დაბალი ხარისხის რეკომენდაცია აქვთ. ^[12,17,34,35]

ერთადერთი დადასტურებული მკურნალობა, რომელიც ოქროს სტანდარტად ითვლება, მთლიანი კონტაქტური სახვევია (TCC). შარკოს ტერფის მკურნალობაში გამოყენებულმა ბოლო ფარმაკოლოგიურმა თერაპიებმა ეფექტურობა არ აჩვენა და კლინიკური პრაქტიკისთვის რეკომენდებული არაა. საჭიროა ახალი თერაპიული მიდგომები, რათა მწვავე ეტაპზე თავიდან იქნას აცილებული შარკოს ტერფის ძვლის განადგურება. ^[36]

4.4. თერაპიული ფეხსაცმელი

გაიდლაინების უმეტესობა თერაპიული ფეხსაცმლის რეკომენდაციაზე თანხმდება, მტკიცებულების B დონით, თუმცა, რეკომენდაციის ზომიერი ხარისხით. Astbury et al ^[37] და Daza et al. ^[15] თერაპიული ფეხსაცმლის გამოყენებას მხოლოდ იმ პაციენტებს უწევს რეკომენდაციას, ვისაც ტერფის დეფორმაცია აწუხებთ, ხოლო Kennon et al ^[11] მის გამოყენებას დიაბეტის მქონე ყველა პაციენტს ურჩევს, რათა შეამციროს ტერფის პათოლოგიებისა და დაწყულულების რეციდივი.

ლიტერატურა შაქრიანი დიაბეტის მქონე ყველა ადამიანის მიერ თერაპიული ფეხსაცმლის გამოყენებას გვთავაზობს, ფეხის დასაცავად და სწორ პოზიციაში დასაყენებლად, რათა პათოლოგიებისა და წყლულების შემთხვევების ინციდენტობა შემცირდეს. ითვლება, რომ ეს თავიდან ააცილებს ფეხსაცმლით

გახეხვას და ხახუნს, თუმცა, ყოველთვის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს. ^[39,40]

4.5. განტვირთვა

წნევის მოხსნა თერაპიული პროცედურაა, რომელიც დაზიანებულ ადგილზე წნევის შემცირებაზეა ორიენტირებული. არსებობს გარკვეული შესაბამისობა მათ შორის, ვინც წნევის წყლულების შესამცირებლად მის გამოყენებას ურჩევს ^[11,15,19,29,41] და მათ შორის, ვინც ამის წინააღმდეგია, ვინაიდან ისინი ვერ პოულობენ საკმარის მტკიცებულებებს მისი ეფექტურობის შესახებ. ^[30,42]

Astbury et al, ^[37] Daza et al ^[15] და Kennon et al ^[11] თანხმდებიან, რომ წარმატებული განტვირთვისთვის, უნდა არსებობდეს საერთო კონტაქტური არტაზნი, მტკიცებულების B დონით და ზომიერიდან მაღალი რეკომენდაციით. თავის მხრივ, Daza et al ^[15] და Kennon et al ^[11] ვარაუდობენ, რომ უძრავი მინის არტაზნები TCC-ის ალტერნატივაა, მტკიცებულების B დონით და ზომიერი რეკომენდაციით.

Barry et al ^[30] და კანადის დიაბეტის კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების ექსპერტთა კომიტეტი (DCPGEC) ^[42] მის გამოყენებას არ გამორიცხავენ, თუმცა, ისინი ადასტურებენ, რომ მას საკმარისი მითითება არ აქვს მისი ეფექტურობის ან რეკომენდაციის მტკიცებულების დასამტკიცებლად.

4.6. დებრიდინგი

დებრიდინგიარის ტექნიკა, რომელიც ჭრილობისგან ჩირქოვან ან ნეკროზულ ქსოვილს აშორებს. ეს ნეკროზული ქსოვილი მოქმედებს ბარიერივით, რომელიც ჭრილობის კიდეების მიახლოებას უშლის ხელს, მისი მოცილება კი ჭრილობის შეხორცების საშუალებას იძლევა. ^[15,30,43,44]

გაანალიზებული CPG-ების უმრავლესობა დებრიდინგის გამოყენებას მხარს უჭერს, მტკიცებულების A დონითა და მაღალი ხარისხის რეკომენდაციით. ^[12,16,19,29,42] დებრიდინგი DF-ის სამოქმედო ერთ-ერთ ყველაზე რეკომენდებულ ტექნიკად ითვლება.

შერჩეული CPG-ებიდან მხოლოდ Barry et al ^[30] ადასტურებენ, რომ მისი გამოყენება საკამათოა, არაზუსტი მტკიცებულებების გამო, თუმცა, კონკრეტულ ტექნიკაზე არ მიუთითებენ, მიუხედავად იმისა, რომ მის სარგებლიანობას მტკიცებულებების მიღმა მიიჩნევენ. თუმცა, Daza et al ^[15] რეკომენდაციას უწევენ ნეკროზული ქსოვილის ქირურგიული გზით მოცილებას და დებრიდინგის სახით ჰიდროგელის გამოყენებას გვთავაზობენ.

ხელმისაწვდომი ლიტერატურა შერჩეული CPG-ების უმეტესობას ემთხვევა და დებრიდინგის რამდენიმე მეთოდის ეფექტურობას უჭერს მხარს, როგორებიცაა ქირურგიული, ავტოლიზური და ლარვული დებრიდინგი. ^[43,44]

2010 წელს გამოქვეყნებულ კოპრინის სისტემატურ მიმოხილვაში (მტკიცებულების დონე A) ნათქვამია, რომ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჰიდროგელი, მარლის სახვევებთან ან სტანდარტულ მოვლასთან შედარებით, DF-ის წყლულების განკურნების სიჩქარეს ზრდის და რომ ლარვულმა დებრიდინგმა ჭრილობის ფართობის მნიშვნელოვნად უფრო დიდი

შემცირება გამოიწვია, ჰიდროგელთან შედარებით^[44]; ამიტომ, ეს ტექნიკა ჩართული უნდა იყოს CPG-ებში, მათი რეკომენდაციისთვის გამოქვეყნებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

4.7. სახვევები

ამ ტექნიკის გამოყენებისთვის მცირე მტკიცებულებები არსებობს, მის მხარდასაჭერად ან უარყოფისთვის. თუმცა, Daza et al,^[15] Astbury et al^[37] და DCPGEC^[42] მის გამოყენებას მტკიცებულების, შესაბამისად, B^[15,37] და C დონეებით^[42] და დაბალი ხარისხის რეკომენდაციით უწევნ რეკომენდაციას. Astbury et al^[37] და Barry et al^[30] იმ ფაქტზე თანხმდებიან, რომ სახვევების არჩევანი ხარჯების ეფექტურობაზე, პროფესიულ გამოცდილებასა და ჭრილობის შეფასებაზე დამოკიდებული, ისევე როგორც პაციენტის უპირატესობაზე.

2015 წელს გამოქვეყნებულ კოპრინის სისტემატურ მიმოხილვაში (მტკიცებულების დონე A) ნათქვამია, რომ ამჟამად სახვევებს შორის განსხვავებების შესახებ არ არსებობს მყარი მტკიცებულება, DF წყლულების ნებისმიერი შედეგისთვის, რომლის მკურნალობაც ნებისმიერ გარემოში ხდება.

სახვევებთან დაკავშირებით არსებული მტკიცებულებები, მის გამოყენებასთან დაკავშირებით სპეციფიკურ რეკომენდაციებს მოიცავს და, შესაბამისად, მისი ეფექტისა და სარგებლობის შესაფასებლად მეტი კვლევაა საჭირო.^[37,42,45]

4.8. ანტიბიოტიკოთერაპია

რაც შეეხება ანტიბიოტიკებს, არცერთი სახელმძღვანელო არ იძლევა კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ თითოეულ შემთხვევაში რომელი უნდა იქნას გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ მათი მტკიცებულების დონესა და რეკომენდაციის ხარისხთან დაკავშირებით გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს, ამ მიმოხილვისთვის შერჩეულ CPG-ებში მტკიცებულების B დონე და რეკომენდაციის მაღალი ხარისხი ჭარბობს. CPG-ების უმეტესობა რეკომენდაციას უწევს ინფექციის კონტროლს, კონკრეტული ანტიბიოტიკის მითითების გარეშე. Daza et al^[15] და Barry et al^[30] ამ პრეპარატებს გვირჩევენ, როდესაც წყლულები პროგრესირებადია, არ განიკურნება და ინფექციის ნიშნები აქვს. მკურნალობის არჩევანი მიკროორგანიზმების რეზისტენტობის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს.

იმის გამო, რომ მაღალი ხარისხის მტკიცებულებათა კვლევებმა არ მოიპოვა მტკიცებულება, რომ აჩვენოს, რომ ერთი ტიპის ანტიბიოტიკი უფრო ეფექტურია, ვიდრე მეორე, Kennon et al^[11] ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყებას გვირჩევენ, თუკი ადგილი აქვს ინფექციას ან ოსტეომიელიტს, და მკურნალობის შეცვლას მასზე რეაქციისა და ბაქტერიოლოგიური ცნობების მიხედვით.

Barry et al^[30] ზომიერი ინფექციებისას პერორალური ანტიბიოტიკების მიღებას გვირჩევენ, რომლებსაც გრამ-დადებითი მიკროორგანიზმების წინააღმდეგ მოქმედება აქვთ,^[46] ხოლო ზომიერიდან მძიმე ინფექციების შემთხვევაში, ანტიბიოტიკებს გრამ-დადებითი და გრამ-უარყოფითი მიკროორგანიზმების წინააღმდეგ, ანაერობული

ბაქტერიების ჩათვლით. ზომიერი ინფექციების დროს შეყვანის გზა პერორალური ან ინტრავენური, ხოლო ექსკლუზიურად მძიმე ინფექციების დროს - ინტრავენური. იმის გამო, რომ მტკიცებულებები შეზღუდულია, მიზანშეწონილია სამომავლოდ კვლევები ჩატარდეს, საბოლოო შედეგების მისაღწევად.

სხვადასხვა კვლევები,^[47,48] რომელთა შორისაც კოპრინის სისტემატური მიმოხილვაა,^[47] ვარაუდობს, რომ მეტი კვლევაა საჭირო, რათა ტერფის ინფექციების სამკურნალოდ ანტიბიოტიკების ეფექტურობა შეფასდეს, ვინაიდან არ არსებობს მაღალი ხარისხის მტკიცებულების მქონე საკმარისი ოდენობით კვლევები; ძირითადად, კვლევის დიზაინის შეზღუდვითა და არსებული ლიტერატურის, შეფასებული ანტიბიოტიკების მრავალფეროვნების, მკურნალობის ხანგრძლივობისა და შედეგების დროში შეფასების განსხვავებებითაა განპირობებული.^[47,48]

4.9. დამხმარე მკურნალობა

მტკიცებულებების დონეები დამხმარე მკურნალობასთან დაკავშირებით B დონიდან^[11,15,29,37] C დონემდე მერყეობს.^[30] რეკომენდაციის ხარისხი კი მკაცრად რეკომენდებულიდან^[11,14] არარეკომენდებულამდე მერყეობს.^[12,29,30,39]

Barry et al^[30] და Astbury et al^[37] თანხმდებიან, რომ, ვინაიდან ისინი ძალიან ძვირია, დამხმარე მკურნალობა რუტინულად არ არის შემოთავაზებული და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ კლინიკური კვლევის ნაწილის სახით.

გრანულოციტების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორი (G-CSF) ძვლის ტვინიდან ნეიტროფილების ენდოთელური პროგენიტორული უჯრედების გამოყოფას ზრდის და აუმჯობესებს ნეიტროფილების ფუნქციას, რაც დიაბეტის მქონე ადამიანებში ხშირად ზიანდება; ამგვარად, G-CSF შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც DF ინფექციების დამხმარე თერაპია.^[3,49]

G-CSF-თან დაკავშირებული ხელმისაწვდომი მტკიცებულება მცირეა, თუმცა, იგი ვარაუდობს, რომ DF-ის ინფექციის G-CSF-ით მკურნალობა, ინფიცირებული წყლულების ჩათვლით, ინფექციის მოგვარების ან ტერფის წყლულის განკურნების ალბათობას არ ზრდის.^[49] თუმცა, როგორც ჩანს, იგი ქირურგიულ ჩარევებს ამცირებს, განსაკუთრებით კი ამპუტაციებს და ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობას.^[49] კლინიკისტებმა შეიძლება DF ინფექციების ჩვეულ მკურნალობაში G-CSF-ის დამატება განიხილონ, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ინფექცია, რომელიც საფრთხეს უქმნის კიდურს, თუმცა, უცნობია, რომელი პაციენტი შეიძლება იყოს ამისთვის შესაფერისი.

რაც შეეხება უარყოფითი წნევით თერაპიას (NPT), ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არსებობს. ერთი მხრივ, მტკიცებულების B დონით და რეკომენდაციის ძლიერი ხარისხით, Kennon et al სხვები^[11] ამ თერაპიის გამოყენებას DF-ის წყლულების მქონე ყველა პაციენტში გვირჩევენ, თუმცა, Barry et al^[29] გვირჩევენ, რომ მისი გამოყენება მხოლოდ კლინიკურ კვლევებში ან ბოლო ალტერნატივის სახით შემოიფარგლება.

არსებობს 2017 წლის მიმოხილვა და მეტა-ანალიზი, რომელიც DF წყლულების მკურნალობაში NPT-ის ეფექტურობას აანალიზებს. NPT-ის დადასტურებული შედეგები DF წყლულების სამკურნალოდ ეფექტური, უსაფრთხო და მომგებიანია, ამიტომ CPG უნდა შეიცავდეს ამ ინფორმაციას, პროფესიონალების ცოდნისა და გამოყენებისთვის. [50]

4.10. ნეიროპათიური ტკივილი

ამ მიმოხილვაში შეტანილი CPG-ების ნახევარზე ნაკლებში არაა ინფორმაცია ნეიროპათიური ტკივილის შესახებ. ნეიროპათიური ტკივილის მკურნალობა მტკიცებულების დონეს წარმოადგენს, რომელიც A-დან C-მდე მერყეობს, [11,12,16], თუმცა, მკაცრად რეკომენდებულია Kennon et al-ისა [11] და NICE-ის [12] მიერ, ხოლო ზომიერად რეკომენდებულია RNAO-ს მიერ. [16] Barry et al [30] ვარაუდობენ, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებები მის მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ხოლო Teage et al [41] გვიჩვენებს, რომ ნეიროპათიური ტკივილის მკურნალობა რეკომენდებული არ არის.

Kennon et al [11] ვარაუდობენ, რომ ნეიროპათიური ტკივილისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტიდეპრესანტები (ვენლაფაქსინის, დულოქსეტინისა და ტრიციკლების ჩათვლით), ანტიკონვულსანტები (პრეგაბალინისა და გაბაპენტინის ჩათვლით) და გაბაპენტინთან კომბინირებული ოპიოიდები.

სურსათისა და წამლების ადმინისტრაციის მიერ ოფიციალურად მხოლოდ დულოქსეტინი და პრეგაბალინია დამტკიცებული; ნეიროპათიური ტკივილის სამკურნალოდ ტრიციკლური ანტიდეპრესანტები კლინიკურ კვლევებში იყო ეფექტური. [51-53]

4.11. მულტიდისციპლინური გუნდი

მულტიდისციპლინური ჯგუფის მეშვეობით DF-ის მკურნალობისთვის CPG-ების რეკომენდაციები გარკვეულ განსხვავებების შესახებ გვამცნობენ. Astbury et al, [37] Kennon et al [11] და NICE [12] გვთავაზობენ მულტიდისციპლინურ ინტერვენციას, თუმცა, მისი მტკიცებულების დონე B-სა [37] და D-ს შორის მერყეობს. [12,38] Barry et al [30] აცხადებს, რომ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები რეკომენდაციის ხარისხთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან რეკომენდირებულსა [12,38] და ცოტათუ რეკომენდირებულს/საერთო არარეკომენდებულს შორის მერყეობს. [30,42]

თუმცა, არსებობს ლიტერატურა, რომელიც ვარაუდობს, რომ მულტიდისციპლინურ გუნდს, შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტების შესაფასებლად < დადებითი შედეგების მიღწევა [19,54-56] და ამპუტაციების სიხშირის შემცირება კი შეუძლია. [57] თუმცა, გამოქვეყნებულ კვლევებში მტკიცებულებების ნაკლებობისა და ჰეტეროგენურობის გამო, ეს შედეგები სიფრთხილით უნდა იქნას განმარტებული [58,59]

4.12. განათლება

განალიზებული CPG-ების უმეტესობა თანხმდება, რომ ტერფის მოვლის განათლება წყლულის რისკის პრევენციის არსებითი ნაწილია და, უფრო კონკრეტულად, Teage et al [41] წყლულის მოვლაზე

განათლების შესახებ განყოფილებას მოიცავს. მტკიცებულების დონეები A-დან (ძალიან ძლიერი), Hingorani et al [19] თანახმად, D-მდე (დაბალი), RNAO-ს, [17] Jones et al [29] და Astbury et al [37] თანახმად, მერყეობს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი CPG-ის მიერ შეღავათიანი რეკომენდაციების ხარისხი მკაცრად რეკომენდებული [15,37,41] და სხვების მიერ არ არის რეკომენდებული. [19,23,33] ამასთან, არსებობს 2 CPG, რომლებიც DF ინტერვენციაში განათლებას არ ურჩევენ, [12,42] თუმცა, ისინი აჩვენებენ წინააღმდეგობას მტკიცებულებებში, რომლებიც ამ რეკომენდაციას უჭერენ მხარს. ამიტომ, პაციენტის განათლებასთან დაკავშირებით, მის რეკომენდაციის ხარისხში წინააღმდეგობები არსებობს.

ლიტერატურა განათლებას, როგორც DF ინტერვენციების ნაწილს უჭერს მხარს. არსებობს 2 სისტემატური მიმოხილვა, რომლებიც ვარაუდობენ, რომ პაციენტის განათლება მნიშვნელოვანი კომპონენტია [60] და არსებით როლს თამაშობს ამ დაავადებაში, აუმჯობესებს თავის მოვლას და ქრონიკული გართულებების შემცირებაში ეხმარება. [61] თუმცა, კოპრინის სისტემატური მიმოხილვა [62] მიუთითებს, რომ, როგორც ჩანს, მოკლევადიანი განათლება დადებით გავლენას ახდენს ფეხის მოვლის შესახებ და პაციენტების მიერ თვითშეწყობინებების შედეგების შესახებ ცოდნაზე, თუმცა, იმ რამდენიმე კვლევებზე დაყრდნობით, რომლებიც პაციენტის განათლების ეფექტს აფიქსირებენ, იგი ასკვნის, რომ არ არსებობს საკმარისად მყარი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ პაციენტით შემზღუდული განათლება წყლულების კლინიკურად მნიშვნელოვანი შემცირებისა და ამპუტაციების სიხშირის მისაღწევად ეფექტურია. [62]

აქედან გამომდინარე, საჭიროა მეტი კვლევა, რათა ხარისხიანად და სანდოობით შეფასდეს, პაციენტის განათლების ეფექტი და განათლების ხელშეწყობაში განვრთნილი ჯანდაცვის პროფესიონალების გავლენა [62-64]

დიაბეტური ტერფი დიაბეტის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის სწორად გადაჭრაში პოდიატრიის როლი გადამწყვეტია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისტემური წარმოშობის პათოლოგიის დროს მკურნალობა გლობალური და მულტიდისციპლინური უნდა იყოს. [65] ეს მიდგომა, რომელიც ასე ამკარაა, არც რეკომენდირებულია, არც შემოთავაზებულია და არც ინტეგრირებულია კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებში, რომლებიც განიხილეს. როგორც ჩანს, სისტემური პრობლემის შედეგების ადგილობრივად განხილვა მოკლევადიანი გამოსავალია, თუმცა, ძნელად მისაღწევია საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. [65] აუცილებელი იქნებოდა მომავალი კვლევების შემუშავება, უმაღლესი ხარისხის მულტიმოდალური ინტერვენციების საშუალებით, რათა დიაბეტური ტერფის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სხვადასხვა მოსაზრებების ინტეგრირებას მიუახლოვდეს: სისტემური პათოლოგიების მქონე ადამიანებმა შესაძლოა ტერფის მექანიკური ცვლილებები განიცადონ, რაც პათოლოგიის

გლობალურად არასწორი მართვის შედეგს წარმოადგენს. ^[13] გარდა ამისა, ტერფის პრობლემები შეიძლება ადგილობრივი პრობლემის კლინიკური რემისიის შემდეგაც განმეორდეს. ^[13]

შეჯამების სახით, DF საუკეთესო მართვა ერთი მხრივ, შეფასებასა და სკრინინგს, ხოლო მეორე მხრივ - მკურნალობის მიდგომას ეფუძნება. საკმაოდ ან მკაცრად რეკომენდებული ინტერვენციების თვალსაზრისით, პირველი ტერფის, ფეხსაცმლის, დეფორმაციების, სიარულის, ფიზიკური აქტივობის, პიგიენის, ფეხის ფრჩხილების, პულსების, ტერფის სიძლიერისა და მოძრაობის შეფასებას, მგრძნობელობის შემოწმებას და პაციენტის რისკს მოიცავს. მეორე კი მოიცავს დებრიდინგს, ტრილობის შეხორცების მიზნით, დატვირთვის შემცირებას, დაზიანებულ მხარეზე ზეწოლის შემცირების მიზნით, თერაპიულ ფეხსაცმელს - წყლულების რისკის შესამცირებლად და ანტიბიოტიკოთერაპიას - თულო ინფექცია ან ოსტეომიელიტი არსებობს.

4.13. შეზღუდვები და ძლიერი მხარეები

წინამდებარე კვლევაში შეგროვდა ყველა რეკომენდაცია, რომლებიც დიაბეტური ტერფის შეფასებისა და მკურნალობის შესახებ კლინიკურ პრაქტიკის გაიდლაინებში გამოქვეყნებულ მტკიცებულებებს ეფუძნება. სხვადასხვა კლასიფიკაციის სისტემებში, როგორც მტკიცებულების დონეების, ისე რეკომენდაციების ხარისხის პეტეროგენურობის გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ გაგვეერთიანებინა კრიტერიუმი, რათა ხელი შევეწყოთ სხვადასხვა კლინიკურ პრაქტიკის გაიდლაინების შედარებას და კონვერგენციისა და განსხვავებების იდენტიფიცირებას, რომლებიც ამ კვლევაში შედის.

მეორე მხრივ, დიაბეტური ტერფი სხვადასხვა ფაქტორების, როგორც ადგილობრივი, ისე სისტემური, ლოკალური შედეგია. ეს კვლევა ფოკუსირებულია დიაბეტური ტერფის შეფასებასა და მკურნალობაში პოდიატრიის როლზე. თუმცა, ეს პროფესიონალი, ანატომიური თვალსაზრისით, მოქმედების შეზღუდულ სფეროს წარმოადგენს, რაც ამ კვლევაში წარმოდგენილი შედეგების სათანადოდ შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რათა დიაბეტის მქონე პაციენტს საუკეთესო ალტერნატიული თერაპია შესთავაზოს.

5. დასკვნა

CPG-ების მტკიცებულებებისა და რეკომენდაციების დონეების არაერთგვაროვნება, რომელიც DF-ის მართვასთან, მიდგომასთან და მკურნალობასთან დაკავშირებით შედის, მათ ინტერპრეტაციასა და დაშვებას განასხვავებს, კლინიკურ პრაქტიკაში ყველაზე სწორი პროცედურების შერჩევის მიზნით. ამის მიუხედავად და ამ ნაშრომში შეტანილი გაიდლაინების დეტალური შესწავლით, შეიძლება დავასკვნათ, რომ DF-ის მართვისთვის ძლიერ რეკომენდებული ინტერვენციებია დებრიდინგი (მტკიცებულების ძალიან მაღალი დონე და მკაცრად რეკომენდებული), ტერფის

შეფასება (მტკიცებულების ზომიერი დონე და საკმაოდ რეკომენდირებულია) და თერაპიული ფეხსაცმელი (მტკიცებულების ზომიერი დონე და საკმაოდ რეკომენდირებული).

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

Medicine (2019) 98:35(e16877) Received: 23 April 2019 / Received in final form: 26 July 2019

სოკოს საწინააღმდეგო კრემების ჭარბი მოხმარება პრეპარატებისადმი რეზისტენტული კანის სოკოვანი ინფექციების ზრდას იწვევს

აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მოხსენების მიხედვით, სოკოს საწინააღმდეგო კრემები და სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატთა კომბინაცია კორტიკოსტეროიდებთან, სავარაუდოდ განაპირობებს კანის, სკალპისა და ფრჩხილის მწვავე სოკოვანი ინფექციითა ზრდა-გავრცელებას.

2023 წელს, დერმატოლოგებმა აშშ-ში პირველად დააფიქსირეს ძლიერ გადამდები, პრეპარატებისადმი რეზისტენტული კანის სოკოვანი ინფექციები, რომლებიც არ რეაგირებდნენ ჩვენს ხელთ არსებულ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებზე.

პრეპარატებისადმი რეზისტენტული ეს სოკოვანი ინფექციები პირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გამოჩნდა, შემდეგ ჩინეთში და მის ფარგლებს მიღმა გავრცელდა, ამჟამად კი უკვე აშშ-ის 11 შტატშია დაფიქსირებული.

სიტუაციაში გასარკვევად, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მკვლევრებმა აშშ-ში მთელი წლის განმავლობაში ექიმების მიერ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატთა დანიშვნა შეისწავლეს, რათა დაედგინათ, რომელი ტიპის კლინიკისტიები რა წამლებს უნიშნავდნენ პაციენტებს.

როგორც ბაქტერიებს შორის ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულობის გაზრდის შემთხვევაში, აქაც, სოკოს საწინააღმდეგო საშუალებათა გადაჭარბებული მოხმარება პოტენციურად პათოგენურ სოკოს პრეპარატებისგან თავის დაღწევის გზების პოვნის საშუალებას აძლევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ არასწორად, სხვა ტიპის ინფექციის შემთხვევაში ნიშნავენ ან არასწორად იყენებენ.

სოკოს საწინააღმდეგო საშუალებათა დანიშვნის პრაქტიკაში გასარკვევად, CDC-ის ეპიდემიოლოგ კატალინ ბენედიქტს და მის კოლეგებს იმედი ჰქონდათ, რომ მნიშვნელოვან ცნობებს მოიპოვებდნენ, რომლებიც პრობლემის მოგვარებაში მის უფრო გაუარესებამდე დაეხმარება.

აღმოჩნდა, რომ 2021 წელს, აშშ-ში სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი პრეპარატების დაახლოებით 6,5 მილიონი დანიშნულება გაიცა, ჯამში 231 მილიონი დოლარის ღირებულების.

GRADE სისტემა, სისტემური და გამჭვირვალე შეფასება

კლაუდია მენდოზა პინტო,

მთავარი რეგიონალური პოსპიტალი, ავტონომური სისტემური დაავადებების კვლევის დეპარტამენტი, პუებლო, მექსიკა;

მარიო გარსია კარასკოა ,

მთავარი რეგიონალური პოსპიტალი, რევმატოლოგიისა და იმუნოლოგიის დეპარტამენტი, მედიცინის ფაკულტეტი პუებლო, მექსიკა;

Mario García Carrasco, Claudia Mendoza Pinto

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, GRADE სისტემა (რეკომენდაციების, შეფასების, შემუშავებისა და შეფასების ხარისხი - Grade of Recommendation, Assessment, Development and Evaluation) მედიცინის სხვადასხვა სფეროში ისეთი გაიდლაინებისა და რეკომენდაციების გამოქვეყნებისას გამოიყენებოდა, რომლებიც ძირითადად მკურნალობას ეხება, როგორც მედიკამენტებით, ისე არანარკოტიკული თერაპიებით. [1-3] ძალიან ცოტა ხნის წინ, რევმატოლოგიის სფეროში რამდენიმე კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინმა ეს სისტემა გამოიყენა, მათ შორის გაიდლაინები, რომლებიც, სხვათა შორის, რევმატიულ პოლიმიალგიას, რევმატიდულ ართრიტს და ფიბრომიალგიას ეხება. [4-8]

მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა ამ გაურკვეველ რელიეფში წინსვლას უწყობს ხელს და კლინიკურ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ბოლო წლებში, მტკიცებულებებზე დაფუძნებულმა გაიდლაინებმა ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა. სამეცნიერო მტკიცებულებების შესაფასებლად და რეკომენდაციების სხვადასხვა კლასის მისანიჭებლად მრავალი სისტემა არსებობს. თუმცა, ამ სისტემებს გარკვეული ნაკლოვანებები აქვთ, ვინაიდან ისინი რისკებისა და სარგებლის ბალანსს არ შეიცავს, არც რესურსების გამოყენებას ან ხარჯებს ითვალისწინებენ და იმ ფაქტს, რომ ისინი, ძირითადად, ექსპერტთა მოსაზრების კონსენსუსის საფუძველზე იქნა შემუშავებული და არ იქნა ვალიდირებული. კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინის პანელის წევრებს კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებით შეიძლება ძლიერი მოსაზრებები ან აკადემიური მიკერძოება ჰქონდეთ, რომელშიც მათ კლინიკური გამოცდილება ან სხვა მიკერძოება აქვთ, აკადემიურ კოლეგებთან ან ინდუსტრიის თანამშრომლებთან ურთიერთობის მიმართ. [9] ამ პრობლემების გადაჭრის მცდელობისას, GRADE ლიტერატურის სისტემატურ და პრაგმატულ ძიებას და მტკიცებულებების შეჯამებას მოითხოვს, რომელიც იდეალურად ეფუძნება მკურნალობის ჯგუფურ ეფექტებს და წარმოებულია პანელის წევრების მიერ, ინტერესთა

კონფლიქტის ან დამოუკიდებელი მეთოდოლოგიების გარეშე. ეს უკანასკნელი ეხმარება ლიტერატურის მიუკერძოებელი და რეპროდუცირებადი შეფასება უზრუნველყოს, რომელიც კონკრეტულ კლინიკურ კითხვას ეხება.

GRADE სამუშაო ჯგუფი ექსპერტების მულტიდისციპლინარული საერთაშორისო თანამშრომლობაა, მტკიცებულების ხარისხისა და რეკომენდაციების სიძლიერის შეფასების საერთო, გამჭვირვალე და გონივრული სისტემის შემუშავების მიზნით. [10] GRADE სისტემა 80-ზე მეტმა სააგენტომ და ორგანიზაციამ მიიღო, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოში, როგორებიცაა, სხვათა შორის, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), კოპრენის თანამშრომლობის ჯგუფი p, გაერთიანებული სამეფოს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი და ჯანმრთელობისა და კლინიკური ბრწყინვალების ეროვნული ინსტიტუტი (NICE).

GRADE-ს შემუშავებისას ავტორებმა კლინიკური კითხვების ფართო სპექტრი განიხილეს, მათ შორის დიაგნოსტიკა, სკრინინგი, პრევენცია და მკურნალობა. ზოგადი კლინიკური კითხვიდან სპეციალურად შედგენილ კითხვაზე გადასასვლელად, რომელიც ლიტერატურის ძიებას და თითოეული კითხვისთვის რეკომენდაციების შედგენას უწყობს ხელს, უპირატესობა ენიჭებოდა მეთოდს, რომელსაც პაციენტები-ინტერვენცია-შედარება-შედეგი (PICO) ეწოდება. კლინიკური კითხვების PICO ფორმატში შედგენისას საკითხი კონკრეტულად, გაურკვევლობის გარეშე არის განსაზღვრული. უფრო მეტიც, თითოეული ტიპის კითხვა კვლევის ტიპს შესაბამება, რომელშიც დიზაინი პასუხისთვის შესაფერისია. ფორმატი ლიტერატურის ძიებას უწყობს ხელს. [11]

GRADE მიდგომის უპირატესობები ისაა, რომ იგი: (ა) ყურადღებით განიხილავს შედეგის ცვლადების შედარებით მნიშვნელობას და ირჩევს მათ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია; (ბ) კონკრეტულ შედეგებთან ან შედეგებთან მიმართებაში უზრუნველყოფს მტკიცებულების ხარისხის კრიტერიუმების დეტალურ აღწერას და კატეგორიზაციის პროცესში მკაფიო განმარტებებს და

თანმიმდევრულ განსჯას იყენებს; (გ)მტკიცებულების ხარისხს რეკომენდაციების სიძლიერისგან განასხვავებს; და (დ)მეტიც, ითვალისწინებს სარგებელსა და რისკს, პაციენტის ღირებულებებს და რესურსების გამოყენებას ან ხარჯებს შორის ბალანსს. ასევე, იგი შეიცავს ცხრილებს, რომლებიც ასახავს ე.წ. მტკიცებულების პროფილებს (EP) და დასკვნების შეჯამებას (SoF). და ბოლოს, შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა, მასთან დაკავშირებული დახმარების ფაილებით, რომლებიც EP და SoF ცხრილების შემუშავებას უწყობენ ხელს, EP-ის საფუძველზე. [12,13]

GRADE სისტემა, მტკიცებულების ხარისხის შესაფასებლად, 8 კრიტერიუმისგან შედგება; 8 კრიტერიუმიდან 5-ს მტკიცებულების ხარისხის დაქვეითება შეუძლია, თუნდაც რანდომიზებულ კონტროლირებად კვლევაში (RCT): მიკერძოების რისკი, შედეგების შეუსაბამობა კვლევებში, არაპირდაპირობა, უზუსტობა და გამოქვეყნების მიკერძოება. [14,15] მაგალითად, RCT, რომელიც თანმიმდევრობის არაადეკვატური დაბრმავებით და მითვების მაღალი სიხშირით ჩატარდა, კარგად შესრულებული RCT-ის ექვივალენტად არ უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, ნდობის გაზრდის პოტენციალის მქონე კიდევ 3 კრიტერიუმი იყო შემოთავაზებული: ძლიერი ასოციაცია დამაბნეველების გარეშე, დოზა-რეაქციის გრადიენტის არსებობა, რომელიც კვლევებს მიკერძოების ან უზუსტობის პრობლემების გარეშე ეფუძნება და მტკიცებულება, რომ ყველა შესაძლო დამაბნეველს ან მიკერძოებას შეიძლება შეემცირებინა დაფიქსირებული ეფექტი. [16] ამრიგად, ობსერვაციული მოხსენება, როგორიც შემთხვევის კონტროლის კვლევაა, ძლიერი ასოციაციებით, რომელიც დოზა-რეაქციის გრადიენტს აჩვენებს, რაც სხვა გარემოებებში სუსტ დიზაინზე მიუთითებს, GRADE მიდგომით RCT-ის დონეზე მტკიცებულებას გამოიმუშავებს. GRADE მეთოდი მტკიცებულების ხარისხის გამოსახატად 4 დონეს გვთავაზობს: მაღალი, ზომიერი, დაბალი და ძალიან დაბალი. [14]

პირველი GRADE კრიტერიუმი, მიკერძოების რისკი ან დიზაინის შემლუდვები, კონცეპტუალურად სამეცნიერო კვლევის შიდა ვალიდობის საკითხია. მიკერძოების რისკის ხარისხი შეიძლება თითოეული ორიგინალური კვლევის მეთოდების განყოფილების გულდასმით წაკითხვით და იმის შეფასებით განისაზღვროს, თუ რამდენად კარგად დაგეგმეს ავტორებმა კვლევა და შესრულება. [17] მედიცინაში არსებობს მტკიცებულება, რომ RCT-ის მეთოდოლოგიურმა არასრულყოფილებამ შეიძლება სავარაუდო ეფექტზე მოახდინოს გავლენა, რომელიც, ჩვეულებრივ, გაზვიადებულია. [18]

კლასიფიკაციის კრიტერიუმები კვლევებში შესაძარბელი პაციენტების ჩართვისთვის აუცილებელია. ამჟამად არ არსებობს IIM კლასიფიკაციის დადასტურებული კრიტერიუმები. IIM-ისთვის EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმები გვთავაზობს უპირატესობებს, რომლებიც წინა კრიტერიუმებს აკლია. ისინი ეყრდნობიან მონაცემებს, ავლენენ მაღალ მგრძნობელობას და სპეციფიკურობას და ხელმისაწვდომი, განსაზღვრული კლინიკური და ლაბორატორიული ცვლადების შემზღუდულ რაოდენობას იყენებენ. შიდა ვალიდაციამ და გარე კოჰორტებში ტესტირებამ შესანიშნავი ეფექტურობა დაადასტურა. მნიშვნელოვანია, რომ ახალი კრიტერიუმები ყველაზე გავრცელებულ IIM ქვეჯგუფებს მოიცავს და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებში, კვლევებისა და კლინიკური კვლევებისთვის.

ახალი EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმები იძლევა ქულას, IIM-ის არსებობის შესაბამისი ალბათობით. ეს სხვადასხვა ტიპის კვლევებისთვის ჩართვის კრიტერიუმებში მკვლევარების მოქნილობას უზრუნველყოფს, მაგ. კლინიკურ კვლევებში, რომლებიც მაღალ სპეციფიკურობას საჭიროებენ, ჩართვის კრიტერიუმებში IIM-ის მაღალ ალბათობას იძლევიან, ხოლო ეპიდემიოლოგიურ კვლევებში, რომლებიც მაღალ მგრძნობელობას საჭიროებენ, საჭირო იქნება IIM-ის დაბალი ალბათობის ჩართვის კრიტერიუმები.

ახალი კრიტერიუმები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ბავშვებისა და მოზრდილების

მონაცემებს ეფუძნება ევროპის, ამერიკისა და აზიის ცენტრებიდან და იყენებს სიმპტომებს, ნიშნებსა და სხვა საშუალებებს, რომლებიც რეგულარულად ფასდება. შეზღუდვა მაინც ის არის, რომ პაციენტების უმეტესობა კავკასიელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩავრთეთ 298 პაციენტის მონაცემები აზიიდან, არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის განსხვავებები, ამიტომ, ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირდება კრიტერიუმების დადასტურება აზიურ და აფრიკის პოპულაციებში. მნიშვნელოვანია, რომ ტიპური DM კანის გამონაყარის მქონე პაციენტებში, კრიტერიუმების გამოყენება შესაძლებელი იყოს კუნთების ბიოფსიის მონაცემების გარეშე. JDM-ისთვის, პაციენტების 97% ახალი კრიტერიუმების გამოყენებით სწორად იყო კლასიფიცირებული, კუნთების ბიოფსიის მონაცემების გარეშე. ახალი კრიტერიუმები ასევე გვთავაზობს პრაქტიკულ უპირატესობებს შესამოწმებლად საჭირო ცვლადების რაოდენობაში. თუ საკმარისი ალბათობა მიღწეულია, ყველა ელემენტის ტესტირება არ არის საჭირო. თითოეული კრიტერიუმი კარგად არის განსაზღვრული, რაც სპეციალური ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს ამცირებს. DM-სთვის დამახასიათებელი კანის გამონაყარი ხელს უწყობს მაღალ წონას ალბათობის ქულაში. კუნთების სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია კანის ბიოფსია ^[33, 34]. EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმები მიოზიტის პირველი კრიტერიუმია, რომელიც დამოწმებული და მგრძნობელობაზე ტესტირებულია სხვა კოპორტებში და არასწორი კლასიფიკაცია არ გამოვლენილა.

წინა კრიტერიუმებთან შედარებით, ახალი კრიტერიუმები აღმატებულია მგრძნობელობით, სპეციფიკურობით და კლასიფიკაციის სიზუსტით. კლასიფიკაციის კრიტერიუმებს მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიკურობა უნდა ჰქონდეს. EULAR/ACR კრიტერიუმებმა, შესაბამისად, მგრძნობელობა და სპეციფიკურობა 87% და 82% აჩვენა, კიდევ უფრო მაღალი სიზუსტით, როდესაც ჩართული იყო კუნთების ბიოფსიები, შესაბამისად - 93% და 88%. სწორად კლასიფიცირებული პაციენტები ბიოფსიის ჩართვის გარეშე, შესაბამისად, 86% და 91% იყო, ხოლო კრიტერიუმები თანაბრად კარგად მოქმედებდნენ ზრდასრულთა და იუვენილურ შემთხვევებზე. ტარგოფის კრიტერიუმებმა ^[11] ასევე კარგი სტატისტიკური თვისებები აჩვენა, თუმცა, IIM-ის ყველა ქვეჯგუფის დაჭერა ვერ შეძლეს, ვინაიდან ADM-ის მქონე პაციენტები არ იყვნენ ჩართული. გარდა ამისა, ტარგოფის კრიტერიუმებში ცვლადები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული და საჭიროა მეტი ცვლადის ტესტირება, ელექტრომიოგრაფიის ჩათვლით, რომელიც ყოველთვის არ არის ადვილად ხელმისაწვდომი და შეიძლება პაციენტებისთვის მტკივნეული იყოს. მნიშვნელოვანია, რომ EULAR/ACR კრიტერიუმები შეიძლება გამოყენებულ იქნას გადამფარავი დიაგნოზის მქონე მიოზიტთან პაციენტებში, როგორებიცაა შემავრთველი ქსოვილის შერეული დაავადება ან სისტემური წითელი მგლურა მიოზიტით, ვინაიდან ეს პაციენტები IIM-ის შემთხვევებს

შორის შედიოდნენ.

არსებობს კვლევის შეზღუდვები; გარე ვალიდაციის კოპორტაში არ იყო შეტანილი კონტროლი ან შედარება, ვინაიდან IMCCP კვლევა ACR/EULAR-ის რეკომენდაციების ამოქმედებამდე იყო შემუშავებული, რაც მომავალ ვალიდაციას მოითხოვდა. მიმდინარეობს ვალიდაციის კვლევა შედარების გამოყენებით, თუმცა, ჩვენ სხვადასხვა პოპულაციაში ხელს ვუწყობთ ვალიდაციის დამატებით კვლევებს. კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც დაკვირვების მონაცემებში დიდწილად გარდაუვალია, დერივაციულ მონაცემთა ბაზასა და ვალიდაციის ნიმუშებში გამოთვლებული მონაცემების მაღალი სიზშირეა, რაც პაციენტების შეფასების პრაქტიკაში განსხვავებებს ასახავს. მიუხედავად ამისა, შემთხვევებისა და შედარების 80%-ს კუნთების ბიოფსიის ხელმისაწვდომი ჰქონდა მონაცემები, მაშინ როდესაც მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მონაცემები და ელექტრომიოგრაფია შემთხვევების მხოლოდ 38% და 29%-ისთვის იყო ხელმისაწვდომი, რაც კლინიკურ გამოყენებაში მათ შეზღუდულ ღირებულებას ასახავს. თუმცა, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მონაცემები და ელექტრომიოგრაფიული გამოკვლევა IIM-ის დიაგნოსტიკური მიზნებისათვის კვლავ მნიშვნელოვანია. შესწავლილ პაციენტებს დაავადება მინიმუმ 6 თვის განმავლობაში უნდა ჰქონოდათ, რაც საშუალებას არ გვაძლევდა, ახლად განვითარებული დაავადების მქონე პაციენტები შეგვესწავლა. მნიშვნელოვანია, რომ ეს კრიტერიუმები შემოთავაზებულია როგორც კლასიფიკაციის კრიტერიუმები კვლევებსა და კლინიკურ კვლევებში, და არა როგორც დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ^[35]. ასევე, არსებობს გარკვეული შესაძლებლობა, რომ სავარაუდო და განსაზღვრული მიოზიტისთვის დადგენილ წერტილებს შეიძლება კორექტირება დასჭირდეს, პაციენტების ახალ პოპულაციების ტესტირებისას.

ამ იშვიათი დაავადების მქონეთა საკმარისი რაოდენობის შეკრებას თითქმის 10 წელი დასჭირდა, თუმცა, სამ ქვეჯგუფს ადეკვატურად შესასწავლად საკმარისი სუბიექტები არ ჰყავდა. ამ პერიოდის განმავლობაში აღიარებული იქნა ახალი IIM ქვეჯგუფი, IMNM ^[36], რომელთაგან კვლევაში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო ჩართული. ამრიგად, IMNM შემთხვევები ქვეკლასიფიკაციის ხეში PM-ისგან ვერ გამოირჩეოდა. კიდევ ერთი ქვეჯგუფი, სადაც რამდენიმე შემთხვევა იყო, იყო იუვენილური PM, რამაც შეუძლებელი გახადა JDM-ისგან მიღებული მონაცემების განსხვავება. თუმცა, პედიატრიული რევმატოლოგიის ექსპერტებმა IMCCP-ში რეკომენდაცია გაუწიეს, რომ IIM-ის ზრდასრულთა ქვეკლასიფიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იუვენილური PM-სთვის, ექსტრაპოლაციის გზით (სურათი 2). IBM შემთხვევები ქვეკლასიფიკაციის ხეში იდენტიფიცირებული იყო თითის მომხრის სისუსტის კლინიკური მახასიათებლებით და მკურნალობაზე უპასუხოობით, ანდა კუნთების ბიოფსიებში შემოჭრილი ვაკუოლების არსებობით ^[37].

კიდევ ერთი შემთხვევა დოკუმენტირებული მიოზიტის სპეციფიკური ავტანტისხეულების დაბალი სიხშირე იყო. ჩართული იყო მიოზიტისთვის სპეციფიკური ხუთი ავტანტისხეული: ანტი-Jo-1, ანტი-Mi-2, ანტი-SRP, ანტი-PL7 და ანტი-PL12 ანტისხეულები და ყველა მტკიცედ უკავშირდებოდა IIM-ს. თუმცა, მხოლოდ ანტი-Jo-1 ავტანტისხეულს ჰქონდა დაკვირვების მნიშვნელოვანი რაოდენობა ($n=1,062$), რათა დაუშვას ანალიზი და კლასიფიკაციის კრიტერიუმებში ჩართვა. EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმების მომავალი განახლება უფრო მიოზიტის ახლახან იდენტიფიცირებულ სპეციფიკურ ავტანტისხეულებს უნდა მოიცავდეს ^[21,22], IMNM, ADM, ჰიპომიოპათიური DM და იუვენილური JDM შემთხვევების გარდა.

რეკომენდაციები

- კანზე JDM ან DM ბათოგნომონური გამონაყარის (ჰელიოტროპული გამონაყარი, გოტრონის პაპულები და/ან გოტრონის ნიშანი) მქონე პაციენტები EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმებით ზუსტად კლასიფიცირებულია, კუნთების ბიოფსიის მონაცემების გარეშე. კანის ამ გამოვლინების არმქონე პაციენტებისთვის კუნთების ბიოფსია რეკომენდებულია. DM პაციენტებისთვის, კუნთების ჩართვის გარეშე, კანის ბიოფსია რეკომენდებულია.
- EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმები ქულას და IIM-ის არსებობის შესაბამის ალბათობას იძლევა. თითოეული ალბათობა უნიკალურ მგრძნობელობას და სპეციფიკურობას აჩვენებს. საუკეთესო ბალანსი მგრძნობელობასა და სპეციფიკურობას შორის შეიძლება 55-60% ალბათობით მოიძებნოს (საერთო აგრეგირებული ქულა ≥ 5.5 და ≤ 5.7) კრიტერიუმებისთვის, რომლებიც არ მოიცავს კუნთების ბიოფსიის მონაცემებს, და 55-75% (საერთო აგრეგირებული ქულა ≥ 6.7 და ≤ 7.6) - კუნთების ბიოფსიების ჩათვლით. ეს შემთხვევები დასახელებულია „სავარაუდო IIM“-დ. რეკომენდებული წყევტა, რომელიც პაციენტის IIM-ად კლასიფიკაციისთვისაა საჭირო, არის $\geq 55\%$.
- „განსაზღვრული IIM“ $\geq 90\%$ -იან ალბათობას ან საერთო საერთო ქულას 7.5 ან მეტი შეესაბამება, კუნთის ბიოფსიის გარეშე, ხოლო 8.7-ს - კუნთის ბიოფსიით და რეკომენდებულია კვლევებში, სადაც მაღალი სპეციფიკურობაა საჭირო.
- პაციენტს „შესაძლო IIM“-ს უწოდებენ, თუკი ალბათობა $\geq 50\%$ და $< 55\%$ -ია (მინიმალური ქულა 5.3 ბიოფსიის გარეშე და 6.5 ბიოფსიის შემთხვევაში).
- სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, კვლევებში მოხსენებული უნდა იყოს როგორც აღწერილობითი ტერმინი („შესაძლებელია“, „სავარაუდო“ ან „განსაზღვრული“), ასევე, ალბათობა და გაერთიანებული ქულა.

დასკვნები

შემუშავებულია IIM და ძირითადი IIM ქვეჯგუფების კლასიფიკაციის ახალი კრიტერიუმები. ამ მონაცემებზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს კარგი მიზანშეწონილობა, მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიკურობა აქვთ, ნაწილობრივ დადასტურებულია გარე კოჰორტებში და IIM-ის სხვადასხვა ქვეჯგუფების აღრიცხვისას, წინა კრიტერიუმებს აღემატება. მომავალში მნიშვნელოვანი იქნება კრიტერიუმების გადასინჯვა, როდესაც IIM-ის მეტ შემთხვევაში იქნება ხელმისაწვდომი დამატებითი დადასტურებული მიოზიტის ავტანტისხეულების ტესტები, ვიზუალიზაცია და სხვა ტესტები და IIM-ის გარეშე შედარებითი შემთხვევებისთვის.

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

Joint Bone Spine, 2023, 90 (1), pp.105469. ff10.1016/j.jbspin.2022.105469ff. ffhal-03863584

ჰეპატიტის მკურნალობა ხელს უშლის სისხლის საკმაოდ გავრცელებული სიმსივნის პროგრესს

მათი ახალი კვლევა ადასტურებს, რომ B და C ჰეპატიტის ადრეული დაფიქსირება ექიმებს შეიძლება დაეხმაროს მონოკლონური ჰემოპათიის კიბოდ გადაქცევის პრევენციაში, თუკი ამ ვირუსული ინფექციების მკურნალობას დაიწყებენ. მრავლობითი მიელომა არის კიბო, რომელიც ძვლის ტვინში პლაზმის არანორმალური უჯრედებისგან ვითარდება.

მკვლევრებმა იპოვეს კავშირები მრავლობით მიელომასა და სხვა ვირუსულ ინფექციებს შორის, მაგალითად, აივ-ინფექციასთან და ეპშტაინ-ბარის ვირუსთან. როდრიგეს-გარსია და მისი ჯგუფი ახალ კვლევაში მონოკლონური ჰემოპათიისა და B ჰეპატიტის მქონე 45 პაციენტი იყო ჩართული.

ამის შემდეგ, მათ უფრო დიდი ჯგუფი შეისწავლეს, რომელიც მრავლობითი მიელომისა და პარალელურად B ან C ჰეპატიტის მქონე 2500 პაციენტისგან შედგებოდა. ორივე ჯგუფში აღმოაჩინეს, რომ გადარჩენის უფრო მაღალი შანსი მათ ჰქონდათ, ვინც ანტივირუსულ საშუალებებს იღებდა.

„ეს კვლევა წარმოაჩენს ანტივირუსული მკურნალობის მნიშვნელობას B და C ჰეპატიტის ვირუსების მიერ მართული კლონური ჰემოპათიების, მათ შორის, მრავლობითი მიელომის მქონე პაციენტებისთვის. ანტივირუსული თერაპია რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს“, — წერენ მკვლევრები.

კლასიფიკაციის ახალი კრიტერიუმები SLE-სთვის

მარტინ არინგერა,

რევმატოლოგიის განყოფილება, მედიცინის დეპარტამენტი III, კარლ გუსტავ კარუსის სამედიცინო ცენტრის უნივერსიტეტი და მედიცინის ფაკულტეტი, დრეზდენი, გერმანია;

მიშელ პეტრიბი,

რევმატოლოგიის დეპარტამენტი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, ბალტომორი, მერილენდი, აშშ;

Martin Aringer, Michelle Petrib

აბსტრაქტი

მიმოხილვის მიზანი: რევმატიზმის წინააღმდეგ ევროპული ლიგის (EULAR)/რევმატოლოგიის ამერიკული კოლეჯის (ACR) კლასიფიკაციის ახალგაზრდა გამოქვეყნებული კრიტერიუმების სისტემური წითელი მგლურას საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრების (SLICC) კრიტერიუმებთან და წინა ACR კრიტერიუმებთან შედარება, მათ ძირითად კონცეფციებზე ფოკუსირება. დასკვნები: მიუხედავად იმისა, რომ SLICC კრიტერიუმმა ახალი კრიტერიუმების რაოდენობა შემოიღო, ახალ EULAR/ACR კრიტერიუმებს მხოლოდ ადრეული SLE კოჰორტის კვლევისა და SLE პაციენტის გამოკითხვის საფუძველზე, არაინფორმაციული ცხედება და შედეგებული ჰემატოლოგიური, ლორწოვანი გარსის და ნევროლოგიური ელემენტები დაემატა. მაშინ, როცა SLICC კრიტერიუმებმა ACR კრიტერიუმებიდან ნაცნობი საერთო სტრუქტურა შეინარჩუნეს, EULAR/ACR კრიტერიუმები ანტიბირთვულ ანტისხეულებს (ANA), როგორც სავალდებულო შესვლის კრიტერიუმს იყენებენ, აქვთ შენონილი კრიტერიუმები და მათ დომენებში აჯგუფებენ. როდესაც SLICC კრიტერიუმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მგრძნობელობა, ხოლო გარკვეული სპეციფიკურობა დაკარგა, EULAR/ACR კრიტერიუმმა კვლავ გაზარდა სპეციფიკურობა, კლასიფიკაციის კრიტერიუმების შესანიშნავი ეფექტურობისთვის.

რეზიუმე: სტრუქტურისა და სტატისტიკური ეფექტურობის განსხვავებების მიუხედავად, EULAR/ACR და SLICC კრიტერიუმები თანხმდებიან როგორც იმუნოლოგიური, ისე კლინიკური დასკვნების მნიშვნელობაზე, ჰისტოლოგიურად მგლურას ნეფრიტის მაღალ ზემოქმედებასა და კლინიკურ ერთეულებზე.

საკვანძო სიტყვები: სისტემური წითელი მგლურა; კლასიფიკაციის კრიტერიუმები; დიაგნოსტიკა; ავტოანტისხეულები; მგლურას ნეფრიტი

შესავალი

კლასიფიკაციის კრიტერიუმები მეცნიერებისთვის არსებითია, რაც პაციენტთა საკმარისად ჰომოგენურ ჯგუფს განსაზღვრავს, რათა მნიშვნელოვანი კლინიკური კვლევები და ტრანსლაციური კვლევები შესაძლებელი გახდეს. ამასთან, კლასიფიკაციის სასარგებლო კრიტერიუმები დაავადების შესახებ ჩვენს კონცეფციას ჩამოაყალიბებს. 1982 წლის რევმატოლოგიის ამერიკული კოლეჯის (ACR) კლასიფიკაციის კრიტერიუმების სისტემისთვის ეს ნამდვილად ასე იყო, 11 კრიტერიუმით, რომელთაგან დადებითი კლასიფიკაციისთვის მინიმუმ ოთხი უნდა ყოფილიყო^[1]. 1997 წელს ეს კრიტერიუმები შეიცვალა და ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულების სამი მიმდინარე სტანდარტული ტესტიდან ორს მოიცავდა, კერძოდ, ანტიკარდიოლიპინის ანტისხეულებსა და მგლურას ანტიკოაგულანტს^[2]. ამავდროულად, LE უჯრედის ფუნქციონირების ისტორიაში შევიდა. შემდგომში პროგრესმა SLE კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზრდა გამოიწვია. თვალსაზრისით მაგალითები იყო შრატის კომპლემენტის დონის რუტინული გაზომვა^[3-5] და თირკმლის ბიოფსია, რომელიც მგლურას ნეფრიტის (საექვო) მქონე პაციენტების მართვისთვის

სტანდარტული მიდგომა გახდა^[6,7]. მიუხედავად იმისა, რომ იგი სასარგებლო იყო, ACR კრიტერიუმები SLE-ის კლინიკურ გამოვლინებებსა და ლაბორატორიულ შედეგებს არ დაემთხვა (სურათი 1). ამან SLE კლასიფიკაციის ახალი კრიტერიუმების საჭიროება გამოიწვია.

დაახლოებით ათი წელი განმავლობაში, თუმცა, სისტემური მგლურას საერთაშორისო თანამშრომლობითი ცენტრების (SLICC)^[8] და რევმატიზმის წინააღმდეგ ახალი ევროპული ლიგის (EULAR)/ACR კრიტერიუმებმა განსხვავებული მიდგომები მიიღო, კერძოდ, შეინარჩუნა სტრუქტურა, მაგრამ SLICC კრიტერიუმებს რამდენიმე ახალი ელემენტი და ორი ახალი კონცეფცია დაემატა, მოხდა სტრუქტურის შეცვლა და EULAR/ACR კრიტერიუმების საერთო ელემენტების შემცირება.

2012 წელს გამოქვეყნებულმა SLICC კრიტერიუმმა მგრძნობელობა გაზარდა, ბევრ ახალ ელემენტს მოიცავდა და ორ მნიშვნელოვან კონცეფციას უსვამდა ხაზს - პირველი, რომ SLE მინიმუმ ერთ კლინიკურ და მინიმუმ ერთ აუტოიმუნურ გაზომვას მოითხოვდა და მეორე - მგლურას ნეფრიტის განსაკუთრებული როლი იმაშია, რომ ბიოფსიით დადასტურებისას,

მას „ცალკე დგომა“ შეეძლო ^[8]. 2019 წელს ამას EULAR/ACR კრიტერიუმები მოჰყვა, რომლებიც ხაზს უსვამდნენ სპეციფიკურობას, აჯამებდნენ პუნქტების ჩამონათვალს და ანტიბირთვული ანტისხეულების (ANA) გამოყენებით მთლიან სტრუქტურას ცვლიდნენ, რომელიც სავალდებულო შესვლის კრიტერიუმს წარმოადგენდა, ყველა კრიტერიუმის ელემენტისთვის ინდივიდუალური წონების დამატების გზით ^[9,10].

EULAR/ACR კრიტერიუმები ბევრ რამეში SLICC კრიტერიუმების ბევრ მიღწევას იმეორებს, მათ შორის, მსგავს განმარტებებს და აუტოიმუნური გამოშვების მსგავს მოთხოვნებს. მათგან ზოგიერთი შეიძლება პარალელური განვითარება იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ, საბედნიეროდ, მთელს მსოფლიოში SLE ექსპერტები ურთიერთობენ და ამით კონცეფციებს ერთად ავითარებენ. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ SLICC კონცეფციებმა უკვე შეცვალეს SLE-ს შესახებ წარმოდგენები EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმებზე მომუშავე ბევრი SLE ექსპერტის იდეების შესახებ, ისევე როგორც ACR კრიტერიუმებს ჰქონდათ ადრე ასეთი გავლენა. ამ მიმოხილვის აქცენტი კლასიფიკაციის კრიტერიუმებში ძირითადი ცნებები იქნება.

მგრძნობელობა, როგორც კრიტიკული საკითხი

83%-იანი მგრძნობელობის მქონე სამივე კოჰორტაში ^[1,8-10], SLE-სთვის შესწორებული ACR კრიტერიუმები, სხვა კრიტერიუმებთან შედარებით, კარგად მუშაობდა, თუმცა, SLE-დან ექვსიდან ერთ პაციენტს მაინც გამოორიცხავდა. ეს მგრძნობელობა ზოგიერთი სამეცნიერო მიზნებისთვის საკმარისი იყო. თუმცა, როდესაც ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმები SLE-ის დიაგნოზის მიღების ან არმილების ცენტრალური საზოგადოებას, შემზღუდული მგრძნობელობის ეს ხარვეზი სერიოზულ პრობლემად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ACR და EULAR მტკიცედ და სათანადოდ იმეორებენ იმ აზრს, რომ კლასიფიკაციის კრიტერიუმები დიაგნოსტიკისთვის არაა ^[11,12], SLE-ის სირთულე კლასიფიკაციის კრიტერიუმებზე დაყრდნობას იწვევს, განსაკუთრებით, როდესაც SLE-სთან დაკავშირებით შემზღუდული გამოცდილება არსებობს. SLICC კრიტერიუმები, პირიქით, მხოლოდ კვლევითი გამოყენებით არ შემოიფარგლება.

მნიშვნელოვანია, რომ დაავადების ადრეულ ეტაპზე მგრძნობელობა კიდევ უფრო იკლებს ^[13-15]. ეს ლოგიკურია, იმის გათვალისწინებით, რომ კრიტერიუმების ელემენტები შეიძლება დროთა განმავლობაში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაგროვდეს, და რომ პაციენტებს შეიძლება „ორგანო-დომინანტური“ SLE აღენიშნებოდეთ ^[16]. დიაგნოსტიკისა და თერაპიის პრობლემების გარდა, ადრეული დაავადებისადმი დაქვეითებულმა მგრძნობელობამ შეიძლება მეცნიერულ შედეგებზე მოახდინოს გავლენა პაციენტების ქვეჯგუფზე პაციენტის პოპულაციის კონდენსირებით, რომლებსაც

მულტიორგანული, უფრო გრძელვადიანი ჩართულობა აქვთ.

ამიტომ მგრძნობელობის გაზრდა SLICC კრიტერიუმების მნიშვნელოვანი მიზანი იყო ^[8]. ამ მიზანს ეხებოდა დებულება, რომ ჰისტოლოგიურად მგლურას ნეფრიტი, დადებით ANA-სთან ან ორჯატვიანი დნმ-ის ანტისხეულებთან ერთად (dsDNA), კლასიფიკაციისთვის საკმარისი იყო, რაც შეწონვის კრიტერიუმების პირველ მაგალითს წარმოადგენდა. SLICC-მ ასევე დაამატა ელემენტები, როგორებიცაა ალოპეცია ან შრატის დაბალი კომპლემენტი (ცხრილები 1 და 2). კლინიკური ნიშნით, ეს ცვლილებები მაინც სასურველი იყო. ასევე, სტატისტიკურმა დამუშავებამ (რეგრესიულ ანალიზზე დაფუძნებული) ლეიკოპენიის, ლიმფოპენიის და ართრიტის ახალი განმარტებები განაპირობა, აგრეთვე, პემატოლოგიის სამ განსხვავებულ ელემენტად დაყოფა ^[8].

ამ გზით, SLICC კრიტერიუმებმა უპრეცედენტო 94%-იან მგრძნობელობას მიაღწიეს დერივაციულ კოჰორტაში და 97%-იანს - ვალიდაციის კოჰორტაში ^[8]. SLICC კრიტერიუმებისთვის ეს შთამბეჭდავი, 97%-იანი მგრძნობელობა EULAR/ACR კრიტერიუმების ტესტირებისას დამოუკიდებლად დადასტურდა ^[9,10].

უფრო მეტიც, ადრეულ SLE-ში მგრძნობელობა ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ^[13,14]. EULAR/ACR პროექტის საერთაშორისო ადრეულ SLE კოჰორტაში ACR კრიტერიუმებს მხოლოდ 66%-იანი მგრძნობელობა ჰქონდათ, რომელიც SLICC კრიტერიუმებში 84%-მდე გაუმჯობესდა ^[15]. ანალოგიურად, EULAR/ACR კრიტერიუმების ვალიდაციის კოჰორტის ქვეანალიზმა დაავადების პირველ წელს, ACR კრიტერიუმებისთვის 56%-იანი მგრძნობელობა აჩვენა, ხოლო გაცილებით მაღალი, 89%-იანი მგრძნობელობა - SLICC კრიტერიუმებისთვის ^[17].

EULAR/ACR კრიტერიუმებს განსაზღვრული მიზანი ჰქონდათ, რომ ACR კრიტერიუმებთან შედარებით მგრძნობელობა გაუმჯობესებინათ, ჰქონოდათ SLICC კრიტერიუმების მგრძნობელობასთან მიახლოების შესაძლებლობა, თუკი ეს შესაძლებელი იყო ^[18]. 96% vs. 97%-იანი მგრძნობელობით SLICC კრიტერიუმებისთვის, გადაფარვადი სანდოობის ინტერვალებით, ACR კრიტერიუმების 83%-იანთან შედარებით, ეს მიზანი მიღწეულ იქნა ^[9,10]. ანალოგიურად, პირველ წელს, EULAR/ACR კრიტერიუმებმა 89%-იან მგრძნობელობას მიაღწია, რაც SLICC კრიტერიუმებთან ახლოსაა ^[17].

SLICC შემთხვევის სცენარებში გაანალიზებულ EULAR/ACR კრიტერიუმებს 91%-იანი (95% CI 88%-94%) მგრძნობელობა ჰქონდათ SLICC კრიტერიუმების 97%-იანთან (95% CI 96%-99%) ^[19] და 1997 წლის ACR კრიტერიუმებისთვის 83%-იანთან (95% CI 79%-87%) შედარებით ^[8].

სპეციფიკურობა

მოუხედავად იმისა, რომ დიაგნოზში სპეციფიკურობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომელიც ყოველთვის შეიძლება იმ შემთხვევაში გადაიხედოს, თუკი შემდგომი მსვლელობა დიფერენციალურ დიაგნოზზე მიუთითებს, ჩვეულებრივ, პაციენტები არ შეიძლება post hoc იქნას ამოღებული კლინიკური კვლევებიდან ან თუნდაც ტრანსლაციური კვლევისგან. ამიტომ, კლასიფიკაციისთვის სპეციფიკურობა მნიშვნელოვანია. დერივაციულ ამონარჩევში, SLICC კრიტერიუმებს მაღალი, 92%-იანი სპეციფიკურობა ჰქონდათ, 1997 წლის კრიტერიუმებისთვის 93%-იან ACR-თან შედარებით^[8]. თუმცა, სამწუხაროდ, ვალიდაციის ამონარჩევში სპეციფიკურობა 84%-მდე დაეცა, ხოლო ACR კრიტერიუმების სპეციფიკურობა 96% იყო. მგრძნობელობის მატებასთან ერთად, სპეციფიკურობის ეს შემცირება რამდენიმე სხვა ანალიზში დადასტურდა^[13,14,20,21]. SLICC კრიტერიუმებმა მგრძნობელობისა და სპეციფიკურობის ჯამი SLICC-ში 1.79-დან 1.81-მდე მაინც გაზარდა^[8] და 1.76-დან 1.80-მდე - EULAR/ACR ვალიდაციის კოჰორტებში^[9,10], რაც გაუმჯობესებულ ეფექტურობას აჩვენებს. SLICC შემთხვევის სცენარების გამოყენებისას, EULAR/ACR კრიტერიუმებს 89%-იანი სპეციფიკურობა ჰქონდათ და საერთო 90%-იანი თანხმობა, SLICC კრიტერიუმების 84%-იან სპეციფიკურობასთან და 91%-იან საერთო თანხმობასთან შედარებით^[19].

EULAR/ACR-ის კრიტერიუმების პროექტმა ACR-ის შესწორებული კრიტერიუმების მაღალ დონემდე მზარდი სპეციფიკა განსაზღვრა, მგრძნობელობის კვლავ გაზრდასთან ერთად, რაც მთავარ სტატისტიკურ მიზანს წარმოადგენდა^[18]. EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმების პროექტის განმავლობაში, მიღებულ იქნა საეჭვო გადაწყვეტილებები სპეციფიკურობის სასარგებლოდ, მაშინაც კი, თუკი ისინი მგრძნობელობის შემცირებას ემუქრებოდნენ. ეს მიდგომა შესწორებული ACR კრიტერიუმების სპეციფიკურობით მიღწეული იქნა დერივაციის კოჰორტაში (96% vs 95%) და ვალიდაციის კოჰორტაში (93% vs 93%) წარმატებული იყო^[9,10]. ეს რამდენიმე ნაბიჯის გადამდგომი იყო გამოწვეული. წინადადების პირველი პროექტიდან ერთი გადამდგომი ნაბიჯი კონკრეტული კრიტერიუმების პუნქტებიდან ANA-ს ამოღება იყო და ANA ტესტის შესავალ კრიტერიუმზე გადაადგილება^[18], რასაც მოგვიანებით განვიხილავთ. ლიმფოპენია, დაბალი სპეციფიკურობის კიდევ ერთი ელემენტი, გარე ექსპერტების მიერ ნომინალური ჯგუფის ტექნიკის (NGT) სავარჯიშოში აღმოიფხვრა^[22]. დომენების განსაზღვრა, რომლებშიც მხოლოდ უმაღლესი რანგის ელემენტი იყო დათვლილი^[23-25], უფრო მაღალი სპეციფიკურობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი იყო.

ნაკლებად აშკარაა, რომ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას კრიტერიუმების სპეციფიკურობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. SLE-ის მახასიათებლების უმეტესობა სხვა პირობებს ბაძავს. ამიტომ, ACR კრიტერიუმების სისტემას

უკვე განსაზღვრული ჰქონდა კრუნჩხვების, ფსიქოზისა და თრომბოციტოპენიის გამორიცხვის კრიტერიუმები^[1]. SLICC კრიტერიუმებით სულ 10 ელემენტისთვის იყო განსაზღვრული გამორიცხვა^[8]. გამორიცხვების ეს სიაჲ კი არ იყო სრული. EULAR/ACR კრიტერიუმებისთვის, სიის ნაცვლად, მინიჭების ერთი წესი, რომელიც სხვა პირობით ზღუდავს SLE-სთვის გათვალისწინებულ ერთეულებს^[24,25], ანაცვლებს რა ცალკეულ გამონაკლისებს. ეს იმას შეესაბამება, რასაც ექიმები ყოველდღიურ რუტინაში აკეთებენ. თუმცა, მას შეიძლება მეტი გამოცდილება დასჭირდეს და შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს ძველი მონაცემთა ბაზებიდან EULAR/ACR კლასიფიკაციის კრიტერიუმების შესრულების გამოთვლისას, რომლებიც ასეთ ინფორმაციას არ შეიცავს. თუმცა, ძირითადად, მკვლევარებმა კლასიფიკაციის კრიტერიუმი არ უნდა ჩათვალონ როგორც SLE, თუკი იციან, რომ იგი სხვა მდგომარეობის გამოა გამოწვეული.

ერთ-ერთი შესაბამისი მაგალითია მგლურას ართრიტი. მისი, როგორც არაერთოხილული ართრიტის^[1] განსაზღვრებით, შესწორებული ACR კრიტერიუმი ფაქტობრივად ცდილობდა რევმატოიდული (და ფსორიაზული) ართრიტი გამოერიცხა. ეს დროთა განმავლობაში უფრო საკამათო გახდა, როდესაც ვიზუალიზაციის ახალმა ტექნიკამ აჩვენა, რომ მგლურას ართრიტი უფრო ხშირად (გარკვევით) ერთოხილი იყო, ვიდრე ადრე ეგონათ^[26,27]. უფრო მეტიც, რევმატოიდული ართრიტისა და მგლურას გადამფარავი დაავადება, სახელწოდებით „რუპუსი“^[28,29], კლასიფიკაციის საკითხად იქნა აღიარებული. შესაბამისად, SLICC კრიტერიუმები მგლურა ართრიტის რაიმე გამომრიცხავ კრიტერიუმს არ მოიცავდა^[8]. EULAR/ACR კრიტერიუმების მიკუთვნების წესი, პირიქით, გამორიცხავს ართრიტს, რომელიც რევმატოიდული ართრიტის ფორმით უფრო სავარაუდოა, როგორცაა ანტი-CCP დადებით პირებში (თუმცა ანტი-CCP ანტისხეულები შეიძლება მოხდეს SLE-ში^[30]), ან სხვა პირობების გამო.

~რევმატოიდულ ართრიტის SLE-სთან გადაფარვის დაავადების კლასიფიკაცია ჯერ კიდევ შესაძლებელია, იმ პირობით, რომ სხვა SLE კრიტერიუმები კლასიფიკაციის ზღურბლს მიაღწევენ. ამ მიდგომამ მგლურას ართრიტის სპეციფიკა მნიშვნელოვნად გაზარდა.

იმუნოლოგიის მნიშვნელობა

SLE ბუნებით სისტემური აუტოიმუნური დაავადებაა^[31,32]. აუტოიმუნურ სეროლოგიაში დასკვნების გარეშე SLE კლასიფიკაციის კრიტერიუმებისთვის (ან დიაგნოზისთვის), შესაბამისად, პოტენციურად საშიში კონსტრუქციაა. ეს ასევე ხაზგასმულია ბელიმუმაბის II ფაზის კვლევებში, რომლებმაც მხოლოდ სეროლოგიურად აქტიურ SLE პაციენტებში მიაღწიეს წარმატებას^[33]. შესაბამისად, SLE

კლასიფიკაციისთვის SLICC კრიტერიუმები ექვსი იმუნოლოგიური კრიტერიუმიდან მინიმუმ ერთს მოითხოვს^[8], როგორც ეს მოცემულია ცხრილი 1-ში. უფრო მეტიც, მგლურას ნეფრიტთან თავსებადი პისტოლოგია კლასიფიკაციისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია საკმარისი, თუ თან ახლავს დადებითი ANA ან ანტი-dsDNA-ანტისხეულები.

EULAR/ACR კრიტერიუმებში ეს პრინციპი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რათა დადებითი ANA სავალდებულო შესვლის კრიტერიუმი გახდეს^[9,10,18]. ბირთვული მჟავების ანტისხეულები და მათი დამაკავშირებელი პროტეინები SLE-ის დამახასიათებელი ნიშანია და ეს ყველაფერი, ჩვეულებრივ, დადებით ANA-ს იწვევს^[34,35]. შესაბამისად, ANA-ს SLE-ზე ძალიან მაღალი მგრძნობელობა აქვს, მაგრამ შემლუდული სპეციფიკა, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სხვა შემადგენელი ქსოვილის დაავადებებში, ყველა სახის აუტოიმუნურ დაავადებასა და თუნდაც ჯანმრთელ ადამიანებში გვხვდება. ყველა სხვა ელემენტისგან განსხვავებულმა ქვევამ ANA ნაკლებად შესაფერისი გახადა, როგორც კონკრეტული ელემენტი, თუმცა, მისი გამოტოვება კრიტერიუმებს მნიშვნელოვან კონცეფციას ართმევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ANA, როგორც სავალდებულო ჩართვის კრიტერიუმი, ნებისმიერი SLE პაციენტისთვის, რომელსაც არასდროს ჰქონია დადებითი ANA, კლასიფიკაციას შეუძლებელს ხდის, ეს ეფუძნება იმ მონაცემებს გადანყვებით, რომლებიც აჩვენებს, რომ ნამდვილად და მუდმივად ANA-უარყოფითი SLE იშვიათი სიტუაციაა^[36]. პაციენტთა ამ მცირე ქვეჯგუფის გამოტოვება დიაგნოზისთვის მაინც პრობლემა იქნებოდა, მაგრამ არა იმდენად კლასიფიკაციისთვის. ნეგატიური შემოქმედების შესამცირებლად, ძველი პრინციპის დაცვის გარდა, რომ კრიტერიუმების ელემენტები ასევე ისტორიულად ითვლება და საჭირო არ არის მათი დამთხვევა, სისტემური ლიტერატურის ძიებისა და მეტა-რეგრესიის ანალიზიდან არჩეულ იქნა დაბალი ტიტრი $\geq 1:80$ ^[18] და მიღებულ იქნა ტესტის ალტერნატიული სისტემები^[9,10]. თუმცა, ANA-უარყოფითი SLE ნამდვილად არსებობს, რომელიც SLICC სანყის კოპორტაში 6.2%-ს აღწევს^[37] და ასევე, მოხსენებული იყო ბიოფსიით დადასტურებულ მგლურას ნეფრიტში^[38], რამაც შესაძლოა მგლურას ნეფრიტის ქვეჯგუფი კლინიკური კვლევებიდან გამოირიცხოს.

ANA-სგან მკვეთრად განსხვავებით, სმიტის ანტიგენის (Sm) და dsDNA-ს ანტისხეულები ძალიან სპეციფიკურია, თუმცა, ნაკლებად მგრძნობიარეა. ეს ორი ანტისხეული დარჩა ადგილზე შესწორებული ACR კრიტერიუმებიდან^[1,8]. EULAR/ACR კრიტერიუმებისთვის, ნაკლებად სპეციფიკური ანტი-dsDNA ტესტების მზარდმა დიაპაზონმა საჭირო გახადა ანტი-dsDNA ტესტის სპეციფიკის განსაზღვრა $\geq 90\%$ -ზე, დაავადების შესაბამის კონტროლთან შედარებით^[9,10]. SLICC-ში ეს ELISA ანალიზებისთვის უფრო მაღალი შემცირებით იქნა მიღწეული^[8].

ახალი ელემენტები და გაუმჯობესებული განმარტებები

სამივე SLE კრიტერიუმების ნაკრები^[1,8-10] კლასიფიკაციისთვის მინიმუმ ერთ კლინიკურ კრიტერიუმს მოითხოვს, რათა დარწმუნდეთ, რომ დაავადება კლასიფიცირებულია. SLICC კრიტერიუმებისთვის, SLE-ის კლინიკური პროგრესის სრულად გამოსახატავად, დიდი სიფრთხილე იყო გამოყენებული. ამან სხვადასხვა მნიშვნელოვანი დამატებები გამოიწვია^[8], განსაკუთრებით, კან-ლორწოვანსა და ნეიროფსიქიატრიულ გამოვლინებებს შორის, პისტოლოგიური ნეფრიტის ჩართვით, თირკმლის ჩართულობისთვის (ცხრილი 2). ანალოგიურად, იმუნოლოგიური ელემენტები შეიცვალა, კერძოდ, მათ შორის კომპლემენტის შემცირებული დონე და დადებითი ანტი- $\beta 2$ -გლიკოპროტეინ-I ანტისხეულები, თუმცა, ასევე კუმბის დადებითი ტესტი ჰემოლიზის გარეშე.

SLICC ჯგუფის მუშაობა ამ კუთხით იმდენად საფუძვლიანი იყო, რომ EULAR/ACR ექსპერტი დელფის სავარჯიშოებს^[39] ახალ საკითხები არ მოჰყვა. ერთი დამატებითი ელემენტი, არაინფექციური ცხელება, ადრეული SLE კოპორტის კვლევებიდან^[15] და პაციენტის გამოკითხვიდან^[40] წარმოიშვა და შემდეგ განისაზღვრა როგორც $>38.3^{\circ}\text{C}$ ^[24]. მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული მიკუთვნების წესის მიხედვით, ინფექციები გამოირიცხოს, რაც კიდევ უფრო კრიტიკულია SLE პაციენტის მენეჯმენტში^[41,42].

კრიტერიუმების სამივე სისტემა კრიტერიუმების სწორად განსაზღვრაში მნიშვნელოვან ძალისხმევას ახორციელებს. დღეს ფსიქოზი ორ ცნებას აერთიანებს ACR კრიტერიუმებში, კერძოდ, ფსიქოზსა და „მწვავე კონფიზიურ მდგომარეობას“ ან „დელირიუმს“, შესაბამისად, SLICC და EULAR/ACR განმარტებების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ACR და SLICC კრიტერიუმების განმარტებები პროექტის ფარგლებში იყო შემუშავებული, EULAR/ACR კრიტერიუმები სხვა სფეროებიდან არსებულ განმარტებებს იყენებდა^[24].

ჰემატოლოგიაში, SLICC განმარტებებმა, ACR კრიტერიუმებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეცვალა შეხედულებები. ACR კრიტერიუმებით ლეიკოპენია და ლიმფოპენია განისაზღვრა, როგორც, შესაბამისად, ორჯერ <4000 და $<1500/\text{მმ}^3$ მნიშვნელობები^[1]. ეს SLICC კრიტერიუმების მიდგომით იყო გამოკვლეული, რამაც ერთხელ მაინც გამოიწვია ლეიკოპენია $<4000/\text{მმ}^3$ და ლიმფოპენია $<1000/\text{მმ}^3$ ^[8]. მიუხედავად იმისა, რომ ლიმფოპენია EULAR/ACR კრიტერიუმების ნაწილი არაა, SLICC ლეიკოპენიის განმარტების უმაღლესი ეფექტურობა EULAR/ACR კრიტერიუმების წარმოშობის კოპორტაში დადასტურდა^[4,5].

ანალოგიურად, სინოვიტის SLICC განმარტება, როგორც შეშუპება/გამოყოფა ან მგრძნობელობა და დილის რიგიდულობა სულ მცირე ორ სახსარში, აშკარა სინოვიტს აჭარბებდა^[9,10], ჩვენი მგლურას ართროიტის შესახებ ამჟამინდელი გაგების შესაბამისად^[43].

ზოგიერთ შემთხვევაში, EULAR/ACR კრიტერიუმების ფარგლებში უფრო მეტი დიფერენცია

ცხრილი 1. ვითარდება იმუნოლოგიური კრიტერიუმების ელემენტები. გაითვალისწინეთ, რომ SLICC კრიტერიუმები კლასიფიკაციისთვის მინიმუმ ერთ იმუნოლოგიურ კრიტერიუმს მოითხოვს. EULAR/ACR 2019 კრიტერიუმების დომენები ფონური ფერითაა გამოყოფილი.

	ACR 1982	ACR 1997	SLICC	EULAR/ACR
იმუნოლოგიური ამლილობა	• LE უჯრედის დადებითი პრეპარატი • ანტი-დნმ • ანტი-Sm • ცრუ დადებითი სეროლოგიური ტესტი სიფილისზე	-	-	-
		• ანტი-დნმ • ანტი-Sm	• ანტი-dsდნმ • ანტი-Sm	• ანტი-dsდნმ (6) • ანტი-Sm (6)
	-		დაბალი კომპლემენტი*	დაბალი C3 და C4 (4)
	-		დაბალი C3 ან C4 (3)	
	-		კუმბის დადებითი ტესტი, ჰემოლიზის გარეშე*	-
ANA	ანტიბირთვული ანტისხეული		ANA*	ჩართვის კრიტერიუმი*

სტრატეგიული გადაწყვეტილების პირდაპირი შედეგი იყო, რათა ყველა კრიტერიუმისთვის ინდივიდუალური წონა მიენიჭებინა. ოდნავ განსხვავებულმა წონამ განაპირობა განსხვავება „დაბალი C3 ან C4“-სა და „დაბალი C3 და C4“ შორის, „პლევრალურ ან პერიკარდიულ ეფუზიასა“ და „მწვავე პერიკარდიტს“ და ნეფროლოგიის საერთაშორისო საზოგადოებას/თირკმელების პათოლოგიის საზოგადოების (ISN/RPS) [44] „II ან V კლასის“ და „III ან IV კლასის“ ნეფრიტის შორის, რომელთაგანაც თითოეული SLICC-ის ელემენტს ორ EULAR/ACR ელემენტად ყოფს.


სიზუსტე სიმარტივის წინააღმდეგ

განხორციელებადობა კლასიფიკაციის კრიტერიუმებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. რაც უფრო ადვილი დასამახსოვრებელია ახალი კრიტერიუმები, მით უფრო სწრაფად მოახდენს გავლენას სფეროზე. ამ მხრივ, შესწორებული ACR კრიტერიუმების ნებისმიერი თერთმეტიდან ოთხი ელემენტის პრინციპის შედარებითი სიმარტივე მაღალ შეფასებას აყენებს, მაშინაც კი, თუკი ეს 1982 წლისთვის ფაქტობრივად სულ 20 იყო [1], ხოლო 21 - 1997 წლის კრიტერიუმებისთვის [2].

საპირწონე მეცნიერული სიზუსტეა. ამ საუკუნის SLE კრიტერიუმებში ეს შეიძლება ორ ვარიანტად მოიძებნოს. SLICC კრიტერიუმმა პუნქტების სია მნიშვნელოვნად შეცვალა 17 კრიტერიუმში 42 პოზიციამდე და მათგან 10 პუნქტში გამოწვევის დაამატა [8]. მეორე მხრივ, შენარჩუნებული იყო მარტივი ACR სტრუქტურა, 17-დან ოთხ კრიტერიუმს მხოლოდ იმუნოლოგიური ელემენტის აუცილებლობა დაემატა და მგლურას ნეფრიტის დამატებითი უზრუნველყოფა, ზემოთ ნახსენები პისტოლოგიით.

ამის საპირისპიროდ, EULAR/ACR-ის კრიტერიუმმა მთლიანი სტრუქტურა შეცვალა, კონკრეტულად, თითოეულ პუნქტს ინდივიდუალურ წონებს ანიჭებდა [4, 5], რომელიც მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების ანალიზიდან იყო მიღებული [25] და აისახა ცხრილებში 1 და 2. მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება დაუშვას მხოლოდ ორ კრიტერიუმზე დაფუძნებული კლასიფიკაცია (მ.შ., მაგალითად, მგლურას ართრიტი და დადებითი ანტი-dsDNA ანტისხეულები) დადებით ANA-სთან ერთად, ასევე, მან კრიტერიუმების სისტემა გაართულა. შესაბამისად, პუნქტების სია უნდა შემცირებულიყო (ცხრილი 1 და 2). ამასთან, მიკუთვნების წესი გამორიცხვის აუცილებლობას აღმოფხვრიდა.

სურათი 1: ACR 1997 კრიტერიუმების, SLICC 2012 და EULAR/ACR 2019 კრიტერიუმების მგრძნობელობა (წერტილებიანი) და სპეციფიკურობა (სოლიდური) SLE-სთვის EULAR/ACR ვალიდაციის კოპორტაში [9,10] (შავი) და SLICC ვალიდაციის კოპორტაში [19] (ნაცრისფერი). ACR 1982 კრიტერიუმებს მათი ერთი ვალიდაციის კოპორტას მონაცემები ემატება (1).



ცხრილი 2. ვითარდება კლინიკური კრიტერიუმების ელემენტები. EULAR/ACR 2019 კრიტერიუმების დომენები ფონური ფერითაა გამოყოფილი.

	ACR 1982	ACR 1997	SLICC	EULAR/ACR
ACLE	მაღარული გამონაყარი		• მაღარული გამონაყარი • ბულოზური მგლურა • ტოქსიკური ეპიდერმული ნეკროლიზური ვარიანტი • მაკულოპაპილარული მგლურას გამონაყარი • ფოტოსენსიტიური მგლურას გამონაყარი • SCLE	• მაღარული გამონაყარი (6) • მაკულოპაპილარული მგლურას გამონაყარი (6)
SCLE	-			SCLE (4)
CCLE	დისკოიდური გამონაყარი		• დისკოიდური გამონაყარი* • ჰიპერტროფული მგლურა • მგლურას პანიკულიტი • მუკოზური მგლურა • LE ტუმიდუსი • მოყინვის მგლურა • დისკოიდური მგლურას/ბრტყელი ლიქენის გადაფარვა	დისკოიდური მგლურა (4)
ფოტომგრძნობელობა	ფოტომგრძნობელობა		- +	- +
ლორწოვანის წყლულები	პირის ღრუს წყლულები		• პირის ღრუს წყლულები* • ცხვირის ღრუს წყლულები	პირის ღრუს წყლულები (2)
არანაწიბუროვანი ალოპეცია	-		არანაწიბუროვანი ალოპეცია	არანაწიბუროვანი ალოპეცია (2)
ართრიტი	არაეროზული ართრიტი*		ართრიტი*	სახსრების ჩართულობა* (6)
სეროზიტი	• პლევრიტი* • პერიკარდიტი*		• პლევრიტი* • პერიკარდიტი* • მწვავე პერიკარდიტი* (6)	• პლევრალური ან პერიკარდიალური გამონაჟონი* (5)
თირკმლის დაავადება	• პროტეინურია* • უჯრედული ცილინდრები*		• პროტეინურია* • RBC ცილინდრები*	პროტეინურია* (4)
მგლურას ნეფრიტის პისტოლოგია	-		• თავსებადი მგლურას ნეფრიტთან ‡ • ISN/RPS II/V (8)	ISN/RPS III/IV (10)
ნევროლოგიური აძლილობა	• კრუნჩხვები • ფსიქოზი		• კრუნჩხვები • ფსიქოზი • მწვავე კონფიზიური მდგომარეობა § • მულტიპლექსური მოხონევრიტი § • მიელიტი • ნეიროპათია • ფსიქოზი (3) • დელირიუმი (2)	• კრუნჩხვა (5)
პემპტოლოგიური აძლილობა	• ჰემოლიზური ანემია* • ლეიკოპენია* • ლიმფოპენია* • თრომბოციტოპენია*§ • ლეიკოპენია*§ • ლიმფოპენია*§ • თრომბოციტოპენია*§		• ჰემოლიზური ანემია* • ლეიკოპენია* (3) • - • თრომბოციტოპენია*(4)	• ჰემოლიზური ანემია*(4)

***ეხება განმარტებები. ჟეხება გამონაკლისები.**

‡ საკმარისია დადებითი ANA ან ანტი-დსდნმ ანტიხსეულებით კლასიფიკაციისთვის.

† განმარტებებში კონსეფცია გადარჩება. ISN/RPS ნეფროლოგიის საერთაშორისო საზოგადოების/თირკმელების პათოლოგიის საზოგადოების კლასები.

დასკვნები

SLE კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რომლებიც გვემსახურება, როგორც სამეცნიერო ინსტრუმენტი და როგორც SLE-ს უკეთ შესწავლის გეგმა, 1982 და 1997 წლებში შესწორებული ACR კრიტერიუმებიდან SLICC-მდე და, ახლახანს, უკვე EULAR/ACR 2019 კრიტერიუმებამდე განვითარდა. თითოეული წინა კომპლექტებზე ახალი ინფორმაციის დამატების გზით შემუშავდა, ამავდროულად, ცდილობს რა განხორციელებადობა შეინარჩუნოს. EULAR/ACR კრიტერიუმებს კლასიფიკაციისთვის შესანიშნავი სტატისტიკური შესრულება აქვთ. SLICC

კრიტერიუმების შესანიშნავი მგრძნობელობა და SLE სიმპტომების ფართო წარმოდგენა კლინიკურად მნიშვნელოვნად რჩება.

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

Curr Opin Rheumatol. 2020 November ; 32(6): 590-596. doi:10.1097

მონონუკლეოზი – კლინიკური შემთხვევის მოხსენება: პედიატრიულ პრაქტიკაში მონონუკლეოზის მართვა

მატაცო კუბლაშვილი,

კლინიკა „პროფესორი“, კლინიკა „მედ.კო“, სს „ევექსი“ თბილისი, საქართველო;

Matsatso Kublashvili

აბსტრაქტი

ინფექციური მონონუკლეოზი როგორც ავადობა თავდაპირველად 1880-იან წლებში რუსმა პედიატრმა ნილ ფილატოვმა აღწერა, რომელმაც სინდრომს "იდიოპათიური ადენიტი" უწოდა. მას შემდეგ მოცემულ დაავადებას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ, ვიდრე მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სპრინტმა და ევანსმა არ უწოდეს „ინფექციური მონონუკლეოზი“, მისი ეტიოლოგია საიდუმლოდ რჩებოდა 1967 წლამდე, როცა უკვე დადგინდა მიზეზობრივი კავშირი ინფექციურ მონონუკლეოზსა და EBV-ს შორის. ქრონიკული აქტიური ეპშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია (CAEBV) ხშირად ვლინდება პერსისტული ინფექციური მონონუკლეოზის მსგავსი სიმპტომებით და შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ორგანოს. არსებობს EBV პირველადი ინფექციის გახანგრძლივებული ან რეაქტივირებული ფორმა. გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანება მონონუკლეოზის ერთ-ერთი იშვიათი, მაგრამ მძიმე გართულებაა, რომელიც დაკავშირებულია ცუდ გამოსავლიან მიმდინარეობასთან ყველა CAEBV პაციენტში. რამდენიმე გამოქვეყნებულ სტატიაში წარმოდგენილია სისტემური არტერიული დაზიანების შემთხვევები, რომელიც მოიცავს აორტის ტოტებს, როგორც გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ გართულებას. მოცემულ სტატიაში წარმოგიდგენთ CAEBV-ის იშვიათ პედიატრიულ შემთხვევას.

საკვანძო სიტყვები: ქრონიკული აქტიური ეპშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია, ვალსალვას სინუსური ანევრიზმები, მრავლობითი არტერიის ანევრიზმა, სისტემური ვასკულიტი;

შესავალი

მონონუკლეოზის გამომწვევი ეპშტეინ-ბარის ვირუსი (EBV), ასევე ცნობილი როგორც ადამიანის ჰერპესვირუსი 4, არის ჰერპეს ვირუსების ოჯახის წარმომადგენელი. ეს არის ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვირუსი. EBV გვხვდება მთელ მსოფლიოში. ადამიანების უმეტესობა ინფიცირდება EBV-ით ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე. აღნიშნული ვირუსი ყველაზე ხშირად ვრცელდება ძირითადად ნერწყვით. ეპშტეინ-ბარის ვირუსი (EBV), რომელიც მრავლდება ოროფარინქსის ეპითელურ უჯრედებში და გადაეცემა ორალური სეკრეციით ⁽¹⁾, ჰერპესვირუსების ოჯახის წარმომადგენელია. პირველადი EBV ინფექცია ხშირია ბავშვებში ან მოზარდებში. პაციენტების უმეტესობა უსიმპტომო ან აღენიშნება მხოლოდ ზედა სასუნთქი გზების ინფექციის არასპეციფიკური სიმპტომები, ან ისინი ვლინდება როგორც ინფექციური მონონუკლეოზი (IM). პირველადი EBV ინფექცია შეიძლება განვითარდეს ოროფარინქსის B უჯრედებში. ზოგიერთ პაციენტში მნიშვნელოვანი იმუნოსუპრესიის გარეშე, EBV შეიძლება ხელახლა გააქტიურდეს და გამოიწვიოს მუდმივი ინფექცია, რომელსაც ეწოდება ქრონიკული აქტიური ეპშტეინ-ბარის ვირუსული (CAEBV) ინფექცია.

CAEBV-ის მქონე პაციენტებს ჩვეულებრივ აღენიშნებათ ქრონიკული ან მორეციდივ IM მსგავსი სიმპტომები. ძირითადი კლინიკური გამოვლინებები მოიცავს უწყვეტ ან პერიოდულ ცხელებას,

ჰეპატომეგალიას, სპლენომეგალიას, ლიმფადენოპათიას და კანის დაზიანებას ⁽²⁾. CAEBV-ით დაავადებულთა დაახლოებით 18-60%-ს უვითარდება გულსისხლძარღვთა სისტემის გართულებები ხანგრძლივი დაკვირვების პერიოდში და მათგან თითქმის ნახევარს აღენიშნება კორონარული არტერიის დაზიანება (CAL). რამდენიმე პაციენტს CAEBV-ით შეიძლება ასევე განვითარდეს სისტემური ვასკულიტი, რომელიც ძირითადად მოიცავს აორტას და მის ძირითად ტოტებს ⁽³⁻⁵⁾. ჩატარებულ კვლევებში დაფიქსირდა ვალსალვას სინუსური ანევრიზმების ძალიან ცოტა შემთხვევა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შემდგომი საპროგნოზო მაჩვენებელი ძალიან ცუდი იყო ⁽⁶⁻⁸⁾.

მეცნიერების ინტერესია ამოხსნას თუ რატომ იწვევს ეპშტეინ-ბარის ვირუსი ინფექციურ მონონუკლეოზს (IM) ზოგიერთ ადამიანში თავდაპირველი ინფექციით და არა ყველაში, რადგან ის უმრავლეს ორგანიზმში ცხოვრობს. MedUni Vienna-ის ვირუსოლოგიის ცენტრის კვლევითმა ჯგუფმა დაადგინა ვირუსის სპეციფიკური იმუნური პასუხი, დასკვნები ახლახან გამოქვეყნდა ჟურნალში „Blood“, რომლის თანახმადაც ეპშტეინ-ბარის ვირუსის (EBV) პროლიფერაციას ადამიანებში ჩვეულებრივ ებრძვიან T უჯრედები, როგორც ანტივირუსული იმუნური პასუხის ნაწილი. ამ მნიშვნელოვანი მექანიზმის საშუალებით, გარკვეული EBV კომპონენტები (პეპტიდები)

მიეწოდება T უჯრედებს სპეციფიკური მოლეკულით (HLA-E), რომელიც გვხვდება EBV-ით ინფიცირებული უჯრედების ზედაპირზე. ეს იწვევს არაკლასიკურ T- უჯრედების რეაქციას. საბოლოოდ ხდება ინფიცირებული უჯრედების განადგურება. გენეტიკური ვარიაციის გამო (HLA-E*0103/0103), მოსახლეობის დაახლოებით მესამედს HLA-E მოლეკულა EBV-ით ინფიცირებულ უჯრედებზე ბუნებრივად აქვს ორგანიზმში მომატებული. „არახელსაყრელი HLA-E გენეტიკური ვარიაციის კომბინაცია გარკვეულ EBV პეპტიდებთან, როგორც ჩანს, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს EBV-თან ასოცირებული ლიმფომების განვითარებაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ EBV-მა გამოიწვია აუტოიმუნური დაავადებების, ინფექციების, როგორცაა ინფექციური მონონუკლეოზი (IM), პოსტრანსპლანტაციური ლიმფოპროლიფერაციული დაავადებების (PTLD) და ავთვისებიანი სიმსივნეების (პოკინის ლიმფომის (HL), არაპოკინის ლიმფომის, ნაზოფარინგეალური კარცინომის (NPC) განვითარება ადამიანთა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში. შვედეთის კაროლინსკის ინსტიტუტის მკვლევარებმა იპოვეს დამატებითი მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეპშტეინ-ბარის ვირუსმა გამოიწვიოს გაფანტული სკლეროზი ან გამოიწვიოს დაავადების პროგრესირება. Science Advances-ში გამოქვეყნებულმა ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ ადამიანს აქვს ანტისხეულები ვირუსის წინააღმდეგ, რომლებიც შეცდომით ესხმიან თავს ტვინსა და ზურგის ტვინში არსებულ ცილას. კავშირი EBV-სა და გაფანტულ სკლეროზს (MS) შორის მრავალი წლის წინ აღმოაჩინეს, თუმცა ახლა განსაკუთრებული მონდომებით იკვლევენ და აფართოებენ კვლევას, რათა დადგინდეს თუ როგორ ებრძვიან T უჯრედები EBV ინფექციას და როგორ შეიძლება ამ იმუნურმა უჯრედებმა დაამიანოს ნერვული სისტემა გაფანტული სკლეროზის დროს და ხელი შეუწყოს დაავადების პროგრესირებას.

ვირუსების უმეტესობა, როგორცაა გრიპის ვირუსი, ხვდება და აავადებს ადამიანს, მაგრამ არ რჩება ორგანიზმში, ჯანსაღი იმუნური სისტემა თავს ესხმის მათ, კლავს და ხელს უშლის ავადობას. ეპშტეინ-ბარს, ჩუტყვავილასა და პერპესის გამომწვევ ვირუსებს, შეუძლიათ ათწლეულების განმავლობაში დარჩნენ ჩვენი ორგანიზმის უჯრედებში და არ გამოიწვიონ ავადობა, მაგრამ საკმარისია გამოვლინდეს ძლიერი სტრესი და იმუნური სისტემის დაქვეითება, რომ თავს იჩენს დაავადება. ეს ფენომენი უდევს საფუძვლად სწორედ Covid -19 ის შემდგომ პერიოდში ავადობის გააქტიურებასა და შემთხვევების განსაკუთრებულ ზრდას.

შემთხვევის მოხსენება

2023 წლის მარტში კლინიკის სტაციონალურ დაწესებულებაში შევიდა 5 წლის ბავშვი. კლინიკაში მომართვისას პაციენტს აღენიშნებოდა ცხელება 5 დღის განმავლობაში. გაკეთდა სწრაფი ტესტი

COVID 19 –ის ანტიგენზე, შედეგი იყო უარყოფითი, ამასთან ჩაუტარდა პროტოკოლით მოწოდებული ყველა კვლევა, თუმცა არც რეოლოგიურად, არც თვალხილული რევიზიით რაიმე კონკრეტული ნიშანი სახეზე არ გახლდათ. . ლიმფური ჯირკვლები იყო ნორმის ფარგლებში. ტონილები და ხახის რკალები მკვეთრი ჰიპერემიის გარეშე, ტემპერატურა ადვილად ემორჩილებოდა ანტიპირეტულ საშუალებებს. შესაბამისად ბავშვს მიეცა მხოლოდ სიმპტომოთერაპიული დანიშნულება ბინამე . თუმცა ჰიპერთერმია კვლავ გაგრძელდა, ამიტომ ცხელების გახანგრძლივების მე 9 დღეს მიზანშეწონილ იქნა განმეორება სსა და მხოლოდ ამ გახანგრძლივებული კარდინალური ნიშნით - ცხელებით გადაწყდა კვლევა EBV -ის ანტისხეულებზე. ცხელებას თან ახლდა სახის მსუბუქი შეშუპება და არ არსებობს სხვა შესაბამისი დასკვნები ანამნეზში ან ფიზიკურ გამოკვლევებზე. მკვეთრი თრომბოციტოზის გამო საჭირო გახდა ბავშვის ჰოსპიტალიზაცია ,იგი მიიყვანეს ადგილობრივ საავადმყოფოში და დადგინდა, რომ მას ჰქონდა მომატებული ანთებითი მარკერები, კერძოდ ალ ანინ-ამინოტრანსფერაზა (ALT). ბავშვის იმდროინდელმა გამოკვლევებმა შეშფოთება გამოიწვია IM-ზე და გაიგზავნა EBV-სთვის სპეციფიკური სეროლოგიური ტესტები, რომლებმაც აჩვენეს დადებითი EBV-ვირუსული კაფსიდური ანტიგენი (VCA)-IgM და EBV-ადრეული ანტიგენი (EA)-IgG, უარყოფითი EBV VCA. IgG და EBV-ბირთვული ანტიგენი (NA)-IgG. EBV დნმ-ის დატვირთვა, რომელიც გამოვლენილია რეალურ დროში პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (PCR) იყო 3.2×10^5 მკგ დნმ პერიფერიულ სისხლში. ღვიძლის ფუნქციების კვლევით კი დადასტურდა მწვავე პეპტიტის ნიშნები. პაციენტს დაესვა ინფექციური მონონუკლეოზის დიაგნოზი და წარმართა პროტოკოლით გათვალისწინებული მკურნალობა .კერძოდ ანტივირუსული , ანტიკოაგულაციური და ბიორეგულაციური თერაპია.

ლიმფური კინეტიკის მონესრიგების მიზნით ლიმფომიოზოტი და ღვიძლის ფუნქციის მონესრიგების მიზნით ჰეპელი. პაციენტის მკურნალობა კლინიკაში გაგრძელდა 10 დღის განმავლობაში. იქედან გამომდინარე რომ მონონუკლეოზისთვის დამახასიათებელი კლასიკური სურათი არ გახლდათ კონკრეტული შემთხვევა , მიზანშეწონილი გახდა COVID 19 -ის ანტისხეულების განსამღვრა და დაფიქსირდა კიდეც მაღალი ტიტრით .აღწერილი შემთხვევა ქრონოლოგიური ჭრილით რომ განვიხილოთ საქმე გვქონდა მონონუკლეოზის ისეთ ტიპთან ,რომელიც უშუალოდ COVID 19 ის ვირუსისგან გამომწვეული იმუნოსუპრესიის შედეგად განვითარდა ბავშვს. COVID 19 თან კავშირით იხსნება თრომბოციტოზის სურათი სისხლში .კლინიკიდან განერის შემდგომ შენარჩუნდა ლიმფომიოზოტის წვეთები,ჰეპელი და დამატებით ენგისტოლი ,რომელთან ერთადაც დედას მიეცა რეკომენდაცია ბავშვის მიმართ ბალანსირებულ და სწორ კვებაზე და ამასთან აეკრძალა რაიმე სპორტული აქტივობა და დატვირთვა.

დისკუსია

მოცემულ პაციენტში გამოხატული იყო ლიმფადენოპათიის და ლიმფედემის ნიშნები. კაპილარებიდან ქსოვილებში გადასული სითხის ის ნაწილი, რომელიც ლიმფური სადინარებით უნდა დაბრუნდეს სისხლის მიმოქცევის სისტემაში, ქსოვილებშივე რჩება და უჯრედთაშორის სივრცეში გროვდება, სხეულის შესაბამისი ნაწილი კი შუადება. ამ შემუშავებას ლიმფედემას უწოდებენ. ხშირად სწორედ აღნიშნული პროცესი უდგას საფუძვლად ლიმფოსტაზის განვითარებას. ლიმფური კინეტიკის მოწესრიგების და ლიმფადენოპათიის სამკურნალოდ პაციენტს დაენიშნა კომპლექსური ბიორეგულაციური პრეპარატი ლიმფომიოზოტი. პრეპარატი ლიმფომიოზოტი შეიცავს მცენარეულ, მინერალურ, ცხოველურ და პოტენციურ ალოპათიურ კომპონენტებს. ცალკეული კომპონენტის სინერგიული მოქმედების საფუძველზე პრეპარატი აქვს შემდეგი ჩვენებები: ლიმფატიზმი (ლიმფური ორგანოების გადაჭარბებული განვითარება), ლიმფური შეშუპება (ოპერაციული და პოსტტრავმული), ინფექციური პროცესებისადმი დაქვეითებული რეზისტენტობა, სხვადასხვა ლოკალიზაციის შეშუპებები, ტონზილარული ჰიპერტროფია და ქრონიკული ტონზილიტი. უკვე გამოქვეყნებულია რამდენიმე კლინიკური კვლევა, რომელშიც დაფიქსირებულია ლიმფომიოზოტის თერაპიული ეფექტურობა კონკრეტული ჩვენებების დროს. 1982 წელს კირხპოფმა ⁽⁵⁾ გამოაქვეყნა თავისი წარმატებული შედეგები ლიმფომიოზოტით მასტექტომიის შემდეგ მკლავის პოსტოპერაციული ლიმფედემის მქონე, მდედრობითი სქესის პაციენტის მკურნალობის შესახებ. რინებერგმა 1988 წელს გამოაქვეყნა დაკვირვებითი კვლევა მორეციდივე ტონზილიტის მქონე 50 ბავშვის ლიმფომიოზოტით მკურნალობის შესახებ ⁽⁶⁾. პუბლიკაციების ჩამონათვალს დამატებით ავსებს რამდენიმე ექსპერიმენტის დასკვნითი ანგარიში. ამ კვლევის მიზანია მომზადდეს მოხსენება ლიმფომიოზოტის მკურნალობის შედეგების შესახებ, რომელიც ეხება პრეპარატის მთელ ჩვენებათა სპექტრს. ამ შედეგების საფუძველზე, აქცენტი შეიძლება მოიძებნოს თერაპიული ვარიანტების გაფართოებაში. ლიმფომიოზოტის ახდენს ანთებითი ფაზის რეგულირებას და დასრულებას. მისი მოქმედებით ხდება აზოტის ოქსიდის (NO), რეაქტიული ჟანგბადის სახეობების (ROS) და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი ალფას (TNF- α) სინთეზის გააქტიურება და რეგულირება. ასევე ლიმფომიოზოტის მოქმედებით ხდება სხვა ადრეული ფაზის ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების რეგულაცია, მაგ. ინტერლეიკინ-1 ბეტა-ს (IL-1 β) და ინტერლეიკინ-6-ის (IL-6). დამატებით იგი უზრუნველყოფს ციტოკინის გენების ტრანსკრიპციის მარეგულირებელი ბირთვული ფაქტორის კაპა B (NF- κ B)–ს გააქტიურებას ანთების საწინააღმდეგო ფერმენტების მოდულაციას, მაგ. ციკლოოქსიგენაზა 1 და 2-ის, პროსტაგლანდინის E270, ჰისტამინის სინთეზს და გამოთავისუფლებას. ლიმფომიოზოტის მოქმედებით მოხდა შესაბამისი იმუნური მედიატორების

უკუმიტაცება დაზიანებულ ქსოვილში, კერძოდ ინტერფერონ გამა-ს (IFN- γ), ინტერლეიკინ-10 (IL-10), ინტერლეიკინ-8 (IL-8), მონოციტების ცილა 1-ს (MCP-1). ასევე პრეპარატის მოქმედებით წარმართა მაკროფაგების მიერ ლეიკოციტების ინფილტრაციის რეგულირება. პრეპარატი ახდენს მაკროფაგების მიგრაციის ინჰიბიტორული ფაქტორის ექსპრესიაზე გავლენას და მნიშვნელოვანი ადჰეზიური მოლეკულების აქტივობის კონტროლს, მაგ. სისხლძარღვთა უჯრედების ადჰეზიური ცილა 1 (VCAM-1), უჯრედშიდა ადჰეზიური მოლეკულა 1 (ICAM-1)-ის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი თვისება, რომელიც გამოიხატება ექსტრაცელულური მატრიქსის რემოდელირებით, კერძოდ ამ დროს ხდება ფიბრობლასტების პროლიფერაციის სტიმულირება, კოლაგენის სინთეზი, კერატინოციტების აქტივობის რეგულაცია, გლიკოზამინოგლიკანის შემცველობის ზრდა.

პრეპარატი ენგისტოლი ამცირებს ალოპათიური მკურნალობის შედეგად გამოწვეულ ტოქსიკურ დატვირთას (იმპრეგნაციის და დეგენერაციის ფაზები), განსაკუთრებით, კი ვირუსული დაავადებებისას, რომლებიც ხასიათდება ვირუსის (ჰომოტოქსინის) ჩანერგვით უჯრედებში. ამასთან, პრეპარატი არ ახდენს პირდაპირ ვირუსოსტატიკურ ზემოქმედებას. მისი ეფექტი ეფუძნება ვინცეტოქსინის და ასკლექის მჟავას მოქმედებას (Vincetoxicum officinale-ის კომპონენტები), სისხლძარღვებისა და სიმპათიკურ ინერვაციას, აგრეთვე, კოლოიდური გოგირდის მოქმედებას, რომელიც იწვევს ფერმენტთა (სულფიდ-ფერმენტების) დარღვეული ფუნქციების აღდგენას, ააქტიურებს დიდ დამცველობით სისტემას და დემინტოქსიკაციის მექანიზმებს. პაციენტს ღვიძლის დაზიანების ფონზე გამოხატული ფუნქციური დარღვევების მკურნალობა უტარდებოდა კომპლექსური ბიორეგულაციური პრეპარატით - ჰეპელი. მის შემადგენლობაში შედის ბუნებრივი კომპონენტების უნიკალური კომბინაცია. ჰეპელი ხელს უწყობს ღვიძლის ფუნქციების მოწესრიგებას, იცავს ღვიძლს და უზრუნველყოფს ჰეპატოციტების ნორმალურ ზრდას. 2-3 დღის შემდეგ შეინიშნა ბავშვის სიმპტომების გაუმჯობესდება, აღარ უჩიოდა აბდომინური დისკომფორტს. მკურნალობიდან 2-3 კვირის შემდეგ თითქმის მთლიანად ალაგდა დისპეფსიური ჩივილები და მადა დაუბრუნდება, ხოლო 4-6 კვირის შემდეგ პაციენტი კვლავ გრძნობდა თავს კარგად. საბოლოოდ, როგორც ღვიძლის ფერმენტების საწყისი მატება და ისე მთლიანი ბილირუბინის დონე დავიდა ნორმის ფარგლებში. ექიმთან ორი თვის შემდეგ ვიზიტისას პაციენტის დედა არ აფიქსირებდა სიმპტომებს ბავშვის მიმართ და სისხლის ანალიზის ყველა მაჩვენებელი ნორმალურ დიაპაზონში იყო. ერთი თვის შემდგომ გადაკონტროლდა ყველა პროტოკოლით გათვალისწინებული კვლევა, ჰეპატოსპლენომეგალიის სურათი ისევ ნარჩუნდებოდა, თუმცა რეოლოგიური მაჩვენებლები ნორმაში გახლდათ. სრული სურათი

2.1 ერითროციტები (RBC)	4.14
1.1.INT.1 ჰემოგლობინი (HGB)	110.00
2.3.4 ჰემატოკრიტი (HCT)	32.40
2.4.4 ერითროციტების საშუალო მოცულობა (MCV)	78.30
2.4.5.2 ერითროციტების განაწილების ფართი (RDW-CV)	12.90
2.4.5.1 ერითროციტების განაწილების ფართი (RDW-SD)	36.90
2.4.2 ერითროციტებში ჰემოგლობინის საშუალო შემცველობა (MCH)	26.50
2.4.1 ერითროციტებში ჰემოგლობინის საშუალო კონცენტრაცია (MCHC)	338.00
3.1 თრომბოციტები (PLT)	802.00
3.4 დიდი ზომის თრომბოციტების რაოდენობა (P-LCC)	113.00
3.5 დიდი ზომის თრომბოციტების წილი (P-LCR)	14.10
3.2.INT.1 თრომბოკრიტი (PCT)	0.66
3.3 თრომბოციტების საშუალო მოცულობა (MPV)	8.10
3.5.1 თრომბოციტების განაწილების ფართი (PDW)	15.50
4.1 ლეიკოციტები (WBC)	15.32
ეიკოციტების დიფერენცირება	
4.1.INT.2 ნეიტროფილები (NEUT)	9.77
4.1.INT.1 ნეიტროფილები (NEU)	63.80
4.2.6 ლიმფოციტები (LYM)	3.51
4.2.6.INT.1 ლიმფოციტები (LYM)	22.90
4.2.5 მონოციტები (MON)	1.82
4.2.5.INT.1 მონოციტები (MON)	11.90
4.2.4 ეოზინოფილები (EO)	0.09

კვლევის შედეგი	ერთეული
28.6	
	< 0.9
	0.9 - 1.1
	≥ 1.1

გამოჩანმრთელების ორი თვის შემდეგ მივიღეთ. აღნიშნული შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ დროული და სწორი დიაგნოზით, ხოლო შემდეგ მინიმალური, ხარისხიანი პრეპარატებითა და სწორი კვებით შეიძლება საკმაოდ რთული ავადობის მართვა.

ინფექციურ მონონუკლეოზს EBV -ის გარდა იწვევს სხვა ვირუსებიც. ეპსტეინ-ბარზე მოდის შემთხვევათა 90%. დანარჩენი გამოწვეულია ციტომეგალოვირუსით, ადამიანთა ჰერპესვირუსით, ტოქსოპლაზმით, აივ ინფექციით და ადენოვირუსით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით (ICD-10) მონონუკლეოზი მოწოდებულია „როგორც ინფექციური მონონუკლეოზი, რომელიც უკავშირდება ეპსტეინ-ბარის ვირუსს ციტომეგალოვირუსით გამოწვეული ინფექციური მონონუკლეოზი, სხვა ინფექციური მონონუკლეოზი და დაუზუსტებელი ინფექციური მონონუკლეოზი“.

ინფექციური მონონუკლეოზის სიმძიმის შესაფასებლად ბენ ზ. კატზმა (Ben Z. Katz) M.D., ჩიკაგოს ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის ფეინბერგის მედიცინის სკოლიდან და მისმა

კოლეგებმა შეიმუშავეს და დაადასტურეს სკალა ახალ სკალას შეუძლია გამოავლინოს უფრო სერიოზული შემთხვევების რისკის ქვეშ მყოფი პაციენტები, მათ შორის, ვისაც შეიძლება განუვითარდეს ქრონიკული დაღლილობის სინდრომი ინფექციური მონონუკლეოზის შემდეგ. სკალა ახლახან გამოქვეყნდა The Journal of Pediatrics-ში.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ პრეპარატ ლიმფომიოზოტი გამოირჩევა მოქმედების ფართო სპექტრით. ლიმფედმა არის ლიმფომიოზოტის მთავარი ჩვენება. პრეპარატის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩვენებაა ანთებითი დაავადებები. აქ გასათვალისწინებელია, რომ სამედიცინო პრაქტიკაში ვირუსული ინფექციების მკურნალობისას ხშირად არ აღინიშნება იზოლირებულად მიმდინარე ინფექციური პროცესები, როგორც წესი, ხშირად სახეზეა შერეული ფორმები, რომლებიც შედგება რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ანთებისგან. ლიმფომიოზოტის აქტივობის სპექტრი ითვალისწინებს ამ გარემოებას; ლიმფომიოზოტის მოქმედების ფართო სპექტრი ანთებით პროცესებში ნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ პრეპარატის გამოყენება დაქვეითებული რეზისტენტობის დროს (ინფექციისადმი ზოგადი მგრძნობელობა). ლიმფურ სისტემასთან მისი აფინურობისა და ანთებითი პროცესების დროს მისი ეფექტურობის გათვალისწინებით ასევე სასარგებლოა პრეპარატი გამოყენება ლიმფური კვანძების ანთებითი შეშუპების დროს (ლიმფადენიტი). პრეპარატი ჰეპელი გამოიყენება ღვიძლის ფუნქციის

პირველადი და მეორადი დარღვევების დროს. მისი მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დეტოქსიკაციური მექანიზმები. ზოგადად ჰეპელი შესაძლებელია დანიშნული იქნას ქოლესისტიტის, ქოლანგიტის და ნალვლის სადინარების სხვა დაზიანებისას, რომელსაც თან ახლავს ღვიძლის პარენქიმის დაზიანება (ქოლესტაზი). ამგვარად, Engystol N, ისევე, როგორც Lymphomyosot ახდენს სადრენაჟო ზემოქმედებას მეგენქიმასა და ლიმფურ სისტემაზე. სწორედ ამ მოქმედებამა დაფუძნებული ჩვენებები: ალერგია, მეორადი დაავადებები, სხვა დაავადებების შედეგები (მაგ., აგრანულოციტოზი, ნევრიტი, თირკმლების, ღვიძლის, ძვლის ტვინის, გულის კუნთის დაავადებები, ნევრიტი და ა.შ.) ცხელებით მიმდინარე მძიმე რეაქტიული ფაზებისას, მაგ., სეფსისის დროს, Engystol N-ის მიღების შემდეგ შესაძლოა აღინიშნოს მდგომარეობის გაუმჯობესება 3-5 საათის განმავლობაში შემდგომი კომპენსაციის ფაზით.

მეცნიერები წლების განმავლობაში ცდილობენ შეექმნან ვაქცინები EBV-ის ვირუსის წინააღმდეგ. იქედან გამომდინარე, რომ გადატანილი მონონუკლეოზი შეიძლება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეტად მძიმე ავადობის გაფანტული სკლეროზის განვითარების საფუძველი გახდეს, ამასთან ახლავს ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, რომელიც ხანგრძლივდება საკმაოდ დიდხანს. როგორც წესი ავადობის გადატანიდან რეაბილიტაციის პერიოდი გრძელდება ექვსი თვის განმავლობაში. ახლახან რამდენიმე სამედიცინო კვლევამ უფრო მეტი აქტუალობა და წარმატების იმედი შესძინა ვაქცინაციის იდეას. თუმცა იქამდე განსაკუთრებულ პრევენციად რჩება ჰიგიენური ნორმების დაცვა, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ინფექციების მართვისას და ამასთან საზოგადოების განათლების დონის ამაღლება სამედიცინო, ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური კუთხით მეტად მნიშვნელოვანი გზა არის ჯანმრთელი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. როგორც ბენჯამენ ფრანკლინი ამბობდა “ჯანმრთელი ერი ნაციონალური სიმდიდრეა”

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

<https://medicalxpress.com/news/> https://www.physio-pedia.com/Epstein-Barr_Virus კლინიკური მართვის ნაციონალური პროტოკოლი, <https://www.labcompare.com>

ხელოვნური ინტელექტი ახალი ანტიბიოტიკის აღმოსაჩენად

მეცნიერებმა გამოიყენეს ხელოვნური ინტელექტი ახალი ანტიბიოტიკის აღმოსაჩენად, რომელსაც სუპერბაქტერიების მომავლინებელი სახეობის განადგურება შეუძლია.

ექსპერიმენტული ანტიბიოტიკი, სახელად „აბაუცინი“ საჭიროებს შემდგომ შემოწმებებს გამოყენებამდე. მკვლევრები კანადაში და აშშ-

ში ამბობენ, რომ ხელოვნური ინტელექტს აქვს ძალა, მასობრივად დააჩქაროს ახალი წამლების აღმოჩენა. „ბიბისი“ წერს, რომ ეს არის უახლესი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები იყოს რევოლუციური ძალა მეცნიერებასა და მედიცინაში.

ანტიბიოტიკები კლავს ბაქტერიებს, თუმცა ათწლეულების განმავლობაში იყო ახალი წამლების ნაკლებობა და ბაქტერიების მკურნალობა უფრო რთული ხდება, რადგან ისინი ავითარებენ რეზისტენტობას იმ წამლების მიმართ, რაც უკვე არსებობს. წელიწადში მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება ინფექციებისგან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ანტიბიოტიკებით მკურნალობას.

მკვლევრებმა ყურადღება გაამახვილეს ბაქტერიების ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ სახეობაზე – *Acinetobacter baumannii*, რომელსაც შეუძლია ტრილობების დაინფიცირება და პნევმონიის გამოწვევა. ეს არის ერთ-ერთი იმ სამი სუპერბაქტერიიდან, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაასახელა, როგორც „კრიტიკული“ საფრთხე. ამ ბაქტერიას ხშირად შეუძლია, თავი აარიდოს მრავალ ანტიბიოტიკს და წარმოადგენს პრობლემას საავადმყოფოებსა და მოხუცთა თავშესაფრებში, სადაც მას შეუძლია, გადარჩეს ზედაპირებზე და სამედიცინო აღჭურვილობაზე.

ახალი ანტიბიოტიკის მოსაძებნად მკვლევრებს ჯერ ხელოვნური ინტელექტის მომზადება მოუწიათ. მათ აიღეს ათასობით წამალი, სადაც ზუსტი ქიმიური სტრუქტურა იყო ცნობილი და გამოცადეს ისინი *Acinetobacter baumannii*-ზე, რათა დაენახათ, რომელს შეეძლო მისი შენელება ან მოკვლა. ეს ინფორმაცია მიეწოდა ხელოვნურ ინტელექტს, რათა მას შეეძლო გაეგო წამლების ქიმიური თვისებები, რომლებსაც შეუძლიათ შეტევა პრობლემურ ბაქტერიაზე. შემდეგ ხელოვნური ინტელექტს წარუდგინეს 6 680 ნაერთთა სია, რომელთა ეფექტურობა უცნობი იყო. შედეგებმა აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტს საათ-ნახევარი დასჭირდა მოკლე სიის შესაქმნელად. მკვლევრებმა ლაბორატორიაში 240 მათგანი გამოცადეს და ცხრა პოტენციური ანტიბიოტიკი აღმოაჩინეს. ერთ-ერთი მათგანი იყო წარმოუდგენლად ძლიერი ანტიბიოტიკი „აბაუცინი“. შემდეგი ნაბიჯი არის პრეპარატის სრულყოფა ლაბორატორიაში და შემდეგ კლინიკური კვლევების ჩატარება.

ექიმების გარაუდით, პირველი ხელოვნური ინტელექტის ანტიბიოტიკების მიღება შეიძლება 2030 წლამდე, ვიდრე ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაწერად. საინტერესოა, რომ ამ ექსპერიმენტულ ანტიბიოტიკს არანაირი გავლენა არ ჰქონდა ბაქტერიების სხვა სახეობებზე და მუშაობს მხოლოდ *Acinetobacter baumannii*-ზე. ბევრი ანტიბიოტიკი კლავს ბაქტერიებს განურჩევლად. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ „აბაუცინის“ სიმსუსტე გაართულებს წამლებისადმი რეზისტენტობის გამოვლენას და შეიძლება, ნაკლები გვერდითი მოვლენები გამოიწვიოს.

Bordetella bronchiseptica-ით გამოწვეული პნევმონია ფილტვის კიბოს მქონე პაციენტში: იშვიათი ინფექციის შემთხვევის შესახებ მოხსენება

მანლიო მონტი,

ონკოლოგიური დაავადებების კვლევისა და მკურნალობის სამეცნიერო ინსტიტუტი (IRST), სამედიცინო
ონკოლოგიის დეპარტამენტი, მელდოლა, იტალია;

დანილა დიანო,

ონკოლოგიური დაავადებების კვლევისა და მკურნალობის სამეცნიერო ინსტიტუტი (IRST), რადიოლოგიის
დეპარტამენტი, მელდოლა, იტალია;

ფრანჩესკო ალეგრინი,

მორგანი-პიერანტონის ჰოსპიტალი, ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტი, ფორლი, იტალია;

ანგელო დელმონტე,

ონკოლოგიური დაავადებების კვლევისა და მკურნალობის სამეცნიერო ინსტიტუტი (IRST), სამედიცინო
ონკოლოგიის დეპარტამენტი, მელდოლა, იტალია;

ვალენტინა ფაუსტი,

ონკოლოგიური დაავადებების კვლევისა და მკურნალობის სამეცნიერო ინსტიტუტი (IRST), სამედიცინო
ონკოლოგიის დეპარტამენტი, მელდოლა, იტალია;

Manlio Monti, Danila Diano, Francesco Allegrini, Angelo Delmonte, Valentina Fausti

აბსტრაქტი

მიმოხილვა: Bordetella bronchiseptica (B.bronchiseptica) ცხოველებში რესპირატორული ინფექციების ხშირ მიზეზს წარმოადგენს, თუმცა, ადამიანებში სერიოზულ ინფექციას იშვიათად იწვევს. წარმოადგენს B. Bronchiseptica-ით გამოწვეული პნევმონიის იშვიათ შემთხვევას, ფილტვის კიბოს მქონე პაციენტში.

შემთხვევის წარდგენა: ფილტვის არანვრილუკრედოვანი კიბოს მქონე 52 წლის თეთრკანიან მამაკაცს ნივთიერებათა მკურნალობის დროს ცხელება განუვითარდა. მუდმივმა პროდუქტიულმა ხველამ და მისი კლინიკური მდგომარეობის გაუარესებამ მისი შეფასებისთვის ჰოსპიტალიზაცია გამოიწვია. ჩატარდა ბრონქოსკოპია და დაისვა B. bronchiseptica-ით გამოწვეული პნევმონიის დიაგნოზი. ინფექცია წარმატებით იმართა ანტიბიოტიკოთერაპიის საშუალებით.

დასკვნები: B. bronchiseptica პათოგენია, რომელსაც შეუძლია ადამიანებში, განსაკუთრებით კი იმუნოკომპრომეტირებულ ან იმუნოკომპეტენტურ პირებში სერიოზული ინფექცია გამოიწვიოს. ჩვენმა პაციენტმა ცეფალოსპორინების მიმართ უჩვეულო რეზისტენტობა და ამიკაცილის მიმართ ცუდი მგრძნობელობა აჩვენა. ჩვენი ინფორმაციით, ეს ფილტვის კიბოთი დაავადებულ პაციენტში, რომელიც ნივთიერებათა მკურნალობს, ასეთი ინფექციის პირველი შემთხვევაა. B. Bronchiseptica-ის გამოვლენისას, გასათვალისწინებელია ნოზოკომიური გადაცემის შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: Bordetella bronchiseptica, ფილტვის ღრუს დაზიანება, იშვიათი ინფექცია, ნივთიერებათა მკურნალობის იმუნოკომპრომეტირებული პაციენტი

მიმოხილვა

ბორდეტელას (B.) 9 სახეობიდან დღემდე გამოვლენილი B. bronchiseptica, B. parapertussis და B. holmesii ადამიანებსა და სხვა ძუძუმწოვრებში რესპირატორულ ინფექციებთან ასოცირდება. ყივანახველა (ყივანახველა) ადამიანებში უაღრესად გადამდები, მწვავე რესპირატორული დაავადებაა, რომელიც გრამუარყოფითი ბაქტერიული პათოგენით B. Pertussis არის გამოწვეული, რომელსაც

ცნობილი ცხოველური ან გარემოს რემერვუარი არ გააჩნია ^[1]. B. avium ფრინველის პათოგენია, რომელიც ფრინველში ქოჩიას და რინოტრაქეიტს იწვევს. B. ansorpii, B. hinzii, B. holmesii, B. petrii და B. trematum ძირითადად იმუნოკომპრომეტირებულ პაციენტებში ინფექციებს უკავშირდება ^[2, 3].


B. bronchiseptica გრამუარყოფითი კოკობაცილაა, რომელიც ხშირად იზოლირებული შინაური და

გარეული ცხოველების ზედა სასუნთქი გზებიდან, მაგ., მემინდვრებში, სელაპებში, მღრღნელებსა და დატყვევებულ კოალაებში. ითვლება, რომ ინფექცია ტრაქეობრონქიტით დაავადებული ცხოველებიდან გადადის. ამ ოპორტუნიტული პათოგენის ზოონოზური წყაროების პოტენციურად ხშირი შემოქმედების მიუხედავად, ადამიანის ინფექციები იშვიათია. თუმცა, ცნობილია, რომ იმუნოკომპრომეტირებულ ან იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში იგი ზედა სასუნთქი გზების ინფექციების, პნევმონიტის, ენდოკარდიტის, პერიტონიტის, მენინგიტის, სეფსისისა და მორეციდივე ბაქტერიემიის ეტიოლოგიური აგენტია ^[4]. *B. bronchiseptica* არ ახდენს ყვიანახველას ტოქსინის ექსპრესიას, რომელიც *B. pertussis*-ის ერთ-ერთი დამახასიათებელი ვირულენტობის ფაქტორია, მიუხედავად იმისა, რომ ამის გენი აქვს, რაც ამ ორ სახეობას შორის მჭიდრო ევოლუციურ ურთიერთობაზე მიუთითებს. ჩვენ მოგახსენებთ *B. bronchiseptica* პნევმონიის იშვიათ შემთხვევას ფილტვის კიბოს მქონე პაციენტში.

შემთხვევის წარდგენა

2014 წლის აპრილში, 52 წლის კავკასიური რასის მამაკაცს, რომელსაც ანამნეზში სიგარეტის მოწევა აქვს, ფილტვის მარცხენა წილის კავიტაციური ბრტყელუჯრედოვანი კარცინომას (SCC) cT4N2M0 დიაგნოზი დაუსვეს. 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის იანვრამდე მან ჩვენს დანესებულებაში ნივთიერებათ (3 მგ/კგ ყოველ 14 დღეში) მეორე რიგის მკურნალობის 10 ციკლი გაიარა. ბოლო მკურნალობის დასრულებიდან თოთხმეტი დღის შემდეგ პაციენტი დაბალი ხარისხის ცხელება ($38,3^{\circ}\text{C}$) განუვითარდა. გულმკერდის რენტგენი პნევმონიის პიპოთემას გამოიჩინებდა. დაინიშნა ლევოფლოქსაცინი 500 მგ/დღეში 7 დღის განმავლობაში, ხოლო პაციენტი თავდაპირველად რეაგირებდა. შეყვანილ იქნა ნივთიერებათ კიდევ ორი ციკლი. 2016 წლის თებერვალში, დინამიკაში დაკვირვების დროს პაციენტმა განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ჰქონდა დაბალი ხარისხის ცხელება (38°C) და უჩიოდა ტკივილს გულმკერდის კედელში, ფილტვის კიბოს მიდამოში. ასევე, მას ჰქონდა პროდუქტიული ხველა და 6 თვის განმავლობაში დაახლოებით 7 კგ დაიკლო. შესრულების მდგომარეობა ცუდი იყო. პაციენტი სასწრაფოდ ჩვენს სტაციონალურ ონკოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს; საწყისი სასიცოცხლო ნიშნები იყო არტერიული წნევა 110/60, გულისცემა 125 დარტყმა/წთ და ჟანგბადის სატურაცია 92% ოთახის პაერზე. პაციენტის ფილტვების აუსკულტაციამ სუნთქვის ხმიანობის დაქვეითება გამოავლინა ფილტვის მთელ ველზე. მუცელი რბილი, ორგანომეგალიის გარეშე. ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა სისხლის თეთრი უჯრედების რაოდენობა $22.10 \times 10^9/\text{ლ}$ აჩვენა, 84.5% ნეიტროფილებით, 4.7% ლიმფოციტებით და 10.5% მონოციტებით. პემოგლობინი 10 გ/დლ და თრომბოციტები $690 \times 10^9/\text{ლ}$. ელექტროლიტები,

თირკმელების და ღვიძლის ფუნქციური სინჯები და კოაგულაციის კვლევები ნორმალური იყო, C-რეაქტიული ცილის (320 მგ/ლ) და ალბუმინის (28 გ/ლ) გარდა. შარდის ანალიზმა აჩვენა ცილა 25 მგ/დლ. გულმკერდის რენტგენოგრაფიამ პირველადი სიმსივნის ღრუს დაზიანების არსებობა და პლევრის გამონაჟონი დაადასტურა. დაითესა სისხლის კულტურა და დაიწყო ემპირიული მკურნალობა პირველ დღეს 20 მგ/კგ ამიკაციინით (15 მგ/კგ/დღეში შემდგომში), პლუს ცეფტაზიმიდი 2 გ 3-ჯერ/დღეში. პაციენტმა ასევე დაიწყო ოქსიგენოთერაპია (ჟანგბადით თერაპიის სათვალთ) 5 ლ/წთ და ორმაგი ანტიბიოტიკოთერაპიის შემდეგ, 3 დღეში აპირიული გახდა. უწყვეტი პროდუქტიული ხველის გამოსაკვლევად ჩატარდა ბრონქოსკოპია და მოხდა უსიამოვნო სუნის მქონე ჩირქის ამოღება, ძირითადად, მარცხენა ქვედა წილიდან. ორმაგი თერაპიის დაწყებიდან 7 დღის შემდეგ პაციენტის კლინიკური მდგომარეობა გაუარესდა, ცხელების და შემცივნების ხელახალი გამოვლინებით. გულმკერდის კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ (CT) მრავლობითი ორმხრივი პარენქიმული დაგროვების არსებობა გამოავლინა, ძირითადად, მარცხენა ქვედა წილში, რაც ანთებითი ფენომენის პირველ პიპოთემას იწვევს (ნახ. 1a). ასევე, მარცხენა პლევრაში მინიმალური გამონაჟონი, ქვედა მარცხენა წილში ღრუს დაზიანების ზომის მატებასთან ერთად და მიმდებარე ხერხემლის სტრუქტურებში ნეკროზის გაზრდილი ლიტიური დაავადება აღინიშნა. შენარჩუნდა ამიკაციინით მკურნალობა, თუმცა, ცეფტაზიმიდი 6 მგ/კგ ტეიკოპლანინით შეიცვალა ორჯერ პირველ დღეს, შემდეგ კი ერთხელ დღეში. სისხლის კულტურა უარყოფითი დარჩა. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) და რაოდენობრივი ციტომეგალოვირუსის დნმ-ის ($<233 \text{ UI/ml}$) ტესტები უარყოფითი იყო. ბრონქოსკოპიურა ალვეოლარულმა ლავაჟმა (BAL) $10,000 \text{ CFU}$ (კოლონიის წარმოქმნელი ერთეული) *B. bronchiseptica* გამოავლინა, რომელიც ცეფტაზიმის (მინიმალური ინჰიბიტორული კონცენტრაცია [MIC] ≥ 64), ცეფტაქსიმის (MIC ≥ 64) და ცეფტრიმის მიმართ რემისტენტული იყო, თუმცა, მგრძნობიარე ამიკაციინის (MIC 8), გენტამიცინის (MIC 2), იმიპენემის (MIC 0.5), მეროპენემის (MIC ≤ 0.25), პიპერაცილინის/ტაზობაქტამის (MIC ≤ 4) და ციპროფლოქსაციინის (MIC 1) მიმართ. ბრონქოალვეოლარული მასალა *Mycobacterium tuberculosis* კომპლექსის დნმ-ზე უარყოფითი იყო. რამდენიმე დღიანი აპირექსიის შემდეგ, სიცხე დაბრუნდა და პაციენტის კლინიკური მდგომარეობა გაუარესდა. განმეორდა სისხლის კულტურა და ამიკაციინი და ტეიკოპლანინი შეიცვალა 4 გ პიპერაცილინით პლუს 500 მგ ტაზობაქტამით სამჯერ დღეში. 2 კვირიანი თერაპიის შემდეგ, გულმკერდის CT სკანირებამ (ნახ. 1b) ორმხრივ პარენქიმული ანთებითი უბნების გაუმჯობესება და პლევრაში გამონაჟონის უმნიშვნელო შემცირება აჩვენა. სისხლის კულტურა უარყოფითი დარჩა. ანტიმიკრობული მკურნალობა სულ 17 დღის განმავლობაში გაგრძელდა, რის



სურათი 1. გულმკერდის ღერძული CT სკანირება პოსტიტალიზაციის დროს. მკურნალობამდე გამოსახულებები (ა) გვიჩვენებს ფილტვის პირველადი კიბოს ღრუს დაზიანებას (ყვითელი ისარი) და ფილტვის მრავლობითი ორმხრივ კონსოლიდაციებს, დაფუჭული მინის გამჭვირვალობა და ძვიდის გასქელება მარცხენა ქვედა წილშია გავრცელებული, რომელიც ანთებით მოვლენებს უკავშირდება (მწვანე ისრები). პიპერაცილინით/ტაზობაქტამით თერაპიის 2 კვირის შემდეგ სურათები (ბ) ღრუს დაზიანების სტაბილიზაციას (ყვითელი ისარი) და ანთებითი ფენომენების შემცირებას ავლენს (მწვანე ისრები)

შემდეგაც, პნევმონიის გაუმჯობესების, კლინიკური მდგომარეობისა და შესრულების სტატუსის გათვალისწინებით, პაციენტი კლინიკიდან გაწერეს. პირველი 6 დღის განმავლობაში სახლში დაენიშნა 500 მგ ლევოფლოქსაცინი ორჯერ დღეში. 3 თვეში პაციენტი გარდაიცვალა, დაავადების პროგრესირების გამო.

დისკუსია

ბორდეტელას ცხრა სახეობიდან, *B. bronchiseptica*, უპირველეს ყოვლისა, ზოონოზური პათოგენია, რომელიც დაავადებების ფართო სპექტრთან, სიმძიმესთან ასოცირდება, მსუბუქი რესპირატორული სიმპტომებიდან სეფსისამდე, ხოლო ადამიანებში - სიკვდილამდე ^[5]. ლიტერატურის მიმოხილვისას, *B. bronchiseptica*-ით ინფიცირებულ პაციენტთა უმრავლესობას სულ მცირე ერთი წინასწარგანმწყობი დაავადება ჰქონდა, როგორებიცაა მწვავე ლიმფური ლეიკემია ^[6], ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია, ლიმფოპენია, რომელიც გლიობლასტომის, კისტოზური ფიბროზის და კიბოს ტემოზოლომიდით ^[7] (ავთვისებიანი თიმომა, თავის ტვინში უცნობი წარმოშობის მეტასტაზები, ფილტვის კიბო და სუპრაგლოტიური კიბო რეციდივის გარეშე) ^[8] მკურნალობას უკავშირდება, ანდა ჰემატოპეტური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია ^[9-11] ან ფილტვის ტრანსპლანტაცია ^[12] ჩაუტარდა. *B. bronchiseptica* დაფიქსირდა აივ-ით ^[13], დაუნის სინდრომით, ლაყუჩის ნაპრალის კისტით ^[14], კრონის დაავადებით, გულმკერდის ტრავმით, ენდოკარდიტით, შაქრიანი დიაბეტით, „განკურნებული“ ფილტვის ტუბერკულოზით, პოსტტრავმული მენინგიტით, რევმატოიდული ართრიტით ^[15] და ბრონქიტით ^[16]

დაავადებულ ადამიანებში.

მიუხედავად იმისა, რომ *B. Bronchiseptica*-ით ინფექციის გადაცემის გზის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, პოსტიტალიზაციის მოხსენებულ იქნა ადამიანიდან ადამიანზე პაერნეფთოვანი გზით გადაცემის შესახებ ^[8, 10]. ამრიგად, ჩვენს პაციენტს პაერნეფთოვანი სიფრთხილის ზომები დასჭირდა და ცალკე ოთახში მოათავსეს.

B. bronchiseptica ძუძუმწოვართა ფართო სპექტრს აინფიცირებს, რაც ტრაქეობრონქიტის იწვევს (ასევე ცნობილია, როგორც „ძაღლების ხველა“) ძაღლებსა და კატებში, ხოლო ატროფიულ რინიტს - ღორებში. ვეტერინარულ კლინიკებში ძაღლების ხველის საწინააღმდეგო ვაქცინები საყოველთაოდ გამოიყენება, რომლებიც ცოცხალ, დასუსტებულ *B. bronchiseptica*-ს შეიცავს. ვაქცინის შტამების ადამიანებზე გადაცემა თეორიული შესაძლებელია ^[17]. როდესაც *B. bronchiseptica*-ით გამონეწეული ინფექციები ადამიანებში ვითარდება, როგორც წესი, ეს იმუნოკომპრომეტირებულ ან იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში ხდება და ხშირად ხდება ცხოველებთან კონტაქტის დროს. პათოგენს შეუძლია უჯრედის შიგნით გადარჩენა, ფაგოციტების მიერ მათი შთანთქმიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, რამაც შეიძლება ნაწილობრივ ახსნას იმუნოკომპეტენტურ ადამიანებში ინფექციის მიმართ რეზისტენტობა. ჩვენი პაციენტი რამდენიმე წლის წინ ხშირად სტუმრობდა კატების თავშესაფარს და, შესაბამისად, მისი ინფექცია შესაძლოა ცხოველისგან მომდინარეობს.

ფილტვის კიბო მსოფლიოში კიბოთი სიკვდილობის წამყვანი მიზეზია. 2008 წელს 1,6 მილიონზე მეტ ადამიანს დაუსვეს ამ დაავადების დიაგნოზი, რაც კიბოს ყველა ახალი დიაგნოზის 13%-ს წარმოადგენს, ხოლო 1,4 მილიონი გარდაიცვალა, რაც კიბოთი სიკვდილიანობის 18%-ს წარმოადგენს ^[18].

ფილტვის კიბო, მისი ბიოლოგიის, თერაპიისა და პროგნოზის მიხედვით, ორ ძირითად კლასად იყოფა - არანვრელუჯრედოვანი ფილტვის კიბო (NSCLC) და ნვრელუჯრედოვანი ფილტვის კიბო (SCLC). პირველი ფილტვის კიბოს ყველა შემთხვევის 80%-ზე მეტს შეადგენს და 2 ძირითად ქვეტიპს მოიცავს: ფილტვის არაბრტყელ კარცინომას (მათ შორის ადენოკარცინომა, მსხვილუჯრედოვანი კარცინომა და სხვა ტიპები) და ბრტყელუჯრედოვან კარცინომას (SCC). SCC ფილტვის კიბოს 20%-30%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვან ჯანმრთელობით ტვირთს წარმოადგენს^[19]. ბოლო 5-10 წლის განმავლობაში ფილტვის ადენოკარცინომის მოწინავე სტადიის მოლეკულური მიზნობრივი თერაპიის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა, რაც ამ დაავადების მქონე პაციენტების პერსპექტივას აუმჯობესებს. თუმცა, ბოლო დრომდე, მოწინავე SCC-ით დაავადებული პაციენტების მკურნალობა შეზღუდული იყო^[20] და ჰისტოლოგიურ ტიპსა და მუშაობის სტატუსს ეფუძნებოდა. ამჟამად, III B სტადიის SCC-სთვის მედიანური საერთო გადარჩენა დაახლოებით 18 თვეა. ჩვენმა პაციენტმა ოდნავ უკეთესი საერთო გადარჩენა აჩვენა, თუმცა, ბორდეტელათი ინფექციას, სავარაუდოდ, პროგნოზი არ შეუცვლია^[21].

ჩვენს გაგებაში იმუნურ სისტემასა და სიმსივნეებს შორის ურთიერთქმედებაში არსებულმა მიღწევებმა დაპროგრამებული სიკვდილი-1 (PD-1)/დაპროგრამებული სიკვდილის ლიგანდი-1 (PD-L1) ინჰიბიტორების განვითარება განაპირობა, რომლებიც იმუნური გამშვები პუნქტის გზას უმიზნებს. მონოკლონური ანტისხეული ნივთიერებები პირველი იმუნური გამშვები პუნქტის ინჰიბიტორი იყო, რომელიც აშშ-ს სურსათისა და წამლების ადმინისტრაციის მიერ მოწინავე SCC და NSCLC-ის სამკურნალოდაა დამტკიცებული, პლატინაზე დაფუძნებული ქიმიოთერაპიის დროს ან მისი პროგრესირების შემდეგ. ნივთიერება მაღალი აფინურობით უკავშირდება PD-1 რეცეპტორს, რომელიც სიმსივნის ინფილტრაციულ ლიმფოციტებში ექსპრესირდება. მისი ლიგანდი, PD-L1, კიბოს სხვადასხვა ტიპებში ექსპრესირდება, ხოლო NSCLC და PD-1/PD-L1 შეკავშირება იმუნური პასუხის დათრგუნვას იწვევს. ნივთიერება მოქმედებს როგორც კონკურენტუნარიანი აგენტი და PD-L1 ანტაგონისტი, რაც იმუნური სისტემის სწორად ფუნქციონირებას აძლევს საშუალებას. ეს კარგად ატანადი მკურნალობაა. პნევმონია იმუნური გამშვები პუნქტის ინჰიბიტორების შესაძლო გვერდითი მოვლენაა, ხოლო ნივთიერებათა ასოცირებული პნევმონია მელანომის (დაახლოებით 2%) და თირკმლის კიბოს ან NSCLC-ის (დაახლოებით 5%) მქონე პაციენტებში დაფიქსირდა. თუმცა, ნებისმიერი სიმპტომის არსებობა პრეპარატის შეწყვეტას და სტეროიდული მკურნალობის დაწყებას მოითხოვს. ჩვენი პაციენტის შემთხვევაში, პოსპიტალიზაციის მე-5 დღეს დაწყებულ იქნა მეთილპრედნიზოლონი 20 მგ/დღეში.

B. bronchiseptica მაკროლიდურ ანტიბიოტიკებზე იშვიათად რეაგირებს^[1, 4], თუმცა, ჩვეულებრივ. in vitro ამინოგლიკოზიდების (ამიკაცინი,

გენტამიცინი), ანტიფსევდომონალური პენიცილინების (მეგლოციკლინი, პიპერაცილინი, ტიკარცილინი), ქინოლონების, ტეტრაციკლინის, მესამე თაობის ცეფალოზპორემიისა და ტრიმეტოპრიმ-სულფამეთოქსაზოლის მიმართ მგრძნობიარეა^[22]. ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენს პაციენტში B. bronchiseptica ცეფალოსპორინების მიმართ რეზისტენტული იყო. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ანტიბიოტიკებზე კლინიკური პასუხი ზოგჯერ იმედგაცრუებულია, თუმცა, in vitro მგრძნობელობასა და in vivo ეფექტურობას შორის შეუსაბამობა მკაფიოდ ჯერ კიდევ არ არის გაგებული. პირველი ანტიბიოტიკი, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ, ლევოფლოქსაცინი იყო, ფტორქინოლონების ოჯახის წარმომადგენელი, რომელიც შეძენილი პნევმონიისა და ქრონიკული ბრონქიტის მწვავე გამწვავების მკურნალობის ეფექტურ ვარიანტად განიხილება^[23]. ამის შემდეგ, ჩვენ ამიკაცინი პლუს ცეფტაზიმიდი ვცადეთ, ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპიის სახით, ვინაიდან ამ კომბინაციასაც ფართო სპექტრის ანტიბაქტერიული დაფარვა და სინერგიული ბაქტერიციდული აქტივობა აქვს^[24]. როდესაც ინფექცია არ ალაგდა, ჩვენ ტეიკოპლანინს ვაძლევდით, ვინაიდან იგი გრამ-დადებით ორგანიზმებს ფარავს, თუმცა, შემდეგ, BAL-ის შედეგების საფუძველზე, პიპერაცილინი/ტაზობაქტამზე გადავიყვანეთ. B. bronchiseptica-ს მკურნალობის ხანგრძლივობა საკამათო საკითხია და კარგი რეაქციის მქონე პაციენტებისთვის 2-დან 4 კვირამდე ვარიანტს^[14], ხოლო 2 კვირიდან 6 თვემდე - მორცხვივ სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის. ჩვენს პაციენტში პიპერაცილინი/ტაზობაქტამით თერაპია 2 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში შენარჩუნდა. ჩვენს პაციენტში ინფექციის გადაცემის გზა უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, იგი ცხოველმა გამოიწვია. მას არ აღენიშნებოდა სიცხე, თუმცა, გაწერიდან 3 თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა, კიბოს პროგრესირების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს გამორჩეული რენტგენოგრაფიული ნიშნები, რომლებიც B. Bronchiseptica-ით ფილტვის ინფექციას უკავშირდება, ყველაზე ხშირი გამოვლინება მრავლობითი ლობულური ინფილტრაცია, ინტერსტიციული პნევმონია^[13] და ლობულური პნევმონიაა^[6, 9, 13]. იშვიათად გვხვდება ღრუს დაზიანებები^[13, 25]. ჩვენ მიერ აღწერილი შემთხვევა მრავალი მიზეზის გამოა საყურადღებო. პირველ რიგში, B. bronchiseptica ცეფტაზიმიდის მიმართ რეზისტენტული იყო (არაჩვეულებრივი მოვლენა) და ამიკაცინის მიმართ ცუდი მგრძნობელობა აჩვენა. მეორე - ჩვენი ინფორმაციით, ეს B. bronchiseptica-ით გამოწვეული პნევმონიის პირველი შემთხვევაა ფილტვის კიბოთი დაავადებულ პაციენტში, რომელიც ნივთიერებათა მკურნალობას გადიოდა. ფილტვის ღრუს კიბოს დიაგნოზი 2013 წელს დაისვა, თუმცა, 2015 წლის ივლისისთვის სიმსივნე ზომამი გაიზარდა. ამრიგად, ჩვენ არ ვიცით, B. bronchiseptica ფილტვის კიბოს დიაგნოზის დროს იყო, თუ ღრუს დაზიანებამ პაციენტის ინფექციის მიმართ მგრძნობელობა გაზარდა. დასკვნის სახით, მიუხედავად იმისა,

რომ *B. bronchiseptica* ზოონოზური პათოგენია, მას შეუძლია ადამიანებში, კონკრეტულად კი იმუნოკომპრომეტირებულ ან იმუნოკომპეტენტურ პირებში სერიოზული ინფექცია გამოიწვიოს. როდესაც გამოვლენილია *B. bronchiseptica*, უნდა განხილულ იქნას ნოზოკომიური გადაცემის შესაძლებლობა. ფილტვის კიბო, ბრონქოექტაზია, ემფიზემა, კისტოზური ფიბროზი და ფილტვის სხვა დაავადებები, რომლებიც იწვევენ სტრუქტურულ ცვლილებებს, ასევე შეიძლება *B. bronchiseptica* ინფექციას უკავშირდებოდეს.

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

Monti et al. BMC Infectious Diseases (2017) 17:644
DOI 10.1186/s12879-017-2736-7

მეცნიერებმა დაბლოკეს ცილა, რომელიც კიბოების 75 პროცენტის გავრცელებას უწყობს ხელს

ცილა, სახელად MYC, ჯანმრთელი უჯრედის აქტივობის ნაწილია, მაგრამ როდესაც კიბო ვითარდება, ის მწყობრიდან გამოდის — იშლება მისი ნორმალური, ფრთხილი მაკონტროლებლის როლი და კიბოს გავრცელებაში ეხმარება. მეცნიერებმა სავარაუდოდ იპოვეს გზა, რომ ასე აღარ მოხდეს.

MYC-ის შეკავების პრობლემა ნაწილობრივ ის არის, რომ ის უფრომოდო ცილაა, არ გააჩნია სტრუქტურა, რომლის მიზანში ამოღებაც იქნებოდა შესაძლებელი. ეს კი პრეპარატებს MYC-ის ეფექტიან იდენტიფიცირებას ურთულებს, რათა ის ნორმალურად ქცევის ჩარჩოში დააბრუნონ.

თუმცა, რივერსაიდის კალიფორნიის უნივერსიტეტის (UCR) მკვლევართა ჯგუფმა შექმნა პეპტიდური ნაერთი, რომელსაც შეუძლია MYC-თან დაკავშირება და ურთიერთქმედება, რათა ის კონტროლქვეშ დააბრუნოს.

„MYC ნაკლებად ჰგავს კიბოს უჯრედების საკვებს, ის უფრო სტეროიდს ჰგავს, რომელიც კიბოს სწრაფად ზრდას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ არის MYC ადამიანის კიბოს შემთხვევათა 75-ში დამნაშავე. ნორმალურ მდგომარეობაში, MYC-ის აქტივობა მკაცრად კონტროლირებადია. კიბოს უჯრედებში კი ის ჰიპერაქტიური ხდება და სათანადოდ აღარ რეგულირდება“, — ამბობს რივერსაიდის კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიოქიმიკოსი მინ სუე.

მკვლევარებმა MYC-ის მცირე ოდენობის სტრუქტურათა შესწავლა შეძლეს, რათა შეედგინათ იმ პეპტიდთა ბიბლიოთეკა, რომლებსაც ამ სტრუქტურასთან შეჭიდება უნდა შეეძლოთ. ერთი პეპტიდი, სახელად NT-B2R, განსაკუთრებით დახელოვნებული აღმოჩნდა MYC-ის გამორთვაში.

ტესტში, რომელშიც ადამიანის თავის ტვინის კიბოს უჯრედების კულტურა გამოიყენეს, NT-B2R-მა წარმატებით შებოჭა MYC-ი, შეცვალა მისი მრავალი გენის მიერ უჯრედების რეგულირების გზა და

საბოლოოდ, შეამცირა კიბოს უჯრედების მეტაბოლიზმი და სწრაფი გამრავლება (პროლიფერაცია). ეს ყველაფერი დაახლოებით იმას ჰგავს, ვიღაცას რომ ხელები ზურგს უკან შეუკრა და მან ვერაფრის გაკეთება ვეღარ შეძლოს.

ამ გარღვევის მთავარი ნაწილი იყო ამავე ჯგუფის ზოგიერთი წევრის მიერ ჩატარებული წინა კვლევა, რომელშიც დაადგინეს, რომ პეპტიდების სტრუქტურისა და ფორმის შეცვლის შედეგად, ეს მოლეკულები უკეთესად ურთიერთქმედებენ ისეთ უფრომოდო ცილებთან, როგორიც არის MYC.

„პეპტიდებს შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა ფორმა და პოზიცია. როგორც კი მოხრით და შეაერთებთ, რათა რგოლები წარმოქმნან, სხვა შესაძლო ფორმებს ვეღარ იღებენ, ამიტომ, ამის შემდეგ მათ შემთხვევითობის დაბალი მაჩვენებელი აქვთ, რაც ხელს უწყობს ცილების შებოჭვას“, — განმარტავს სუემისი განცხადებით, მათ ამ პეპტიდების შებოჭვის უნარი წინა ვერსიებთან შედარებით ორჯერ გააუმჯობესეს, რამაც ის პრეპარატების შექმნის მიზანთან უფრო ახლოს მიიყვანა.

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ჩასატარებელი, მაგრამ ადრეული შედეგები უკვე იმედისმომცემია. ზუსტად ახლა, პეპტიდების მიწოდება ცხიმოვანი სფეროების, იგივე ლიპიდური ნაწილაკების მეშვეობით ხდება, რომლებიც ნამდვილად არაა ხელსაყრელი პრეპარატების მისაწოდებლად. შესაბამისად, საჭიროა ამის შეცვლა.

ასევე საჭიროა მკაცრი ტესტირების ჩატარება ადამიანებზე. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ვიპოვეთ მეთოდი, თუ როგორ შევანეროთ ერთ-ერთი ის გზა, რომლითაც კიბო ჯანსაღ ბიოლოგიურ პროცესებს ეუფლება და სათავისოდ იყენებს გადასარჩენად.

„არსებითად, MYC წარმოადგენს ქაოსს, რადგან არ აქვს სტრუქტურა. ის და მისი პირდაპირი გავლენა მრავალი ტიპის კიბოზე, ნამდვილი წმინდა გრაალია კიბოს წამლის შესაქმნელად. წარმოუდგენლად აღელვებული ვართ, რომ ის უკვე ჩვენს ხელთაა“, — ამბობს სუე.

COVID-19 და კიბო: ძირითადი მექანიზმებიდან ნანოტექნოლოგიის გამოყენებით ვაქცინის შემუშავებამდე

ჰიუნ ჰან,

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტი, გაერთიანებული სამეფო;

ჩინეკუ ნვაგუ,

ფარმაციის დეპარტამენტი, ნიგერიის ნსუკას უნივერსიტეტი, ნიგერია;

ობუმნემე ანიმ,

შინაგანი მედიცინის დეპარტამენტი, ნიგერიის იტუკუ-ოზალას უნივერსიტეტის სასწავლო საავადმყოფო, ენუგუ, ნიგერია;

ჩინედუ ეკვერემადუ,

ფარმაციისა და ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი, ენუგუს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიგერია;

სან კიმ,

ბასილდონისა და თუროკის საუნივერსიტეტო საავადმყოფო, გაერთიანებული სამეფო;

Hyun Jee Han, Chinekwu Nwagwu, Obumneze Anyim, Chinedu Ekweremadu, San Kim

აბსტრაქტი

კორონავირუსული დაავადება 2019 (COVID-19), რომელიც მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომით კორონავირუსი 2-ითაა (SARS-CoV-2) გამოწვეული, გლობალური პანდემიაა, რომელმაც უპრეცედენტო შედეგები გამოიწვია და მძიმედ აისახა ჩვენს საზოგადოებაზე, ხანგრძლივი ინკუბაციური დროის, არაპროგნოზირებად და მაღალი გავრცელებისა და ეფექტური ვაქცინების ნაკლებობის გამო. ერთ-ერთი საინტერესო მოსაზრების თანახმად, არსებობს კავშირი COVID-19-სა და კიბოს შორის. ვირუსის ზემოქმედებისას, როგორც ჩანს, ონკოლოგიური პაციენტები გამწვავებულ პირობებს და უფრო მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებელს ავლენენ. აქედან გამომდინარე, ვაქცინები კიბოს მქონე პაციენტებში, რომლებსაც ახალი ვირუსული შტამები ემუქრებათ, პერსპექტიული გამოსავალია პრობლემის შესამცირებლად. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს გასათვალისწინებელი შეზღუდვები, მათ შორის, იმუნოდეფიციტის მქონე პირებში COVID-ის ვაქცინების ეფექტურობა, ვაქცინასა და კიბოს შორის შესაძლო ურთიერთქმედება და პერსონალიზებული მედიცინა. არა მხოლოდ პანდემიის აღმოსაფხვრელად, არამედ იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც კიბოთი არიან დაავადებულნი, საჭიროა უფრო ეფექტური, წარმატებული ვაქცინის პლატფორმა, ნანოტექნოლოგიის განხორციელების გზით, რომელიც, ასევე, მასშტაბურ წარმოებას და მთელ მსოფლიოში გავრცელებას მისცემს საშუალებას, მის უფრო სწრაფ და ზუსტ მიწოდებასთან ერთად. ამ მიმოხილვაში ჩვენ ვაჯამებთ კლინიკური პერსპექტივებით COVID-19-ის მიმდინარე გაგებას, ხაზს ვუსვამთ კავშირს COVID-19-სა და კიბოს შორის, რასაც მოჰყვება ვაქცინის შემუშავება ამ ასოციაციისთვის, ნანოტექნოლოგიის გამოყენებით. ჩვენ აღმინისტრირების სხვადასხვა მეთოდს გთავაზობთ COVID-19 ვაქცინის ფორმულირების ვარიანტებისთვის. ეს კვლევა ხელს შეუწყობს COVID-19-ის პრევენციისა და მკურნალობისკენ გზის გახსნას, განსაკუთრებით, იმუნოდეფიციტის მქონე პირებისთვის.

შესავალი

კორონავირუსული დაავადება 2019 (COVID-19), რომელიც პირველად 2019 წლის დეკემბერში ჩინეთში, ვუჰანში გამოვლინდა, ინფექციური დაავადებაა, რომელიც მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომით, კორონავირუსი 2-ითაა (SARS-CoV-2) გამოწვეულია. 2020 წლის 8 სექტემბერს, დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობამ 27.2 მილიონს მიაღწია, 890 000-ზე მეტი გარდაცვალება კი 187

ქვეყანაში და ტერიტორიაზე დაფიქსირდა ^[1].

COVID-19-ის ძირითადი სიმპტომებია ცხელება, მიაღვია და დაღლილობა, ზოგჯერ თავის ტკივილი, პემოტიზი და ნახველის გამომუშავება ^[2]. მიუხედავად იმისა, რომ ინფიცირებულთა 5%-ს კრიტიკული მდგომარეობა, ხოლო 14%-ს მძიმე მდგომარეობა აღენიშნება, ინფიცირებულთა დაახლოებით 81%-ს მხოლოდ მსუბუქი სიმპტომები უვლინდება,

როგორცაა მსუბუქი პნევმონია ან პნევმონიის საერთოდ არქონა^[3]. პაციენტები, რომლებსაც ICU მოვლა ესაჭიროებათ, ძირითადად ხანდაზმულები არიან ან თანმხლები დაავადებები აქვთ, მათ შორის ანორექსია, ფარინგეალური ტკივილი, დიაბეტი და ჰიპერტენზია^[4].

არსებობს ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობები, როგორებიცაა ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადება და შაქრიანი დიაბეტი, რამაც შეიძლება COVID-19-ის მიმართ მგრძნობელობა გაზარდოს^[5,6]. მნიშვნელოვანია აქტიური კიბოს, როგორც ერთ-ერთი ფაქტორის განხილვა, რომელსაც შეუძლია იმუნოკომპრომეტირებული მდგომარეობის გამო მგრძნობელობის გაზრდა, რომელიც მას შეუძლია გამოიწვიოს. სწორედ აქ აჩენს პრობლემას ვირუსით გამოწვეული დასუსტებული იმუნური სისტემა, იმის გათვალისწინებით, რომ კიბოს მქონე პაციენტებს უკვე ისედაც ძლიერ დასუსტებული და შეცვლილი იმუნური სისტემა აქვთ, კიბოს სპეციფიკური თერაპიის, პირველადი დაავადების წარმოშობის ლოკალიზაციისა და დაავადების გავრცელების გამო, რაც მათი გაზრდილი რისკის მდგომარეობას იწვევს. განვითარებად პანდემიასთან ერთად, ონკოლოგიურ პაციენტებში ინციდენტობამ მძიმე დაავადების შემთხვევების უფრო მაღალი რაოდენობა აჩვენა. ცოტა ხნის წინ, Liang, et al.-მა დაფიქსირეს, რომ COVID-19-ით დაავადებული პაციენტები მძიმე მოვლენის უფრო მაღალ რისკსა და სიხშირეს აჩვენებენ, კიბოს არმქონე პაციენტებთან შედარებით^[7]. ჩინეთის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა განაცხადა, რომ COVID-19-ით გარდაცვლილი პაციენტების 5.6% კიბოთი იყო დაავადებული^[3].

იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებისთვის ძნელია რესპირატორული ვირუსული ინფექციებისგან უსაფრთხოდ დარჩენა, რაც მათ უფრო COVID-19-ის მიმართ დაუცველს ხდის. მაგალითად, ვირუსულმა პნევმონიამ იმუნოკომპრომეტირებულ პაციენტებში, მათ შორის, კიბოს მქონე პაციენტებში სიკვდილიანობის 19%-ს შეუწყო ხელი^[3]. Kim, et al. აჩვენებს, რომ კოროვირუსული პნევმონია კიბოს მქონე პაციენტების სიკვდილიანობის 24%-ს იწვევს, ვირუსის ხშირად გახანგრძლივებული გამოყოფით, კიბოს არმქონე პაციენტების 3%-თან შედარებით^[8]. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი კოროვირუსები ჟანგბადის მოთხოვნილების მომატებულ დონეს და სიკვდილიანობას უკავშირდება პემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში^[9]. ლაბორატორიულმა დასკვნებმა აჩვენა, რომ COVID-19-ის მქონე პოსპიტალიზირებულ პაციენტებს აღენიშნებათ ლიმფოპენია, ხოლო არა-გადარჩენილებს დროთა განმავლობაში უფრო მძიმე ლიმფოპენია უვითარდებათ^[4], რაც რესპირატორული ვირუსული ინფექციების მქონე პემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში დამოუკიდებლად იწვევს პნევმონიის პროგრესირებას^[10,11]. სიმსივნეებმა, როგორცაა ლიმფომა და ლეიკემია, რომლებიც თავს ესხმიან და ცვლიან ძვლის ტვინს, შეიძლება თრომბოციტოპენია

და, შესაბამისად, იმუნოკომპრომეტირებული მდგომარეობა გამოიწვიოს, რაც იწვევს დილემას, როდესაც თრომბოციტები იმუნურ სისტემაში აღარ ითამაშებენ სასიცოცხლო როლს და აღარ ექნებათ ვირუსოციდული ზემოქმედება ზოგიერთ ვირუსზე, მათ შორის, კორონავირუსზე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სარწმუნოა, რომ კიბოს შეუძლია პაციენტები COVID-19 ვირუსული ინფექციების მიმართ უფრო მგრძნობიარე გახადოს, ვინაიდან კიბოს მქონე პაციენტებს ჯანმრთელობის იმუნოკომპრომეტირებული მდგომარეობა აქვთ. ამიტომ, იმუნოდეფიციტის მქონე პირებისთვის საჭირო იქნება უფრო ეფექტური ვაქცინების შემუშავება, რომლებიც შეიძლება ალტერნატიულ იმუნურ სისტემას წარმოადგენდეს. ამ ნაშრომში ჩვენ გვსურს გამოვიკვლიოთ გზები, რომლითაც COVID-ის ვაქცინები უფრო ეფექტურად მუშაობენ, როდესაც პაციენტებს სუსტი იმუნური სისტემა აქვთ აქტიური კიბოს გამო, ნაწილობრივად გამოყენებით, რაც შეიძლება იყოს პლატფორმა, რომელიც ვაქცინის თანამედროვე დიზაინის დიდ განხორციელებადობას უზრუნველყოფს. ნაწილობრივად არაჩვეულებრივი სიჩქარით მოახდინა ახალი კანდიდატი ვაქცინების გადაყვანა კლინიკურ ტესტირებაზე. ინაქტივირებულ ვაქცინასთან ერთად, ნაწილობრივად აქტიური ვაქცინების წყალობით, ზოგიერთმა ვაქცინამ კლინიკურ კვლევებში უკვე II და III ფაზას მიაღწია, ვირუსული ვექტორული ვაქცინებისა და mRNA ვაქცინების ჩათვლით, რომლებიც ლიპიდური ნაწილობრივად შექმნილი^[12].

2. SARS-COV-2-ის ბიოლოგია

2.1. გენომები, გენი და ცილები

კორონავირუსები არასეგმენტირებული ერთჯაჭვიანი რნმ დადებითი გრძნობის მქონე ვირუსებია, რომლებიც Coronavirinae ოჯახის Coronavirinae ქვეოჯახს მიეკუთვნებიან^[13]. Coronavirinae ქვეოჯახი ოთხ ძირითად გვარად იყოფა, კერძოდ: ალფაკორონავირუსი, ბეტაკორონავირუსი, გამა-კორონავირუსი და დელტაკორონავირუსი^[14]. ახალი ვირუსი SARS-CoV-2 (მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი), რომელიც ამჟამინდელ COVID-19 პანდემიამა პასუხისმგებელი, მიეკუთვნება კატეგორიას, რომელსაც მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომთან დაკავშირებული კორონავირუსი ეწოდება. კორონავირუსის კვლევისთვის ჯგუფმა (CRG) SARS-CoV-2 იმიტომ მიანიჭა, რომ იგი SARS ვირუსს (SARS-CoV) უკავშირდება, რომელმაც 2003 წელს აზიის ქვეყნები მოიცვა. ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის (MERS-CoV) მსგავსად, იგი ბეტაკორონავირუსების გვარს მიეკუთვნება.

კორონავირუსები გვირგვინისებრი ნაწილაკებია, მათ ზედაპირებზე არსებული სპაიკებით, რომლებიც ერთჯაჭვიანი, დადებითი გრძნობის მქონე რნმ გენომებითაა (ssRNA) მოცული. კოროვირუსების სპაიკების ცილები ორ დომენად: S1 და S2 იყოფა.

S1 დომენი რეცეპტორების შეკავშირებაზე პასუხისმგებელი, ხოლო S2 დომენი - უჯრედის მემბრანის შერწყმაზე ^[15]. კორონავირუსის გენომის ზომა 26 კბ-დან 32 კბ-მდე მერყეობს, რაც მას რნმ-ის ვირუსის სახით ამჟამად ცნობილ ყველაზე დიდ ზომის გენომად აქცევს ^[16], სხვადასხვა რაოდენობის ღია წაკითხვის ჩარჩოებით (ORFs) ^[17]. ვარიაციის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ცილის გენში არსებული სპაიკი (S), ხოლო მეორე - დამხმარე გენის ღია კითხვის ჩარჩოშია ORF8 განლაგებული ^[18]. მას შემდეგ, რაც 2019 წლის ბოლოს პანდემია დაიწყო, SARS-CoV-2 გენომში შეძენილი მუტაციები შეინიშნება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთელს მსოფლიოში უკვე ასობით სხვადასხვა ვირუსის შტამია გავრცელებული. ნაჩვენებია, რომ SARS-CoV-2 გენომს 14 ORF აქვს, რომლებიც ახდენენ 27 ცილის კოდირებას ^[19]. მას აქვს ზედაპირული გლიკოპროტეინი, რომელიც ორგანიზმს მასპინძელი უჯრედის რეცეპტორებთან მიბმაში ეხმარება და მონაწილეობს ორგანიზმის უნარში, ადაპტირება მოახდინოს გარე სტიმულთან და ასევე, გადაცემის შესაძლებლობებში ^[20]. კორონავირუსების სპაიკების ცილები ორ დომენად იყოფა: S1 და S2. S1 დომენი პასუხისმგებელია რეცეპტორების შეკავშირებაზე, ხოლო S2 დომენი პასუხისმგებელია უჯრედის მემბრანის შერწყმაზე ^[15]. გარდა ამისა, არსებობს რვა დამხმარე ცილა, ოთხი ძირითადი სტრუქტურული ცილა, კერძოდ, ზედაპირული გლიკოპროტეინი (S), მცირე კონვერტის ცილა (E), მატრიქსის ცილა (M) და ნუკლეოკაფსიდური ცილა (N). ეს სტრუქტურული ცილები SARS-CoV-2 გენომის 3'-ბოლოშია განლაგებული ^[19].

ვინაიდან ორგანიზმი სწრაფად ვრცელდება და პანდემიურ ხასიათს აღწევს, მნიშვნელოვანი გახდა იმის გარკვევა, თუ როგორ განვითარდა ორგანიზმი და როგორ ადაპტირდა სტრუქტურულად, როდესაც იგი სხვადასხვა მასპინძლებს და სხვადასხვა გარემოს შეხვდა. ცნობილია, რომ რნმ ვირუსებს მუტაციისა და ევოლუციის ძალიან მაღალი მაჩვენებლები აქვთ. დადასტურებულია, რომ ეს მაჩვენებელი მათი მასპინძლებისას მილიონჯერ აღემატება. მუტაციის მაღალი მაჩვენებელი ვირულენტობის მოდულაციასა და ევოლუციის უნარს უკავშირდება, რაც ვირუსული ადაპტაციისთვის მნიშვნელოვანია ^[21]. ნაჩვენებია, რომ ერთ ეპიდემიაში გავრცელებისას რნმ ვირუსების გენომები გენეტიკურ განსხვავებებს აგროვებენ ^[22]. ვირუსის გენომის შიგნით დელეცია ბუნებრივი პროცესია, რომელიც თითქმის ყოველთვის ვირუსის შესუსტებას უკავშირდება. თუმცა, მას შეუძლია უფრო მძიმე ინფექცია გამოიწვიოს ^[23-25].

ახალი SARS-CoV-2-ისთვის, რამდენიმე მკვლევარი ვირუსის გენომში დელეციას აფიქსირებს ^[24,26-29]. თუმცა, სამი შტამის ფილოგენომურმა ანალიზმა, რომლებიც, შესაბამისად, ჩინეთში, აშშ-სა და ევროპაში, ეპიდემიების აფეთქებებიდანაა იზოლირებული, SARS-CoV-2-ში ადგილობრივი ან რეგიონული ადაპტაციის საკმარისი მტკიცებულება არ აჩვენა. თუმცა, სხვა მოხსენებებში ვარაუდობენ ნუკლეოტიდთან, ამინომჟავასთან და სტრუქტურულ ჰეტეროგენურობასთან ადაპტაციის შესაძლებლობას

ვირუსულ ცილებში, განსაკუთრებით S ცილაში ^[30]. ერთმა მკვლევარმა პაციენტებს შორის ინფექციის შემდეგ მასპინძელშიდა ვირუსული ევოლუციის შესახებ მოახსენა, რაც, იმუნური პასუხის გამო, მის ვირულენტობას, გადაცემას და/ან ევოლუციას უკავშირდებოდა ^[31]. Islam et al.-ის კვლევაში მოხსენიებულ იქნა ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის გასწორება მუტაციებთან SARS-CoV-2 შტამების გენომის მთელ კომპლექტში ^[32].

2.2. პათოლოგია

SARS-CoV-2-ს უჯრედში შესვლა ენდოსომების მეშვეობით ან პლაზმურ მემბრანასთან შერწყმით შეუძლია, სპაიკის პროტეინების, ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის 2-ის (ACE2), როგორც შესვლის რეცეპტორს შუამავლობით ^[33]. როდესაც ვირიონები ენდოსომებში შედის, კათეფისინი L ცილას ააქტიურებს. სპაიკის ცილა ასევე შეიძლება ACE2 რეცეპტორთან ახლოსმდებარე უჯრედული სერინის პროტეაზა TMPRSS2-ით გააქტიურდეს ^[33]. ეს გააქტიურება პლაზმურ მემბრანასთან ვირუსული მემბრანის შერწყმას იწვევს ^[33]. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გზა მასპინძელი უჯრედის ანტივირუსულ იმუნიტეტს აღძრავს და, შესაბამისად, ვირუსის რეპლიკაციისთვის უფრო ეფექტურია ^[34]. ამას ვირუსის გაშიშვლება და გამრავლება მოჰყვება. რნმ-დამოკიდებული რნმ პოლიმერაზას გენი (RdRp) სტრუქტურული ცილის რნმ-ის რეპლიკაციამდე პასუხისმგებელი. სტრუქტურული ცილები ტრანსლირდება რიბოსომების მეშვეობით, რომლებიც ენდოპლაზმურ რეტიკულუმს (ER) უკავშირდება და მის ზედაპირზეა წარმოდგენილი, როგორც ვირიონის აწყობის პრეპარაცია. ნუკლეოკაპსიდები (N) ციტოპლაზმაში რჩება და გენომური რნმ-დან იწყობა. ისინი ვირიონის წინამორბედს ერწყმიან, რომელიც შემდეგ ER-დან, გოლჯის აპარატის მეშვეობით, უჯრედის ზედაპირზე ტრანსპორტირდება, პატარა ვეზიკულების მეშვეობით ^[35]. შემდეგ, ვირიონები ინფიცირებული უჯრედიდან ეგზოციტოზის გზით გამოიყოფა.

SARS-CoV-2 COVID-19-ს იწვევს, რომელსაც ცვალებადი გამოვლინებები აქვს, მაგრამ შეიძლება პოტენციურად ფატალური იყოს. გადაცემა ხდება ადამიანიდან ადამიანზე, წვეთების საშუალებით. ასევე შემოთავაზებულია გადაცემის სხვა რეჟიმები, როგორიცაა აეროზოლები და სახისა და პირის გზები, მაგრამ ეს გზები ბოლომდე დასაბუთებული არ არის. ჩვეულებრივ, სიმპტომები 2-14 დღიანი ინკუბაციური პერიოდის შემდეგ ვითარდება ^[36]. კორონავირუსი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის რესპირატორულ სისტემას უმიზნებს, მაგრამ ასევე შეიძლება სისტემური გამოვლინებები ჰქონდეს. COVID-19-ში ფილტვის მთლიანმა გამოკვლევამ ფილტვის წონის მომატების, დიფუზურად გადატვირთული და შეშუპებული პარენქიმის, ასევე, ჰემორაგიული ცვლილებების შესახებ მოგვახსენა ^[37,38]. გულის უხეში ჩართულობა ზომიერ პერიკარდიულ შეშუპებას და ზოგიერთ სერო-სანგინოზურ პერიკარდიულ გამონაყარს ^[39], ასევე, მიოკარდიუმის მსუბუქ შეშუპებას და ინტერსტიციულ ფიბროზს მოიცავს ^[40].

თირკმელების პათოლოგიამ, მაკროსკოპული გამოკვლევისას, თირკმლის ზედაპირის ჰიპერტონული ცვლილებები, მარცვლოვანი და ან სისხლძარღვოვანი ნაწიბურები აჩვენა, თირკმლის შოკის ნიშნებით [38,41,42]. ასევე, არსებობდა მწვავე მილაკოვანი დაზიანებისა და კეთილთვისებიანი გლომერულოსკლეროზის მიკროსკოპული მტკიცებულება [38,43,44].

რამდენიმე პაციენტში ტვინის ჩათრევაც დაფიქსირდა. მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ჰიდროცეფალია, სუბარაქნოიდული სისხლდენა და მწვავე იშემიური ენცეფალოპათია [41].

სხვა შემთხვევის მოხსენებებში დოკუმენტირებულია ლიმფოპენია ნეკროზით, ატროფიით, შეგუბებით, საჭმლის მომწელებელ სისტემაში სისხლჩაქცევებით და ინფარქტით [16]. ამასთან, ჰეპატობილიარულ სისტემაში ძირითადი დასკვნები მსუბუქი სტეატოზი, ღვიძლის ლაქოვანი ნეკროზი, კუბფერის უჯრედების ჰიპერპლაზია და 3 ზონის მსუბუქი სინუსოიდური დილატაცია იყო [24,38,40,45].

2.3. SARS-CoV-2-ზე ვაქცინის მოქმედების მექანიზმი

არიან იმისათვის, რომ იცოდნენ ინსტრუქციები და მონაწილეობა მიიღონ აეროზოლის მიღებაში ^[144]. გარდა ამისა, ფილტვის ფორმულირებებს პროდუქტის ტრანსპორტირებისა და დამუშავების დროს უკეთესი სტაბილურობა აქვთ, აგრეთვე, თავიდან აცილებს ტკივილს ინექციის ადგილზე და ნემსებიდან კონტამინაციის რისკს ^[146], რაც მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომლებიც განხილული უნდა იქნას და ყურადღებით იმართოს, განსაკუთრებით იმუნოკომპრომეტირებული პირებისთვის, რომლებიც მგრძნობიარენი არიან ვაქცინის ნემსების მცირედ დაბინძურებაზეც კი, მათი ცუდი ბუნებრივი იმუნური პასუხის სისტემის ან ჰიპერრეაქციის გამო. ფილტვის ვაქცინის განვითარების დაჩქარების ნაკლი საინჰალაციო ვაქცინის შემდეგ პასუხის წარმოქმნის ძირითადი მექანიზმია, რომელიც კარგად არ არის განმარტებული ^[145]. უსაფრთხოების სხვა საკითხებს მიეკუთვნება აეროზოლების დამხმარე ნივთიერებები, რომლებმაც შეიძლება ანთება გამოიწვიოს და ფილტვის იმუნიზაციამ შეიძლება რესპირატორული მდგომარეობები გააუარესოს, როგორებიცაა ალერგიული ასთმა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული აშლილობა ^[147], რამაც შეიძლება გააუარესოს მდგომარეობა, როდესაც მათ შეცვლილი იმუნური სისტემა აქვთ.

როდესაც COVID 19-ის პარენტერალური ვაქცინა მარეგულირებელ დამტკიცებას მიღებს, გამოყენების გზის ცვლილება ახალ კლინიკურ კვლევებს საჭიროებს. ეს კვლევები ძალიან ძვირია, ამიტომ მთავრობები და ფილანტროპული ინვესტიციები ყველაზე ეფექტური საშუალებაა COVID- 19-ის საინჰალაციო ვაქცინების განვითარებისა და ცდების დასაფინანსებლად. შესაძლებელია COVID- 19-ის საინჰალაციო ვაქცინის დანერგვის ფარმაკოკონომიკური ღირებულების სარგებლობის მოდელირების შესწავლა, რათა საერთო დანახარჯების დაზოგვა და დაავადების მართვაში სარგებლობა დადგინდეს.

6. დასკვნითი შენიშვნები და სამომავლო პერსპექტივები

ის ფაქტი, რომ ნაწილზე დაფუძნებული ვაქცინის ფორმულირებებს შეუძლიათ უარყოფითი ეფექტები შეამცირონ და ვაქცინის ამ კანდიდატების ეფექტურობა გააუმჯობესონ, ნაწილობრივ უნიკალურ უნარზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანი იმუნომოდულატორული აქტივობები წარმოქმნან. ეს შეიძლება ძალიან სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს იმ პირებში, რომლებსაც შეცვლილი იმუნური პასუხი აქვთ, როგორც არის კიბოს პაციენტების შემთხვევაშია და, შეიძლება ვაქცინების შემუშავებაში სასიცოცხლო ინსტრუმენტს წარმოადგენდეს, რომელიც შეიძლება არა მხოლოდ უსაფრთხო, არამედ ძალიან ეფექტური იყოს კიბოს მქონე პაციენტებსა და სხვა იმუნოკომპრომეტირებულ პირებში.

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

International Immunopharmacology 90 (2021) 107247

მეცნიერები დააკვირდნენ, როგორ იცვლის ბაქტერია ფორმას ანტიბიოტიკებისგან თავის დასაღწევად

თქვენ რომ ბაქტერია იყო და ანტიბიოტიკებით საცხე სამყაროში გადარჩენას ცდილობდით, აუცილებლად დაგჭირდებოდათ გარკვეული ხრიკები. ახალი, მომხიბლავი გენეტიკური მასალის მისაღებად შეგიძლიათ სხვა ბაქტერიას მიეტმანოთ, ანდაც გენეტიკური მუტაცია დაიწყოთ თაობების განმავლობაში იმის იმედით, რომ თქვენ წინააღმდეგ მომართული შხამის შესაკავებლად რაიმე საიდუმლო რეცეპტს იპოვით.

ამ სტრატეგიების შესახებ მეცნიერებმა უკვე დიდი ხანია იციან, მაგრამ ახლახან, მკვლევართა ჯგუფი დააკვირდა შემაშფოთებლად მარტივ ახალ გზას, რომლითაც ბაქტერიები ადამიანის სხეულში ანტიბიოტიკებს არიდებენ თავს — ამას ისინი ფორმის ცვლილებით ახერხებენ.

„აღმოვაჩინეთ, რომ *Caulobacter crescentus*-ის უჯრედებს შეუძლია აღადგინოს სტიმულამდელი ზრდის მაჩვენებელი და განიცადოს უჯრედის ფორმის დრამატული ცვლილებები. ანტიბიოტიკების მოცილებისთანავე, უჯრედები თავდაპირველ ფორმას აღიდგენენ მრავალი თაობის განმავლობაში“, — წერს მკვლევართა ჯგუფი პუბლიკაციაში.

2019 წელს რაღაც მსგავსს მიაგნო მკვლევართა სხვა ჯგუფმაც — ბაქტერიები ფორმას იცვლიდნენ (უფრო იბერებოდნენ), რათა ადამიანის სხეულში ანტიბიოტიკებისგან დაეღწიათ თავი.

ამ შემთხვევაში, ბაქტერიები მთლიან უჯრედულ კედლებს იცავდნენ, რათა თავი აეცილებინათ პრეპარატებისთვის. თუმცა, ახალი კვლევისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ უჯრედის კედელი ხელუხლებელი რჩებოდა, მაგრამ იმდენად დრამატულად იჭიმებოდა, რომ C-ს ფორმას იღებდა.

დეტალების გასარკვევად, კარგენი-მელონის უნივერსიტეტის, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა აიღო ბაქტერია *C. crescentus*-ი, რომელიც ძირითადად მტკნარწყლოვან ტბებსა და ნაკადულებში გვხვდება; ამის შემდეგ, მკვლევარებმა მას დაუმატეს მცირე ოდენობით ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი ქლორამფენიკოლი და შემდეგ ბაქტერიის ზრდასა და გაყოფას დააკვირდნენ.

ანტიბიოტიკის დაბალი მოქმედებიდან დაახლოებით 10 თაობის შემდეგ, *C. crescentus*-მა ფიზიკური ცვლილება დაიწყო — გაფართოვდა და C-ს ფორმით მოიღვნა. ეს კი საკმარისი იყო ბაქტერიული ზრდის მაჩვენებლის შესაცვლელად, რათა ის თითქმის ქლორამფენიკოლის მოქმედებამდე ღონეს დაბრუნებოდა.

ვიტამინი D და ვიტამინი D-შემაკავშირებელი ცილა ჯანმრთელობასა და დაავადებაში

შარლოტ დელრუ,

ნეფროლოგიის დეპარტამენტი, გენტის საუნივერსიტეტო საავადმყოფო, გენტი, ბელგია;

მარჯინ მ. სპიკაერტი,

კვლევითი ფონდი - ფლანდერის (FWO) აღმასრულებელი მენეჯერი, ბრიუსელი, ბელგია;

Charlotte Delrue, Marijn M. Speeckaert

აბსტრაქტი

ვიტამინი D ცხიმში ხსნადი სეკოსტეროიდია, რომელიც ორი ფორმით არსებობს: ვიტამინი D2 და ვიტამინი D3 [1]. მაშინ, როდესაც მცენარეები და სოკოები D2 ვიტამინს ერგოსტეროლისგან გამოიმუშავენ [2], ადამიანის კანი ვიტამინ D3-ს 7-დეჰიდროქოლესტერინიდან (7-DHC), მზის UVB გამოსხივების ზემოქმედებისას წარმოქმნის. ულტრაიისფერი ფოტონები ფოტოქიმიურ რეაქციას იწვევენ, რომელიც 7-DHC-ს პრევიტამინ D3-ად გარდაქმნის, რომელიც შემდეგ, თერმული იზომერიზაციის სერიის მეშვეობით, ვიტამინი D3 ხდება [4]. ვიტამინი D3 ღვიძლში ტრანსპორტირდება და CYP2R1-ით 25-ჰიდროქსივიტამინ D3-ად გარდაიქმნება [25(OH)D3], რომელიც ვიტამინი D3-ის ძირითადი მოცირკულირე ფორმაა [5,6]. საბოლოოდ, 25(OH)D3, CYP27B1-ის მეშვეობით, მის აქტიურ ფორმად, 1,25-დიჰიდროქსივიტამინ D3-ად [1,25(OH)2D3], თირკმელებში გარდაიქმნება [7]. 1,25(OH)2D3-ის ძირითადი ფუნქცია კალციუმის ნორმალური დონის შენარჩუნება და ძვლის განვითარებაა, ფოსფორ-კალციუმის მეტაბოლიზმის რეგულირების გზით. გარდა ამისა, იმის გამო, რომ D ვიტამინის რეცეპტორები (VDRs) მრავალ ქსოვილში აღმოაჩინეს (პროსტატის ჯირკვალი, ტვინი, მკერდი, პანკრეასი, მსხვილი ნაწლავი და იმუნური უჯრედები), D ვიტამინის ასევე შეუძლია არაჩონჩხის მოქმედება უზრუნველყოს. 1,25(OH)2D3-ს შეუძლია სხვადასხვა უჯრედულ საზოგადოებაში იმუნურ ფუნქციასა და უჯრედების პროლიფერაციისა და დიფერენციაციის რეგულირებაში ითამაშოს როლი (ლიმფოციტები, ენდოთელიური უჯრედები, ოსტეობლასტები და კერატინოციტები). D ვიტამინის შეუძლია კარდიომეტაბოლური შედეგების რისკი შეცვალოს, მათ შორის, ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და შაქრიანი დიაბეტი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ბიოლოგიურ პროცესში D ვიტამინის მარეგულირებელი როლი კარგად დადასტურებულია, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება D ვიტამინის დანამატების თერაპიული გამოყენების მხარდასაჭერად, იმუნოანთებითი, ინფექციური ან ჰიპერპროლიფერაციული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. 1,25(OH)2D3 მისი ფუნქციების უმეტესობას ბირთვული VDR-ის მეშვეობით ახორციელებს, რომელიც რეგულირებს X რეცეპტორთან (RXR) ჰეტეროდიმერს ქმნის. თავის მხრივ, VDR/RXR სამიზნე გენებში D ვიტამინის საპასუხო ელემენტებს (VDRE) უკავშირდება და გენის ტრანსკრიფციას არეგულირებს. VDR-ის გზა სხვა უჯრედშიდა სასიგნალო გზებთან ურთიერთქმედებს, რათა მისი ბიოლოგიური ეფექტი მოახდინოს (სურათი 1). ზოგიერთ შემთხვევაში, 1,25(OH)2D3 გავლენას ახდენს გენის ექსპრესიასა და ცილის სინთეზზე ზემოქმედების გარეშე [8].

შესავალი

ვიტამინი D და მისი მეტაბოლიტები, ძირითადად, წარმოების ადგილიდან სამიზნე ქსოვილებამდე ტრანსპორტირდება. ამ ტრანსპორტზე, ძირითადად, D ვიტამინის დამაკავშირებელი ცილა (DBP) ან ჯგუფის სპეციფიკური კომპონენტია (GC-გლობულინი) პასუხისმგებელი, რომელიც მოცირკულირე 25(OH)D3-ისა და 1,25(OH)2D3-ის 85%-ს აკავშირებს. მას მაღალი დამაკავშირებელი კავშირი აქვს D ვიტამინისა და მისი მეტაბოლიტების მიმართ, რაც სისხლში D ვიტამინის ადექვატური დონის შენარჩუნებას უწყობს ხელს. მეორე მხრივ, ალბუმინს D ვიტამინის მიმართ დაბალი შეკავშირება აქვს, თუმცა ასევე უწყობს ხელს D ვიტამინის ტრანსპორტირებას, განსაკუთრებით, დაბალი DBP-ის დონეებისას. D ვიტამინის შედარებითმა პროპორციამ, რომელიც DBP-სა

და ალბუმინს უკავშირდება, შეიძლება გავლენა იქონიოს D ვიტამინის ბიოშეღწევადობაზე, DBP-თან დაკავშირებული D ვიტამინით, რომელიც უფრო ბიოშეღწევადია, ვიდრე ალბუმინთან დაკავშირებული. ამ ორი მატარებლის როლის გაგება D ვიტამინის ტრანსპორტირებასა და რეგულირებაში გადამწყვეტია D ვიტამინის მეტაბოლიზმის უკეთ გასაგებად და D ვიტამინის დეფიციტის და მასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობის ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის. სტეროლების დამაკავშირებელი უნარის გარდა, DBP-ს ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია, D ვიტამინის შებოჭვის გარეშე, რაც, სავარაუდოდ, ხელს უწყობს მის როლს დაავადების პრევენციასა და მკურნალობაში. დადგინდა, რომ DBP არეგულირებს იმუნურ


ფუნქციას და სისხლის მიმოქცევიდან ტოქსინებისა და პათოგენების გამოდევნაში მონაწილეობს. DBP ასევე კალციუმის მეტაბოლიზმის რეგულირებაშია ჩართული, რომელიც ჯანსაღი ძვლების შესანარჩუნებლად გადამწყვეტია და შეიძლება კიბოს სანინალმდეგო თვისებები ჰქონდეს, ვიტამინ-D-შემაკავშირებელი პროტეინის მაკროფაგ-გამააქტიურებელი ფაქტორის სახით (DBP-MAF) (სურათი 2).^[9]

სანინალმდეგო თვისებები გააჩნია, D ვიტამინის შებოჭვის გარეშე, რაც, სავარაუდოდ, ხელს უწყობს მის როლს დაავადების პრევენციასა და მკურნალობაში. დადგინდა, რომ DBP არეგულირებს იმუნურ ფუნქციას და სისხლის მიმოქცევიდან ტოქსინებისა და პათოგენების გამოდევნაში მონაწილეობს. DBP ასევე კალციუმის მეტაბოლიზმის რეგულირებაშია ჩართული, რომელიც ჯანსაღი ძვლების შესანარჩუნებლად გადამწყვეტია და შეიძლება კიბოს სანინალმდეგო თვისებები ჰქონდეს, ვიტამინ-D-შემაკავშირებელი პროტეინის მაკროფაგ-გამააქტიურებელი ფაქტორის სახით (DBP-MAF) (სურათი 2).^[9]


სპეციალურ გამოცემაში, სახელწოდებით „ვიტამინი D და ვიტამინი D-ის შემაკავშირებელი ცილა ჯანმრთელობასა და დაავადებაში“, შვიდი საინტერესო ხელნაწერი (სამი ორიგინალური სტატია და ოთხი მიმოხილვითი სტატია) იყო შეტანილი. პირველ ნაშრომში Xu et al.-მ^[10] გამოიკვლიეს, თუ როგორ შეიძლება 1,25(OH)₂D₃-მ მოახდინოს გავლენა ნაწლავის ღეროვანი უჯრედების რეგენერაციულ უნარზე. 1,25(OH)₂D₃-ის რეგიონალურად მაღალი კონცენტრაციებით მხოლოდ ანთებით ნაწლავში მიწოდებისთვის ახალი მიდგომა იყო გამოყენებული.

ეპითელიუმის რეგენერაციის პროცესის განმავლობაში, Lgr5+ ღეროვანი უჯრედების თვალყურის დევნებისთვის გამოყენებული იყო პულსი-და-დევნის მეთოდი, 5-ბრომო-2ტ-დეოქსირიდინის (BrdU) მარკირების გამოყენებით. მაკროფაგები, რომლებიც 1.25(OH)₂D₃ de novo-ს მაღალი დონის სინთეზისთვისაა შექმნილი, სპეციალურად მიგრირებდნენ ანთების მქონე ნაწლავში და მხარს უჭერდნენ ნაწლავის ღეროვანი უჯრედების რეგენერაციულ შესაძლებლობებს, CD11b+Gr1+ მაკროფაგების მასპინძლობის მეშვეობით. ამ კვლევის შედეგებმა შეიძლება ხელი შეუწყოს პერსპექტიული თერაპიის შემუშავებას ნაწლავის ეპითელიუმის აღდგენის დასაჩქარებლად, ანთებითი ნაწლავის დაავადების მქონე პაციენტებში (IBD). მეორე ნაშრომში^[11] ფსორიაზის მქონე პაციენტებში D ვიტამინის თავისუფალი ჰორმონის ჰიპოთეზას ეხებოდა. რეტროსპექტულ ჯვარედინ კვლევაში, რომელშიც 40 მსუბუქიდან მძიმემდე ფოლაქოვანი ფსორიაზის მქონე ბიონაივური პაციენტი მონაწილეობდა, შრატში 25(OH)D₃-ის დონეები D ვიტამინის სტატუსის საიმედო ინდიკატორად აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი კარგად უკავშირდებოდნენ თავისუფალ შრატის 25(OH)D₃-ს. არანაირი კავშირი არ იქნა ნაპოვნი D ვიტამინის რომელიმე მეტაბოლიტსა და ფსორიაზული დაავადების სიმძიმეს შორის. მიუხედავად პოტენციური დამაბნეველი ცვლადებისა, როგორებიცაა ასაკი, სქესი და სხეულის წონა, შრატში DBP-ის დონეები იმ პაციენტებში უფრო მაღალი იყო, რომლებმაც თვითონ აღნიშნეს ართროპათია, ვიდრე მათში, ვინც არა. DBP შეიძლება ანთების ახალი მაჩვენებელი

სურათი 1. ვიტამინი D ახორციელებს თავის ბიოლოგიურ ეფექტს, D ვიტამინის რეცეპტორის (VDR) მეშვეობით. 1,25(OH)₂D₃ შეიძლება სწრაფად გავრცელდეს უჯრედის მემბრანებში და VDR-ს დაუკავშირდეს. ლიგანდასთან შეკავშირების შემდეგ, VDR რეცეპტორთან (RXR) აცალიბებს პეტეროდიმერებს, გადადის ბირთვში, სადაც იგი D ვიტამინის საპასუხო ელემენტებს (VDREs) უკავშირდება, გენის ტრანსკრიფციის დასარეგულირებლად. VDR ასევე გენების ტრანსკრიფციას აკონტროლებს, სხვა ბირთვულ რეცეპტორებთან ურთიერთქმედებით. D ვიტამინის ფუნქციები მოიცავს ძვლის ზრდას და მინერალიზაციას, იმუნური ფუნქციის რეგულირებას, ინსულინის სეკრეციის რეგულირებას, უჯრედების პროლიფერაციის კონტროლს, უჯრედების დიფერენციაციის სტიმულაციას, აპოპტოზის ინდუქციას, ფოსფორ-კალციუმის პომეოსტაზის რეგულირებას და კუნთების კალციუმის ტრანსპორტირების რეგულირებას.



სურათი 2. D ვიტამინის დამაკავშირებელი ცილის სხვადასხვა ფიზიოლოგიური როლის მიმოხილვა, მათ შორის, D ვიტამინის მეტაბოლიტების შებოჭვა, ცხიმოვანი მჟავების შებოჭვა, ენდოტელის ტრანსპორტირება, ნეიტროფილების ქემოტაქსია, გავლენა T უჯრედების პასუხზე, აქტინის დაგროვება და ვიტამინ-D-შემაკავშირებელი ცილა-მაკროფაგების გამაქტიურებელი ფაქტორის (DBP-MAF) გავლენა ძვლის მეტაბოლიზმსა და კიბოზე.



იყოს ფსორიაზის, განსაკუთრებით კი ფსორიაზული ართრიტის დროს.

როგორც შესავალში აღინიშნა, DBP უამრავ სხვა როლს ასრულებს, D ვიტამინთან შებოჭვის გარდა, მათ შორის, სიმსივნეების წინააღმდეგ თერაპიულ თვისებებს, DBP-MAF-ად გადაქცევის შემდეგ. Dolgova et al. [12] DBP-MAF-თან დაკავშირებული ფაქტორის (DBP-MAF-RF) სარგებელი ლუისის კარცინომის მოდელში შეაფასა, ორ კლინიკურ პირობებში: არანამკურნალევი სიმსივნური დაზიანებები და სიმსივნის რეზორბცია „კარანაპან“ (მიღებული სანსკრიტიდან „წყაროს მოკვლა“) თერაპიის შემდეგ. კვლევის შედეგები ვარაუდობს, რომ DBP-MAF-RF-ის ანტისიმსივნური ეფექტის გამოვლინების პირველადი მოთხოვნა სიმსივნესთან ასოცირებული სტრომის სუპრესორული ეფექტის დათრგუნვაა (მიელოიდური წარმოშობის სუპრესორული უჯრედები, მარეგულირებელი T ლიმფოციტები). DBP-MAF-RF-ის ანთების საწინააღმდეგო ეფექტი სიმსივნის პროგრესირებასა და იმუნური ზედამხედველობის დაცვას უწყობს ხელს, როდესაც სიმსივნეს აქტიური დამცავი ჰუმორული ფონი აქვს. DBP-MAF-RF-ის ანთების პრო-ანთებითი სიმსივნის რეაქტიული ეფექტები უფრო გამოხატულია, როდესაც სიმსივნე სუპრესიულ ჰუმორულ ფონს კარგავს. ამ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ DBP-MAF-RF-ს, როდესაც „კარანაპანის“ სტრატეგიასთან ერთად სათანადოდ

გამოიყენება, შეუძლია „კარანაპან“ თერაპიის მიერ გამოწვეული სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნური პასუხი გააძლიეროს.

როგორც ამ სპეციალური გამოცემის ორ მიმოხილვაშია განხილული ^[13,14], შაქრიანი დიაბეტი, თირკმლის დისფუნქცია და გულის უკმარისობა სინერგიულად მოქმედებს. შაქრიანი დიაბეტი და მისი გართულებები D ვიტამინის დეფიციტთან ასოცირდება, თუმცა, რჩება მთავარი კითხვა: არის თუ არა D ვიტამინის დეფიციტი მხოლოდ თირკმლის დიაბეტური დაავადებას (DKD) იწვევს თუ მის შედეგად ვითარდება. ცნობილი არ არის D ვიტამინის თირკმელების შესაძლო დამცავი როლი DKD-ს განვითარებაში და თირკმელების ადრე არსებული დაზიანების შებრუნებაში, თუმცა ან აჩვენა, რომ მრავალ კვლევაში D ვიტამინი გადამწყვეტ როლს თამაშობს ცხოველებსა და ადამიანებში DKD-ს განვითარებაში. საჭიროა უფრო ვრცელი, ხანგრძლივი, რანდომიზებული, კონტროლირებადი კვლევები ადამიანებზე, რათა დადგინდეს, თუ როგორ შეიძლება D ვიტამინმა და მისმა ანალოგებმა გავლენა იქონიოს სიკვდილიანობაზე, ბოლო სტადიის თირკმელების დაავადების (ESKD) პროგრესირებაზე, DKD-ის განვითარებასა და გლომერულური ფილტრაციის სავარაუდო სიჩქარის (eGFR) შემცირებაზე. ^[14]

სხვა სტატიაში Chan et al. ^[15] გვანდობდა D ვიტამინსა და თვალის სხვადასხვა დაავადებებს შორის კავშირის სისტემატურ მიმოხილვას. დიაბეტურ რეტინოპათიასთან ასოციაციის გარდა, ვიტამინი D ასევე ასოცირებული იყო მიოპიასთან, ასაკთან დაკავშირებულ მაკულარული დეგენერაციასა და მშრალი თვალის სინდრომთან. თვალის სხვა დაავადებებთან, როგორებიცაა გლაუკომა, ფარისებრი ჯირკვლის დაავადება და რეტინოპლასტომა, კავშირის მტკიცებულებები ჯერ კიდევ მწირია. მიუხედავად იმისა, რომ D ვიტამინი დაავადებასთან დაკავშირებულ რამდენიმე პროცესთან ასოცირდება, ამ დაავადებების გამომწვევი მიზეზები რთულია და მათი ძირითადი მექანიზმების შესახებ ცოდნა - შეზღუდული. D ვიტამინი არა მხოლოდ მინერალური მეტაბოლიზმის პომეოსტაზზე ახდენს გავლენას, არამედ ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური თვისებებიც აქვს. იგი ანტიანგიოგენეზის პროცესზე ახდენს გავლენას, უზრდელი ციკლის სხვადასხვა ასპექტების მოდულირებით, როგორებიცაა უჯრედების გაყოფა, პროლიფერაცია და აპოპტოზი. თვალის ქსოვილები D ვიტამინის რეცეპტორს (VDR) და D ვიტამინის მარეგულირებელ ფერმენტებს შეიცავს, ხოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ქსოვილებს D ვიტამინის გააქტიურება და რეგულირება შეუძლიათ, რაც თვალის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში D ვიტამინის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

Papagni et al.-მ ^[16] D ვიტამინის სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება შეისწავლეს. ოქსიდაციურ ბალანსთან მისი ურთიერთობის გამო, ვიტამინი D ახდენს *Mycobacterium tuberculosis*-ის რეპლიკაციის *in vitro* ინჰიბირებას და ტუბერკულოზის სამკურნალოდ აჩვენა პერსპექტივა. საჭიროა დამატებითი კლინიკური კვლევები, რათა შეფასდეს პრეპარატის *in vivo* ეფექტურობა, დამაბნეველი ფაქტორები გამოირიცხოს და საბოლოოდ, ტუბერკულოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის ყველაზე შესაფერისი დოზები და მიწოდების სისტემები დადგინდეს. მნიშვნელოვანია D ვიტამინის სხვა ვიტამინებთან კომბინირების პოტენციური სარგებლის გამოკვლევა, როგორიცაა ვიტამინი A, რომელსაც *in vitro* სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება აქვს. მეორე მხრივ, მიზანშეწონილი იქნება D ვიტამინის დონის გამოშვა როგორც აქტიური ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში, ისე რისკის ქვეშ მყოფ პაციენტებში და D ვიტამინის შეყვანა, სულ მცირე, ადეკვატური დონის მისაღწევად, *in vitro* მისი ეფექტურობის შესახებ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, და თუნდაც მაღალი დოზების შემთხვევაში, გვერდითი ეფექტების დაბალი სიხშირისა და მისი დაბალი ღირებულების გათვალისწინებით.

შეჯამების სახით, D ვიტამინთან და მის დამაკავშირებელ პროტეინებთან დაკავშირებული ეს სპეციალური გამოცემა მის პერსპექტიულ როლს აჩვენებს ადამიანის სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, IBD-ის, ფსორიაზის, ტუბერკულოზის, დიაბეტური ნეფროპათიის და რეტინოპათიისა და კიბოს მონიტორინგში, პრევენციასა და მკურნალობაში. თუმცა, მეტი კვლევაა საჭირო

იმისათვის, რომ სრულად გავიგოთ D ვიტამინის მექანიზმები, რომლითაც D ვიტამინი ამ დაავადებებზე მოქმედებს და D ვიტამინის ოპტიმალური დონის დასადგენად, რომელიც დაავადების პრევენციისა და მკურნალობისთვისაა საჭირო. სამომავლო კვლევები ასევე DBP-ის, როგორც დაავადების ბიომარკერის და თერაპიული სამიზნის პოტენციურ გამოყენებასაც შეისწავლის. ადამიანის ჯანმრთელობაში D ვიტამინისა და მისი დამაკავშირებელი ცილის უნიკალური როლის აღმოჩენას სხვადასხვა დაავადებისთვის ახალი და ინოვაციური მკურნალობის აღმოჩენის პოტენციალი აქვს, რაც მას კვლევის საინტერესო და სწრაფად განვითარებად სფეროდ აქცევს.

ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

Int. J. Mol. Sci. 2023, 24, 4642. <https://doi.org/10.3390/ijms24054642>

აკნეს გამომწვევი ბაქტერია გენეტიკურად ისე შეცვალეს, რომ მის სამკურნალოდ გადაიქცა

აკნე მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. ალბათ საკმაოდ უცნაურად მოგეჩვენებათ სიახლე იმის შესახებ, რომ ბაქტერია, რომელიც აკნეს იწვევს, შეიძლება მისსავე წინააღმდეგ გამოვიყენოთ. *Cutibacterium acnes*-ი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბაქტერიაა ჩვენს კანზე. მკვლევრებმა წარმატებით შეძლეს მისი გენების ისე მოდიფიცირება, რომ წარმოექმნა და გამოეყო მოლეკულა, რომელმაც უზრდელ ექსპერიმენტებში კანის ქონის დაგროვება შეამცირა.

თუკი მკვლევრები შეძლებდნენ, რომ *C. acnes*-ს ცილა NGAL გამოემუშავებინა, შემდეგ ალბათ აკნეს მკურნალობას იზოტრეტინოინის გვერდითი ეფექტების გარეშე შეძლებდნენ. თუმცა, თავისი კანი ადამიანის კანისგან ფრიად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად იყენებენ ადგილობრივი პრეპარატთა ადრეულ ფაზაში ტესტირებისთვის. თავისი კანი უფრო მოშვებულია, ოთხჯერ თხელი და აქვს უფრო მეტი თმის ფოლიკულები, ვიდრე ადამიანის კანს.

„ინჟინერიით გამოყვანილი ამ შტამის გავლენისა და კანის მკურნალობაში მისი პოტენციური გამოყენების შესაფასებლად საჭიროა შემდეგი კვლევები ადამიანებზე“, — წერენ მკვლევრები.

დემენციის იდენტიფიცირებასთან, შეფასებასთან და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული გამოწვევების ხარისხობრივი კვლევა

მეთე საგბაკენი,

ოსლოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი, ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტი, ოსლო, ნორვეგია;

რაგნჰილდ სტორშტეინ სპილკერი,

ნორვეგიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტი, ნორვეგიის მიგრაციისა და უმცირესობების ჯანმრთელობის ცენტრი, ოსლო, ნორვეგია;

ტ. რუნე ნილსენი,

დანის დემენციის კვლევის ცენტრი, კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, კოპენჰაგენი, დანია.

Mette Sagbakken, Ragnhild Storstein Spilker, T. Rune Nielsen

აბსტრაქტი

მიმოხილვა: ზოგადი პოპულაციის დაბერებასთან ერთად, ევროპის მიგრანტი პოპულაციები ასევე ბერდებიან, ქმნიან რა ახალ გამოწვევებს დემენციის მოვლის მომსახურებისთვის, კერძოდ, იმ კუთხით, რომ ამგვარი სერვისები უნდა მოერგოს განსხვავებული ენობრივი და კულტურული ფონის მქონე პირებისთვის. ჯანდაცვის პროფესიონალთა თვალთახედვიდან, ეს კვლევა მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება კოგნიტიური დარღვევების/დემენციის მქონე ადამიანების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და დიაგნოსტიკას, რომელთაც განსხვავებული ენობრივი და კულტურული ფონი აქვთ. მეთოდები: კვლევები ჯანდაცვის პროფესიონალების გამოცდილებებზე, იმიგრანტებში დემენციის მართვასთან დაკავშირებით, საკმაოდ მწირია და მოხდა ხარისხობრივი მეთოდების გამოყენება, ამ კვლევის მიზნის მისაღწევად. ხარისხობრივი ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დისკუსიების გამოყენებით, ჩვენ გვსურდა, შეგვეკრიბა მონაწილეთა გამოცდილებები, დემენციის მქონე იმიგრანტთა დიაგნოსტიკის პროფესთან დაკავშირებით. მასალები გაანალიზდა და ინტერპრეტირდა ინტერნპრეტაციის სამი კონტექსტის შესახებ კვალისა [Kvale] და ბრინკმანის [Brinkmann] აღწერების შესაბამისად: საკუთარი თავის გაგება, კრიტიკული საღი აზრი, და თეორიული გაგება. შედეგები: ჯანდაცვის პროფესიონალებმა აღწერეს, თუ როგორ აღიქვამდნენ ოჯახები დემენციის სიმპტომებს დაბერების ნორმალურ პროცესს, მაშინ, როდესაც სხვები სიმპტომებს ხედავდნენ, როგორც რაღაც სასირცხვილოს; ორივე შემთხვევა აგვიანებდა ან ხელს უშლიდა დახმარების ძიებას. მრავალ კლინიკოსს შეზღუდული გამოცდილება ჰქონდა დემენციის მქონე ხანდაზმულ იმიგრანტებთან, და ზოგადი პრაქტიკის ექიმები (ზოგადი პრაქტიკის ექიმები) გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდნენ დემენციის შეფასებისას, ენობრივი ბარიერების და ოჯახის ან თარჯიმნის ჩართულობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. აღმოჩენები ახდენენ შეფასებებთან დაკავშირებული გამოწვევების ილუსტრირებას, როგორებიცაა ტესტირების სიტუაციების სიუცხოვე მათთვის, ვისი შეფასებაც ხდება და სათანადო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შესახებ ცოდნის ნაკლებობა ჯანდაცვის პროფესიონალებში. უწყვეტობის ნაკლებობა და ინფორმაციის მწირი მიმოცვლა მოვლის ჯაჭვში მეტად ართულებს ამ გამოწვევების უმრავლესობას. დასკვნები: აღმოჩენა, მკურნალობა და მოვლა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუკი პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალები გააძლიერებენ მათ კულტურათაშორის კომპეტენციებს.

შესავალი

ზოგადი პოპულაციის დაბერებასთან ერთად, ევროპის მიგრანტთა მრავალფეროვანი პოპულაციებიც ბერდება, იწვევს რა ახალ გამოწვევებს დემენციის მოვლის სერვისებში, კერძოდ, რომ უნდა მოხდეს ამ სერვისების მორგება და უნდა მოხდეს მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა იმ ადამიანებისთვის, ვისაც განსხვავებული ენობრივი და კულტურული ფონი აქვთ. დემენცია აღიარებულია საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის

და დემენციის გლობალური პრევალენტობა თითქმის ორმაგდება ყოველ 20 წელიწადში ერთხელ, სავარაუდოდ, 65.7 მილიონი შემთხვევით 2030 წელს და 115.4 მილიონი შემთხვევით 2050 წელს. ტერმინი დემენცია აღწერს სიმპტომების ფართო დიაპაზონს, რომლებიც უკავშირდება მეხსიერების ან სხვა კოგნიტიური ფუნქციების გაუარესებას, რომელიც საკმარისად მძიმეა, რომ დაარღვიოს პიროვნების შესაძლებლობა, განახორციელოს

ყოველდღიური საქმიანობა. სხვა გავრცელებული სიმპტომები მოიცავს ემოციურ პრობლემებს და მოტივაციის დაქვეითებას. დემენციური აშლილობის უმრავლესობა, ალცჰეიმერის დაავადების (AD) ჩათვლით, პროგრესული ბუნების არიან. შედეგად, მხარდაჭერის და მოვლის საჭიროება დაავადების მსვლელობის მანძილზე იზრდება, ხშირად, იწვევს რა ფიზიკურ, ემოციურ, და ეკონომიკურ წნეხს, უქმნის რა სტრესს ოჯახებსა და მეურვეებს და იწვევს გაზრდილ სამოგადოებრივ დანახარჯებს. ბოლოდროინდელი ლიტერატურული მიმოხილვა, რომელიც დეტალურად აღწერს ადრეული დიაგნოსტიკის სარგებელსა და გამოწვევებს, გვამცნობს, რომ დემენციის სწრაფი შეფასება საშუალებას იძლევა, მოხდეს მეხსიერების სხვა პრობლემების აღმოჩენა და მკურნალობა (მაგ., დეპრესია და შფოთვა) და შეიძლება შეამციროს დაუცველობისა და შფოთვის შეგრძნებები მეხსიერების პრობლემების მქონე ადამიანებსა და მათ ოჯახებში. დროული დიაგნოსტიკის სხვა არგუმენტია, რომ ეს კოგნიტიური დარღვევების მქონე ადამიანს საშუალებას მისცემს, გადაწყვეტილება მიიღოს სამომავლო ცხოვრებისა და მოვლის ვარიანტების/მკურნალობის შესახებ, ასევე, ფინანსური და საკანონმდებლო საკითხების მოგვარების კუთხით. ამის მსგავსად, ოჯახს და მეურვეებს შეეძლება, დაგეგმონ სამომავლო ოჯახი და/ან საჯარო მოვლა და მხარდაჭერა. დიაგნოზის არქონას შეიძლება ჰქონდეს შედეგები დემენციის მქონე ადამიანისთვის, ვინაიდან მათ არ ექნებათ წვდომა დემენციის მოვლის სპეციალიზირებულ სერვისებზე (დემენციის გუნდები, დღის მოვლა, და მოხუცთა თავშესაფრები, რომლებიც დემენციაზე სპეციალიზირდებიან). კოგნიტიურმა დარღვევებმა, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს სხვა ქრონიკული დაავადებების უფრო ცუდი თვითმართვა, როგორებიცაა დიაბეტი, გულის უკმარისობა და ჰიპერტენზია. მიუხედავად დროული დიაგნოსტიკის და დემენციის სკრინინგ-პროგრამების ზოგადი დადებითი დამოკიდებულებების უპირატესობისა აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში, ამჟამად, დემენციის სკრინინგი მოუმწიფებელი ჩანს იმ ეტიოლოგიების გაურკვევლობის გამო, რომლებიც საფუძვლად უდევს დემენციის დიაგნოზებს, და შეზღუდული მკურნალობის ვარიანტების გამო, რომლებიც არსებობს ძირითადი დემენციის აშლილობებისთვის (მაგ., AD).

დემენციის დიაგნოსტიკისთვის, მნიშვნელოვანია პაციენტებთან და მათ მეურვეებთან კომუნიკაცია. ამასთან, ფიზიკური და ფსიქიატრიული შემოწმებები, ქცევაზე დაკვირვება, ყოველდღიური აქტივობების შეფასება, კოგნიტიური ტესტები, სისხლის ნიმუშები, და თავის ტვინის სკანირებები შეიძლება ჩატარდეს პაციენტის ზუსტი შეფასებისთვის. თუმცა, ჯანდაცვის პროფესიონალების ცოდნის დონე დემენციის და შეფასების სათანადო მეთოდების შესახებ მერყეობს ქვეყნის ფარგლებში და ქვეყნებს შორის, იწვევს რა დემენციის ზოგადად ცუდ დიაგნოსტიკას, განსაკუთრებით, ადრეულ სტადიებზე. მაღალშემოსავლიან ქვეყნებშიც კი, დემენციის მქონე პირების მხოლოდ 50%-ს აქვს ფორმალური დიაგნოზი. დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე

ქვეყნებში, დემენციის მქონე პირების მხოლოდ 10%-ია დიაგნოსტირებული. ნორვეგიას, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, იმიგრაციის შედარებით მცირეხიანი ისტორია აქვს. ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმიგრანტთა რაოდენობა, დაახლოებით 130,000 იმიგრანტი რეზიდენტიდან 1987 წელს, 916,000 იმიგრანტი რეზიდენტამდე 2018-ში. ეს ადამიანები ან იმიგრანტები არიან (746000) ან ნორვეგიაში დაიბადნენ, იმიგრანტი მშობლის მიერ (170000), ამით ქმნიან რა მთლიანი მოსახლეობის 17.3%-ს. ბოლო ხანებში, იმიგრანტთა ათი უდიდესი ჯგუფი ფორმირდება პოლონეთიდან, ლიეტუვადან, სომალიდან, შვედეთიდან, პაკისტანიდან, ერაყიდან, სირიიდან, გერმანიიდან, ერიტრეადან და ფილიპინებიდან. ყველა იმიგრანტის ერთ მესამედს ნორვეგიაში ხუთ წელზე ნაკლები დრო აქვს გატარებული, მაშინ, როცა 20% ქვეყანაში ბოლო 20 წელია ცხოვრობენ. ჯგუფები, რომლებიც 20 წელი და მეტია ნორვეგიაში ცხოვრობენ, ძირითადად, არიან პაკისტანიდან, ვიეტნამიდან, ირანიდან, ერაყიდან, ერიტრეადან და ეთიოპიიდან. 2006-2015 წლებში, სამუშაო ნორვეგიაში იმიგრაციის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენდა. 2015 და 2016 წლებში, ლტოლვილთა შემოდინება გაიზარდა, შეადგინა რა იმიგრანტების 29% ნორვეგიაში. იმიგრანტები და ნორვეგიელები, რომლებიც იმიგრანტი მშობლებისგან დაიბადნენ, საშუალოდ, უფრო ახალგაზრდებიან არიან, ვიდრე ზოგადი პოპულაცია, და მხოლოდ 9%-ია 60 წელზე უფროსი ასაკის. თუმცა, მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის, 67 წელზე უფროსი ასაკის პირთა რაოდენობა, იმიგრაციული ფონით, ათჯერ გაიზრდება და 300,000 პირს შეადგენს. ეს ზრდა არ იქნება განპირობებული ახალი ადამიანების შემოდინებით, არამედ, ახალი შრომითი იმიგრანტების დაბერების გამო, რომლებიც ნორვეგიაში 1960-1970 წლებში ჩამოვიდნენ. ნორვეგიაში იმიგრანტთა ჯგუფებში ჯანმთელობისა და ჯანდაცვაზე წვდომის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა ასახავს, რომ ნორვეგია საჭიროებს სერვისების გაუმჯობესებას, ჯანდაცვის პერსონალის ცოდნის ზრდით, განსხვავებული კულტურული და ენობრივი ფონის მქონე პაციენტების მართვასთან დაკავშირებით. მიმოხილვამ ასევე აჩვენა, რომ ჯანდაცვის გამოყენების შაბლონები განსხვავდება იმიგრანტთა ჯგუფებს და ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობაში, და რომ იმიგრანტთა ჯგუფები ჯანდაცვაზე წვდომის სხვა გამოწვევებს აწყდებიან. ეს აღმოჩენა, გარკვეულწილად, უკავშირდება ნორვეგიული ენის სუსტ ცოდნას, რაც იმიგრანტთა ჯგუფებს ხელს უშლის ჯანდაცვის პერსონალისგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაში. იმიგრანტთა ჯგუფებს, ასევე, აკლიათ ცოდნა ხელმისაწვდომი დაწესებულებების შესახებ და შედეგად, არ აქვთ დამაკმაყოფილებელი წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე. პრობლემები, რომლებიც უკავშირდება დაბერებას და ხანდაზმულთა მოვლას, იმიგრანტული ფონის მქონე ადამიანებში, მცირე ყურადღება ექცევა ნორვეგიაში. საერთაშორისო კვლევამ აჩვენა ეთნიკური

განსხვავებები დემენციის მოვლის სერვისების გამოყენებაში, ასევე, დიაგნოსტიკური სერვისების დაბრკოლებები ეთნიკურ უმცირესობებში. კვლევებმა მოახდინეს დემენციის საინააღმდეგო პრეპარატების გამოწერისა და გამოყენების დაბალი სიხშირის და გრძელვადიანი მოვლის დაწესებულებაში მოხვედრის დაბალი ალბათობის დემონსტრირება. ამასთან, იმიგრანტთა ჯგუფების შედარებით მცირე რაოდენობის ხანდაზმული წევრები სკანდინავიურ ქვეყნებში ცხოვრობენ ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა მოხუცთა თავშესაფრები. ერთმა ნორვეგიულმა რეგისტრაციამ დაფუძნებულმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ ადამიანები ნორვეგიაში იმიგრანტთა ჯგუფებიდან, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან არიან, ვისაც დემენციის ან მესხიერების დარღვევის დიაგნოზი დაუდგინდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში, მნიშვნელოვნად ცოტანი არიან, ვიდრე ეთნიკური ნორვეგიელები.

როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, დემენციის მოვლის ნორვეგიული პოლიტიკა ფოკუსირდება დროული დიაგნოსტიკისა და დინამიკაში დაკვირვების მნიშვნელობაზე, როდესაც საეჭვოა კოგნიტური დარღვევები და დემენცია. ჯანდაცვისა და მოვლის სერვისების სამინისტროს დემენციის მეორე სამოქმედო გეგმაში, “დემენციის გეგმა 2020”, ხაზგასმულია იმიგრანტებთან დაკავშირებული გამოწვევები, სერვისებზე წვდომასთან და გამოყენებასთან მიმართებაში, ასევე, ჯანდაცვის პერსონალის ტრენინგი და ხელმძღვანელობა.

ამგვარად, მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ გამოწვევების გამოკვლევა, რომლებიც უკავშირდება განსხვავებული ენობრივი და კულტურული ფონის მქონე ადამიანების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და დიაგნოსტიკას, ჯანდაცვის პროფესიონალების თვალთახედვიდან. ეს სტატია წარმოადგენს უფრო ფართო კვლევის ნაწილს ხანდაზმული იმიგრანტებისა და დემენციის შესახებ ნორვეგიაში, ზოგადი მიზნით, დაეხმაროს ნორვეგიის ჯანდაცვის დირექტორატს, ამ ჯგუფების მოვლის სტრატეგიების დიზაინის შემუშავებაში. ამ პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს 50 წლის და უფროსი ასაკის იმიგრანტები, ოჯახები, მეურვეები, ჯანდაცვის პროფესიონალები, და გადანაცვლების და პოლიტიკის მიმღები პირები. ძირითადი შედეგები წარმოდგენილია ნორვეგიულ ანგარიშში, და ოჯახის მოვლის შაბლონების შესახებ სტატია უკვე გამოქვეყნებულია სხვაგან. ამასთან, სხვა სტატიები მზადდება გამოსაქვეყნებლად.

კვლევის გარემოება და მეთოდები კვლევის კონტექსტი

ნორვეგიას გადასახადებით დაფინანსებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა და თანაბარი წვდომა აქვს ჯანდაცვაზე, რაც ყველა რეზიდენტისთვის ხელმისაწვდომ პრინციპს წარმოადგენს. ჯანდაცვის სერვისების მაქსიმალური ფასი 230 ევროა

წელიწადში (გარდა სტომატოლოგიისა). ნორვეგიაში რეგისტრირებულ ყველა ადამიანს (ყველა იმიგრანტის ჩათვლით, ვინც კანონიერი რეზიდენტია) მინიჭებული აქვს პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი და აქვს უფლება, აირჩიონ ზოგადი პრაქტიკის ექიმი (GP). ნორვეგიული ჯანდაცვის სისტემა ნახევრად დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია სპეციალისტის მიერ მოვლაზე (რასაც ადმინისტრირებას უკეთებს ოთხი რეგიონალური ჯანდაცვის ორგანო), და მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან პირველადი ჯანდაცვაზე. საჯარო წყაროები ჯანდაცვაზე დანახარჯების 85%-ს ფარავს, და კერძო ჯანდაცვის დაფინანსება მოდის სამეურნეო ჯიბიდან გადახდებზე. მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან პირველადი ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე, ახდენენ რა ხანდაზმული ადამიანების დახმარებას, რომლებიც იღებენ დღის მოვლას ან შინმოვლას, ან მათთვის, ვინც მოხუცთა თავშესაფრებში ცხოვრობენ. ზოგადი პრაქტიკის ექიმები წარმოადგენენ მეორეულ მოვლაზე პასუხისმგებელ პირებს (პოსპიტალური მოვლა უფასოა) და მათგან ელიან საუკეთესო პროფესიონალურ განსჯას, რათა მოახდინონ რესურსების ეფექტური და სამართლიანი განაწილება, რაც ნიშნავს, რომ მათ რესურსები უნდა გაანაწილონ რესურსები პაციენტებს შორის, რომლებსაც კონკურენტული საჭიროებები აქვთ. იმიგრანტებს, რომლებსაც არ აქვთ ნორვეგიული ენის სათანადო ცოდნა, უფლება აქვთ, მიიღონ მთარგმნელი სამედიცინო საჭიროებებისთვის (უფასოდ), ესაა უფლება, რომელიც ხაზგასმულია იმიგრანტების ჯანმრთელობის ეროვნულ სტრატეგიაში. ნორვეგიას ექიმების სიმჭიდრობის ევროპაში უმაღლესი მაჩვენებელი აქვს, თუმცა კვლავ იბრძვის გეოგრაფიული და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფისთვის, რათა ჯანდაცვა თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. ნორვეგიის 5.2 მილიონი მცხოვრები დაახლოებით 400,000 კმ2-ზე არიან განაწილებულნი, რამაც შეიძლება გარკვეული გამოწვევები შექმნას. ნორვეგიის 422 მუნიციპალიტეტის დაახლოებით 80%-ს შექმნილი აქვს დემენციის გუნდები და/ან დემენციის კოორდინატორების მომსახურებები, შეფასებისა და დინამიკაში დაკვირვებისთვის, ხოლო სამიდან ერთს ორივე აქვს. პაციენტის GP ან ექიმი მოხუცთა თავშესაფარში პასუხისმგებელია შეფასებასა და დიაგნოსტიკაზე. თუმცა, კოგნიტური ტესტირება და შეფასება შეიძლება ჩატარდეს სახლში, დემენციის კოორდინატორის მიერ, შინმოვლის სერვისის ექთნებთან და GP-სთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. ნორვეგიის დემენციის გეგმაში 2020, თანამშრომლობა სამედიცინო პრაქტიკოსსა და დემენციის გუნდებს/კოორდინატორებს და ჯანდაცვის სხვა პერსონალს შორის ძალიანაა რეკომენდებული. თუმცა, მოხუცთა თავშესაფრის მრავალ რეზიდენტს და სახლში მცხოვრებ ადამიანებს უვლინდებათ კოგნიტური დარღვევების ნიშნები, მაგრამ არ ფასდებიან დემენციაზე. ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ მოხუცთა თავშესაფრის

რეზიდენტების დაახლოებით 50%, რომლებსაც დემენციის განსაზღვრული ნიშნები აქვთ, არ არიან დიაგნოსტირებულნი. დემენციის გეგმის 2015, ნორვეგიის დემენციის პირველი სამოქმედო გეგმის, ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა დემენციის მქონე ადამიანების შეფასებისა და დიაგნოსტიკის შემუშავება და ტესტირების მოდელები. შეიქმნა, შეფასდა და გადაიხედა პროგრამა, რომელსაც „პირველად ჯანდაცვაში დემენციის შეფასების სახელმძღვანელო“ ეწოდა და რეკომენდაცია გაენიშა მის გამოყენებას.

დიზაინი

კვლევა, რომელიც ამოწმებს ხანდაზმულ იმიგრანტებში დემენციის შესახებ შეხედულებებსა და გამოცდილებებს ჯანდაცვის პროფესიონალებთან, პაციენტებთან და ნათესავებთან მიმართებაში, მწირია და კვლევის გუნდმა გადაწყვიტა, რომ ხარისხობრივი მეთოდები ყველაზე სათანადო მიდგომას წარმოადგენს იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც აღწერილია შესაბამისი. ვინაიდან გამოყენებულია ხარისხობრივი ინდივიდუალური და დიაღნოზური ინტერვიუები, ისევე, როგორც ფოკუს ჯგუფის დისკუსიები, ჩვენ გვსურდა შეგვეკრიბა მონაწილეების საკუთარი გამოცდილება და საკითხის აღქმა.

ტერმინოლოგიის გამოყენება

ამ ხელნაწერში, ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „ეთნიკური უმცირესობები“, როდესაც საუბარია კვლევებზე სკანდინავიის მიღმა. თუმცა, ხელნაწერის ნაწილებში, სადაც მივითითებთ ნორვეგიულ სტატისტიკაზე, ნორვეგიულ/სკანდინავიურ კვლევებსა და წინამდებარე პროექტში, ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „იმიგრანტი“, რომელსაც ნორვეგიის და დანიის სტატისტიკური სამსახურები იყენებენ (ამასთან, „საზღვარგარეთ დაბადებული“, რომელიც მეტადაა გავრცელებული შვედეთში). ნორვეგიაში, იმიგრანტები განიმარტებიან, როგორც „ორი უცხოელი მშობლისა და ოთხი უცხოელი ბებია-ბაბუის შთამომავალი, საზღვარგარეთ დაბადებული პირები“ (11) და ყველაზე ხშირად გამოყენებულ ტერმინს წარმოადგენს აკადემიური და საჯარო დისკურსის დროს. მნიშვნელოვანია, რომ ტერმინის „იმიგრანტი“ გამოყენება ასევე ასახავს იმას, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ ადგილობრივ მოსახლეობაზე, საამისზე, ან ისეთ ეთნიკურ უმცირესობებზე, როგორებიცაა კვენის, ჯგუფზე, რომელმაც ნორვეგიაში მიგრირება დაიწყო 1500-იანი წლების დასაწყისში (ფინური წარმოშობის პირები).

მონაცემთა შეგროვება

ჩვენ ჩავატარეთ შვიდი ჩაღრმავებული ინტერვიუ (IDI), სამი დიაღნოზური ინტერვიუ (ორი ჯანდაცვის პროფესიონალებთან ერთდროულად), და სამი ფოკუს ჯგუფის დისკუსიები (FGD-ები) სხვადასხვა ჯანდაცვის პროფესიონალებთან, მონაწილეების სამუშაო ადგილებზე. როგორც IDI-ები, ისე FGD-ები 60-90 წთ-ის მანძილზე გრძელდებოდა. ჩაღრმავებული ინტერვიუები, 1 დიაღნოზური ინტერვიუს ჩათვლით 2 GP-სთან, რომლებიც ერთად მუშაობდნენ ოსლოს გარეთ არსებულ რაიონში, ჩატარდა ყველა GP-სთან, სპეციალიზირებული მოვლის ექიმებთან და ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ დემენციის კოორდინატორებთან – მ.შ. მათთან, ვისაც შეეძლო დიაგნოსტიკური პროცედურების/შეფასების გარემოებების სიღრმისეული გათვლა. FGD-ები შედგებოდა 4-6 მონაწილისგან და ტარდებოდა ექთნებთან (დემენციის გუნდების წარმომადგენლების ჩათვლით), ექთნის დამხმარეებთან, და სხვა შესაბამის პერსონალთან, რომლებსაც როლი ჰქონდათ სადიაგნოსტიკო პროცესებში. FGD-ების ჩატარებით, ჩვენ შეგვეძლო გამოგვეკვლია სხვადასხვა შეხედულება და გამოცდილება, მ.შ. ექიმებთან თანამშრომლობასთან მიმართებაში (პირველად და სპეციალიზირებულ ჯანდაცვაში). მეთოდისა და რესპონდენტთა ტრიანგულაციის მეშვეობით, ჩვენ გავარკვეეთ იმავე ფენომენის დამატებითი ასპექტები, საკითხების ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუების და ახალი ასოციაციებისა და პერსპექტივების შთაგონებით, ფოკუს ჯგუფების დისკუსიების მეშვეობით. ორი ნახევრადსტრუქტურული სახელმძღვანელო (იხ. დამატებითი დოკუმენტი 1, დამატებითი დოკუმენტი 2), ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, რომლებიც შეიქმნა ჯანმრთელ ხანდაზმულ იმიგრანტებთან FGD-ების და ექსპერტებთან გამოცდილების მიმოცვლის საფუძველზე, რათა მომხდარიყო მოცემული კვლევის ამოცანების მიღწევა. თუმცა, სახელმძღვანელო მოქნილი იყო, ინტერვიუებსა და FGD-ებში ხდებოდა იმ თემებისა და პასუხების წინ წამოწევა, რომლებსაც მონაწილეები გვთავაზობდნენ, და სახელმძღვანელო იცვლებოდა შესაბამისად, რათა მორგებულიყო მონაწილეების პროფესიას ან პოზიციას. მონაწილეების პერსპექტივებისა და გამოცდილებების შესაგროვებლად, მათ კონკრეტულ სამუშაო ადგილებთან და პასუხისმგებლობებთან მიმართებაში და ამ შედეგების მნიშვნელობების ინტერპრეტაციისთვის.

რეკრუტირება და ინფორმირებული თანხმობა

მონაწილეები ინფორმირებულნი იყვნენ მოცემული კვლევის შესახებ, სატელეფონო ზარების ან ელფოსტის და კვლევის შესახებ წერილობითი ინფორმაციის მეშვეობით. ექთნების და ექთნის დამხმარეების შემთხვევაში, დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო

ჩართული რეკრუტირების პროცესში, როდესაც ექიმებთან პირდაპირ დაკონტაქტება ხდებოდა. ამ კვლევაში მონაწილეობა კოორდინირდებოდა ტელეფონით ან ელ-ფოსტით. მონაწილეებისგან ხდებოდა წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მოპოვება.

კვლევის გუნდი

კვლევის გუნდი შედგებოდა სამი მკვლევარისგან, რომლებსაც განსხვავებული ფონი აქვთ. პირველი ავტორი (MS) რეგისტრირებული ექთანია და აქვს დოქტორის ხარისხი გლობალურ ჯანდაცვაში, სამედიცინო ანთროპოლოგიის მიმართულებით. კვლევის ჩატარებისას, იგი იყო წამყვანი მკვლევარი მიგრაციისა და უმცირესობების ჯანმრთელობის ნორვეგიული ცენტრისთვის (NAKMI). მეორე ავტორი (RS) რეგისტრირებული ექთანია, ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით ჯანდაცვის ეკონომიკაში, პოლიტიკასა და მენეჯმენტში და დასაქმებულია, როგორც უფროსი მრჩეველი NAKMI-ში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორვეგიულ ინსტიტუტში. ბოლო ავტორს (TRN) კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში აქვს გამოცდილება და ამჟამად კვლევითი თანამდებობა უკავია დემენციის კვლევის დანიის ცენტრში, რიგშოსპიტალეტში, კოპენჰაგენის უნივერსიტეტში და მისი შრომა უკავშირდება დემენციის ბიო-ფსიქო-სოციალურ გაგებას.

დასკვნა

როგორც ჩვენი კვლევის შედეგები და 2016 წლის ალცჰეიმერის მსოფლიო ანგარიში გვამცნობენ, დემენციის დროული დიაგნოსტიკა და ინტერვენცია ეფუძნება პაციენტებს, ოჯახის წევრებსა და ჯანდაცვის პროფესიონალებს, პირველადი ჯანდაცვის სერვისებსა და სპეციალისტთა სერვისებს, და თარჯიმნებსა და პაციენტების შემფასებლებს შორის თანამშრომლობას. დემენციის დიაგნოსტიკის განხილვა, როგორც პროცესი, რომელიც რამდენიმე პარტიორს, უწყვეტ კომუნიკაციასა და კოორდინირებულ დინამიკაში დაკვირვებას მოითხოვს, საჭიროებს მრავალი პოტენციური უპირატესობის აღიარებას, როგორიცაა შედეგიანი სტრატეგიები მათთვის, ვინც ავადია, მათი ოჯახებისა და სერვისების მიმწოდებლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დემენციის სკრინინგის პროგრამები ამ მომენტისთვის არაა გარანტირებული, პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს, ზოგადი პრაქტიკის ექიმების ჩათვლით, შეიძლება დასჭირდეთ დარწმუნება, დემენციის დროული დიაგნოსტიკის მნიშვნელობის შესახებ, თუკი კლინიკურ პრაქტიკაში ცვლილებებს აქვთ ადგილი. აღმოჩენა და შემდგომი მკურნალობა და მოვლა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუკი პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალები განივითარებენ მეტ კულტურათაშორის კომპეტენციას, კულტურის მიმართ მგრძნობიარე ინსტრუმენტებს გამოყენების გამოცდილების ჩათვლით, და

როგორც წესი, მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი დემენციის მქონე ადამიანების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და მოვლაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევაში კონკრეტულად არაა გამოკვლეული, იდენტიფიცირებული გამოწვევები სავარაუდოდ გავლენას იქონიებს დემენციის მოვლის გზის ყველა ნაბიჯზე, რაც მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება რისკის შემცირების შესახებ რჩევების მიცემით, დიაგნოსტიკის შემდგომ ინტერვენციებში მონაწილეობით, პალიატიური მოვლით და გამოწვევი ქცევის ინტერვენციებით.

ტრენინგი კომუნიკაციის უნარებში და კულტურათაშორის შეფასების ინსტრუმენტების, როგორიცაა RUDAS, გამოყენება შეიძლება დაგვეხმაროს კომპეტენციისა და თვითდაჯერების გაუმჯობესებაში, სხვადასხვა კულტურული და ენობრივი წარმომავლობის მქონე ადამიანების შეფასებისა და მოვლისას. ამასთან, პროფესიონალები დემენციის გუნდებში და ექთნები შინმოვლის სერვისებში უნდა თანამშრომლობდნენ ზოგადი პრაქტიკის ექიმებთან, რათა ყურადღებით მოახდინონ პაციენტის მონიტორინგი და დააკვირდნენ სიმპტომების და ქცევების „კომპლექსურობას“ დროთა განმავლობაში - პიროვნების დაკვირვებული მეტალური შესაძლებლობების კონტექსტის ფარგლებში - და შეინარჩუნონ აქტიური დიალოგი პიროვნებასთან და/ან ოჯახთან. მეტიც, ყველა პიროვნებაზე ორიენტირებულ მოვლაში, ჯანდაცვის პროფესიონალები ფრთხილად უნდა მოეკიდონ ჯგუფების სტერეოტიპირებასა და გენერალიზირებას, მათი ეთნიკური კუთვნილების გამო, რამაც შეიძლება შეცდომით განაპირობონ შეხედულება, რომ ზოგიერთ ეთნიკურ უმცირესობას დიდი ოჯახები ჰყავთ, რომლებიც მათზე ზრუნავენ. ამასთან, იმიგრანტებს ნორვეგიაში საკმაოდ ჰეტეროგენული ჯგუფი აქვთ და ასაკოვანი ევროპელი შრომითი იმიგრანტების საჭიროებები არაა აუცილებელი იყოს იმის მსგავსი, როგორებიც აქვთ შრომითი იმიგრანტებს ან ლტოლვილებს სხვა კონტინენტებიდან. და ბოლოს, პროპაგანდის აქტივობებმა, რომლებიც მიმართულია იმიგრანტთა ორგანიზაციებისა და უფრო აქტიურმა ჯანდაცვის პროფესიონალებმა შეიძლება მოახდინონ დემენციის, როგორც დაავადების და არა დაბერების ნორმალური ნაწილის ან სტიგმატიზირებულ მოდელებთან დაკავშირებული მოდელების, შესახებ ცნობიერების დონისა და ცოდნის მეტი გაძლიერება. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს მეტი გახსნილობა და მოახდინონ ინდივიდების და ოჯახების მეტი მოტივირება, რათა მოიძიონ დახმარება, როდესაც მათ ეს სჭირდებათ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა იმყოფება რედაქციაში

Sagbakken et al. BMC Health Services Research (2018)
doi.org/10.1186/s12913-018-3720-7